პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეექვსე.

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კალოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები:) რედაქტორის 14—76
) მდივანის 10—58
ღამის მორიგეს 13—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34;
ტელეფონი № 10—49
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 90 კ., დანარჩენებისათვის—1 მან. და 20 კაპ., განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ., ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო —10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 საათამდე.
სტამბის ტელეფონი 13—80
ექსპედიციის 5—48.

დ ღ ი უ რ ი

- — პარიზში გაიხსნა მწერალთა, კომპოზიტორთა და დრამატურგების საერთაშორისო ყრილობა.
- — მუსტოფი-ელ-მამალეკის მეთაურობით შესდგა სპარსეთის ახალი მთავრობა.
- — უკანასკნელი კვირის განმავლობაში ბერლინში უმუშევართა რიცხვი 5 ათასით გაიზარდა.
- — პარიზში გაიხსნა საფრანგეთ-ესპანეთის კონფერენცია, რომელიც განიხილავს რიფების საკითხს.
- — სირიაში დაიწყო ახალი აჯანყება.
- — კორეაში გაიმართა იაპონიის საწინააღმდეგო დემონსტრაცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშაბათი, 15 ივნისი 1926 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 134 (1589)

მ ო რ ი გ ი ა მ ო ც ა ნ ა

ჩვენს გაზეთში უკვე იყო აღნიშნული, რომ დაიწყო ახალი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კამპანია. შეუდგენ სამზადისს საგადასახადო ობიექტების აღსარიცხავად, რაც პირველი და ამასთან უმთავრესი მომენტია მთელი კაპანიის; საღრიცხვო მუშაობა მთლიანად განსაზღვრავს გადასახადის სწორ და სამართლიან განაწილებას მეურნეობათა შეძლებულობის მიხედვით და მის წარმატებით აკრეფას.

საგადასახადო ობიექტების აღრიცხვა წრეულს გაცილებით უფრო რთული საქმეა, ვინემ წინა წლებში. დღემდე იბეგრებოდა სასოფლო მეურნეობის მხოლოდ ძირითადი დარგები: სახნავი მიწა, სათიბი, სამუშაო საქონელი. ახალი კანონით, რომელიც საკავშირო ცაკის უკანასკნელმა სესიამ მიიღო, გარდა ამისა, იბეგრება სასოფლო მეურნეობის სპეციალური დარგები (მებოსტნეობა, მებაღეობა, მეფუტკრეობა, წვრილი მესაქონლეობა და სხ.) და შემოსავლის არამიწათმოქმედო წყაროები (როგორიცაა შემოსავალი გარესამუშაოდან, მეურნეობაში დაბანდებული ხელფასის ნაწილი და სხ.).

რა თქმა უნდა, საგადასახადო საგნების რაოდენობის გაფართოება ქმნის დიდ სიძნელეს მათ სწორ აღრიცხვისა და შემოსავლის მტკიცე ნორმების დაწესებისათვის. სამაგიეროდ მხოლოდ ასეთი სისტემა უზრუნველჰყოფს სავსებით სოფლის მეურნეობის განვითარებას და მშრომელ გლეხობის ინტერესებს.

ამით სასოფლო-სამეურნეო გადასახადი დაუახლოვდა შემოსავლობის ქვალობაზე გადასახადს. წინედ ასეთ მოვლენას ჰქონდა ადგილი: ორი მეურნეობა, რომელთაც გააჩნდათ ოჯახის წევრთა თანაბარი რიცხვი და ერთნაირი შემოსავალი მეურნეობის ძირითადი დარგებიდან, იბეგრებოდენ თანასწორად, მაშინ, როცა ერთი მათგანი შეიძლება ყოფილიყო უფრო მდიდარი და ღონიერი სასოფლო-მეურნეობის სპეციალური დარგებით და არასამიწათმოქმედო შემოსავლით. ხშირად ასეც იყო სინამდვილეში, რაც რამოდენიმედ არღვევდა კლასობრივ პრინციპს ჩვენს საგადასახადო პოლიტიკაში და მრავალ გაუგებრობა-უკმაყოფილებას იწვევდა მშრომელ გლეხობაში. ამიერიდან ეს ნაკლი მოსპობილია. ახალი კანონი მხედველობაში იღებს გლეხობის შემოსავლის ყველა მნიშვნელოვან წყაროებს. ამით სახელმწიფო, ერთი მხრით, გარკვეულ საზღვარს უდებს კულაკობის გაძლიერებას, გადააქვს რა მასზე გადასახადის სიმძიმის ცენტრი, მეორე მხრივ უფრო ამსუბუქებს ღარიბ და საშუალო გლეხობის მდგომარეობას.

უნდა აღინიშნოს, რომ ცალკე რესპუბლიკებს მეტად ფართე უფლებები აქვთ მინიჭებული საგადასახადო ობიექტების დაწესებისა და საგადასახადო ნორმების განსაზღვრაში. იმის მიხედვით, თამაშობს თუ არა სასოფლო მეურნეობის ესა თუ ის დარგი მნიშვნელოვან როლს გლეხის მეურნეობაში, რესპუბლიკანურ მთავრობას უფლება აქვს გაავრცელოს ან არ გაავრცელოს მასზე გადასახადი. ასე შესაძლებელია საკითხისადმი მიდგომა როგორც მთელი რესპუბლიკის, ისე მაზრის, რაიონის მასშტაბით, ადგილობრივი პირობების მიხედვით. ამ მხრივ ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭომ უკვე გამოსცა სათანადო დადგენილება, რომელსაც, ცხადია, მოჰყვება რესპუბლიკანური მთავრობის დადგენილებები, საკითხის უფრო კონკრეტიული გადაჭრისათვის.

საგადასახადო კამპანიის წარმატებით განხორციელებისათვის უნდა იქნას ამოძრავებული ყველა საჭირო ძალები. თავის თავად იგულისხმება, ფინანსიურმა უწყებამ ამ საქმისათვის უნდა გამოჰყოს საუკეთესო, გამოცდილი და მომზადებული მუშაკები. გლეხობას ფართედ უნდა გავაცნოთ ახალი საგადასახადო კანონის შინაარსი და მან აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს საგადასახადო ობიექტების გამორკვევაში. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ამ კამპანიას პარტიამ უნდა გაუწიოს ხელმძღვანელობა. საქართველოს კომპარტიის ცკას პლენუმის რეზოლიუციაში ვკითხულობთ: **„აღნიშნავს რა მომავალ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის წარმატებით აკრეფის განსაკუთრებულ მნიშვნელობას, ცკას პლენუმი წინადადებას აძლევს ყველა პარტორგანიზაციებს აწარმოონ სისტემატიური მუშაობა სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ახალი დებულების გლეხობისათვის დაწვრილებით გასაცნობად, სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კოლოსალური მნიშვნელობის განსამარტავად და გლეხობის ფართე მასების ჩასაბმელად დაბეგვრის ობიექტის სიის შედგენის საქმეში“.** ადგილობრივი პარტორგანიზაციები ენერგიულად უნდა შეუდგენ ამ დირექტივის შესრულებას. წინა წლის გადასახადი მთლიანად დღესაც არ არის აკრეფილი, და ეს რამოდენიმედ ადგილობრივ პარტორგანიზაციების სისუსტესაც მიეწერება. შემდეგში ასეთ მოვლენას არ უნდა ექნეს ადგილი.

ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კამპანიის სწორედ გატარებას უაღრესი მნიშვნელობა აქვს პარტიის პოლიტიკის გამოაშკარავებისათვის გლეხობის საკითხში და სახელმწიფოს ფინანსიურ მოღონიერებისათვის. ჩვენ მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის მეტი წილი რჩება ისევ სოფლად, და ის თემის ბიუჯეტის საფუძველს შეადგენს, ის უმთავრესი წყაროა ადგილობრივი აღმშენებლობისათვის.

ხელისუფლებას სათანადო ორგანოების, პარტორგანიზაციების და გლეხური მასების წინაშე დგას უდიდესი მორიგი ამოცანა—სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კამპანიის ჩატარება. ამ ამოცანის გადაჭრას უნდა შეუდგეთ მთელი ჩვენი ძალ-ღონით.

მ ა ს ი უ რ ი მ უ შ ა ო ბ ა

საბჭოთა საზოგადოებრივობის ერთ მთავარ ფორმას მასიური ორგანიზაციები წარმოადგენენ. ამ მხრივ, მასიურ ორგანიზაციების რიცხვის მხრივ, ჩვენ, რასაკვირველია, საყვედური არ გვეთქმის. პროფკავშირები, კოოპერაცია, საწარმოო თათბირები, სადელეგატო კრებები, სხვადასხვა სახის ნებაყოფლობით, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, პარტუჯრედების ღია კრებები და გლეხკომები—აი მასიურ ორგანიზაციათა სახეები სოფლად და ქალაქად.

მაგრამ თუ ჩვენ მდიდარი ვართ მასიურ ორგანიზაციათა მრავალფეროვანობით, ასევე მდიდარი არა ვართ იმ მუშაობის შინაარსის მხრივ, რომელსაც ადგილი აქვს ამ ორგანიზაციათა საქმიანობის სახით. უდავოა, რომ მასიური ორგანიზაციები უპარტიო მასის კომუნისტურად აღზრდის, მათი საბჭოთა აღმშენებლობასთან დაახლოების საუკეთესო სკოლას წარმოადგენს. მასიურ მუშაობის სწორი ხაზით წარმართვას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა საზოგადოებრივობის განმტკიცებისა და კომუნისტურ პარტიის გავლენის ზრდისათვის.

ამიტომ საჭიროა შევჩერდეთ იმ მტკივან მხარეებზე, რომელიც ამ მუშაობას დღეს ახლავს და რომელიც აფერხებს მის წარმატებით განვითარებას. რაში მდგომარეობს ეს ტკივილები?

პირველყოვლისა აღსანიშნავია მასიურ ორგანიზაციების სტიქიური ზრდა. მშრომელთა საზოგადოებრივ თვითმოქმედების ასპარეზი საბჭოთა წყობილების პირობებში იმდენათ ფართე და თავისუფალია, რომ კოლექტიურ თანამშრომლობის იშვიათად ნოყიერ ნიადაგს წარმოადგენს. ამიტომ ბუნებრივია საზოგადოებრივ ორგანიზაციების ის შეუჩერებელი ზრდა, რომელსაც ადგილი აქვს ჩვენს სინამდვილეში.

საჭიროა ამ თავისთავად სასარგებლო მოვლენის სათანადოთ გამოყენება და მისი გარკვეული გზით წარმართვა. ჩვენ ვიცით, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, მასიური ორგანიზაციები, განსაკუთრებით ნებაყოფლობითი ორგანიზაციები, ისევე ჩქარა იშლებიან, როგორც ჩქარა არსდებიან.

ამიტომ, რომ მასიურ ორგანიზაციების ზრდა მკვიდრ ნიადაგზე იყვეს დაყრდნობილი, საჭიროა პარტია უფრო მჭიდროთ დაუახლოვდეს მათ და თავის მტკიცე ხელმძღვანელობის ქვეშ მოაქციოს ისინი.

მასიურ საზოგადოებათა მუშაობაში განსაკუთრებით მოისუსტებს ორგანიზაციული მხარე. მაგალითად ნებაყოფლობითი საზოგადოებების ორგანიზაცია ზოგჯერ სწორეთ არანებაყოფლობითი პრინციპზე შენდება, რაც უთუოდ უარყოფითი გავლენას ახდენს ამ საზოგადოებათა თვითმოქმედებაზე. ამას უნდა მიეწეროს აგრეთვე ის მოვლენა, რომ თავიდანვე ბრუნდეთ მოწყობილი ორგანიზაცია დიდი ხანს ველარ არსებობს, ან თუ არსებობს, უსიცოცხლო და უმოქმედოა.

ორგანიზაციული მხარის სისუსტით აიხსნება აგრეთვე მასიურ ორგანიზაციებში ფრაქციულ მუშაობის გაურკვევლობა. ბევრგან: კოოპერაციაში, გლეხკომებში, ადგილკომებში და სხვაგან, ფრაქცია როგორც ხელმძღვანელი კოლექტივი არც კი არსებობს. აქ ერთმანეთში გათქვეფილია მთელი მასა და არ სჩანს წინამძღოლის ხელი. ხშირად ვერ ვხედავთ ამ ხელმძღვანელობას არა თუ ყოველდღიურ მუშაობაში, არამედ საზოგადოებრივ ორგანიზაციის საქმიანობის ღირსშესანიშნავ მომენტებშიაც კი, როგორც მაგალითად საზოგადო კრებებზე, სხვადასხვა კამპანიის ჩატარების დროს, ხანგრძლივი დროით ნავარაუდევ სამუშაო გეგმის გამომუშავებაში და სხვა.

ამჟამად, მაგალითად, მომჭირნეობის ლოზუნგი ყურადღების მთავარ საგანათაა აღიარებული. ამ მოკლე ხნის განმავლობაში თითქმის ყველა საბჭოთა დაწესებულება-წარმოებები გამოეხმაურენ მას, მაგრამ ბევრ შემთხვევაში ეს გამოხმაურება უფრო ფორმალური ხასიათისაა, ვიდრე ისეთი, როგორც ამას საჭიროება ითხოვს და როგორც ეს უნდა ხდებოდეს ჩვენს პირობებში. ბევრგან შექმნეს მომჭირნეობის კომისიები, ამოირჩიეს სამეულები და ამით თავისი მოვალეობა მოხდილად მიაჩნიათ.

ამავე დროს ჩვენ ვიცით, რომ მომჭირნეობა არაა სადღე-სახვალიო საკითხი. ის შემოღებულია როგორც ხანგრძლივი და სერიოზული ამოცანა. აქ საწარმოო თათბირებს და კომისიებს დიდი სამსახურის გაწევა შეუძლიათ საქმისათვის. საჭიროა ამ ორგანიზაციების ამოძრავება, მათი გამოცოცხლება და მომჭირნეობის რეჟიმის კამპანიაში ხანგრძლივათ და სერიოზულათ ჩაბმა. ამ მხრივ მუშაობა შედარებით ნელი ტემპით მიმდინარეობს.

ამრიგათ, მასიურ მუშაობის დარგში ორ მთავარ დამაბრკოლებელ მოვლენათ უნდა ჩაითვალოს პარტიულ ხელმძღვანელების სისუსტე და ორგანიზაციული მუშაობის მოუწესრიგებლობა. საბოლოოთ ერთიც და მეორეც მჭიდროთაა ერთმანეთთან დაკავშირებული: ორგანიზაციებზე პარტიულ ხელმძღვანელობის გაძლიერება ამავე დროს გულისხმობს ორგანიზაციულ მუშაობის მოწესრიგებასაც.

რაც უფრო ადრე გავაძლიერებთ ჩვენ ამ ხელმძღვანელობას, მით უკეთესია საბჭოთა საზოგადოებრივობის წინსვლისათვის, მით უმჯობესია სოციალისტურ აღმშენებლობის წარმატებაში.

კ. მ—ძე.

პოლონეთში ძლიერდება მოძრაობა პილსუდსკის წინააღმდეგ

მთავრობა განაგრძობს ოპოზიციონური ელემენტების დევნას

ვარშავაში შესაძლებლათ სცნობენ სეიმის დათხოვნას

ამერიკის მუშები მატერიალურ დახმარებას უწევენ ინგლისის გაფიცულ მუშებს

პილსუდსკის წინააღმდეგ

პრეზიდენტის დეკრეტი

ვარშავა, 13 ივნისი. ამ დღეებში პილსუდსკის დანიშნავენ უმაღლეს სამხედრო საბჭოს თავმჯდომარეთ. ეს დაწესებულება გაუქმებულ იქნა 1923 წელს, პილსუდსკის არმიიდან გასვლის შემდეგ.

ამ გვარად, პილსუდსკის პროექტი უმაღლეს სარდლობის ორგანიზაციის შესახებ, რომლის გატარება მან ვერ შესძლო პარლამენტში, განხორციელებულ იქნება პრეზიდენტის დეკრეტით.

გლეხთა პარტიის დევნა

ვარშავა, 13 ივნისი. გლეხთა დამოუკიდებელი პარტიის ორგანო, რომლის სამ ნომერს ზედი-ზედ კონფისკაცია გაუკეთეს, გამოვიდა სახარებიდან ამოწერილი თავით მოწინავის მაგიერ, რედაქციის ასეთი შენიშვნით: „ამ მოწინავეს მთავრობის კომისარი, ალბათ, არ გაუკეთებს კონფისკაციას“.

„ვიზვოლენიეს“ პოზიცია

ვარშავა, 13 ივნ. „ვიზვოლენიე“-ს კლუბმა გამოიტანა რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ „მთავრობას დამშვიდება ესმის ისე, რომ ხალხმა უნდა ითმინოს უვარგისი და სახელგატეხილი მოხელეები, ოლქის უფროსები და პროკურორები. მთავრობის ასეთი შეხედულება ხალხში გაოცებას იწვევს“.

რეზოლიუცია მოითხოვს ბოლო მოეღოს ქაოსს უმუშევრობის საკითხში და კატეგორიულად ილაშქრებს მთავრობის მიერ სკანონმდებლო უფლებებით აღჭურვილ საბჭოს დანიშნულების წინააღმდეგ.

პროფკავშირების პროტესტი

ვარშავა, 13 ივნისი. პროფკავშირთა ცენტრალურმა კომისიამ, რომელმაც თავის დროზე კატეგორიულად მოითხოვა პილსუდსკის პრეზიდენტათ არჩევა, ეხლა მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც აღნიშნულია, რომ პილსუდსკის გამოსვლამ არაფერი არ მისცა მუშათა კლასს და ოდნავათაც არ შეუწყო ხელი პროლეტარიატის ეკონომიურ და პოლიტიკურ მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. რეზოლიუცია ორგანიზაციული სიმტკიცისაკენ მოუწოდებს მუშათა კლასს და აცხადებს, რომ ეს თავისი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ბრძოლის ერთად-ერთი საშუალებაა.

პარლამენტარიზმის წინააღმდეგ გალაშქრების შესახებ რეზოლიუცია აცხადებს, რომ პარლამენტი არის ორგანო, რომლის საშუალებით სახალხო წარმომადგენლები კონტროლს უწევენ აღმასრულებელ ხელისუფლებას და მოუწოდებს მუშებს წინააღმდეგობა გაუწიონ აგიტაციას სამხედრო ფაშისტურ დიქტატურის სასარგებლოთ.

მთავრობის „ზომები“

ვილნო, 13 ივნისი. სოსნოვიცაში პოლიციამ გარეკა სათემო თვითმმართველობათა ყრილობა. დაპატიმრებულია 70 კაცი.

სეიმის ბედი

ვარშავა, 14 ივნისი. „ექსპრეს პორანი“ იუწყება, რომ ბარტელმა დეპუტატ პიტკასთან საუბრის დროს განაცხადა, რომ სეიმი კონსტიტუციის შეცვლის შემდეგ დათხოვნილი იქნება პრეზიდენტის მიერ. ახალი არჩევნები დაინიშნება 6 თვის შემდეგ.

პოლიტიკისათვის

ვარშავა, 14 ივნისი. ბარტელმა განაცხადა, რომ მთავრობას განზრახული აქვს დახუროს პოზნანის უნივერსიტეტი, რადგან იქაური სტუდენტები უკანასკნელ დროს „ძლიერ გაიტაცა პოლიტიკამ“.

ი ნ გ ლ ი ს ი ს ა მ ბ ე ბ ი

ბოლდუინის სიტყვა

ლონდონი, 14 ივნისი. გუშინ ვილშაირში კონსერვატორების დემონსტრაციაზე გამოვიდა ბოლდუინი, რომლის სიტყვა წინასწარ გამოხატავს იმ აზრს, რომელიც მან უნდა წარმოსთქვას თემთა პალატაში ნახშირის საკითხის ირგვლივ დებატის დროს.

ბოლდუინმა გამოსთქვა მწუხარება, რომ ორთავე მხარემ უარჰყო არბიტრაჟი; არსებულ პირობებში ეს მეთოდი საუკეთესო საშუალებაა, სანამ არა იქნება შემუშავებული ისეთი ახალი წესი, რომელიც მომავალში თავიდან აგვაშორებს ასეთ მღელვარებებს. ასეთი გადაწყვეტილება არაა მიღწეული, მაგრამ იგი უნდა იქნას მიღებული რაც შეიძლება დაჩქარებით, რომლის შემდეგ პირველი საქმე იქნება იმ ზარალის გამოსწორება, რომელიც ჩვენმა მხარემ განიცადა.

უკანასკნელი დღეების ამბები, განაცხადა ბოლდუინმა, თვალსაჩინო ადგილს დაიჭერენ ისტორიაში. საერთო გაფიცვა ამისთვის გამოცხადდა, რომ მემაღაროებს დახმარებოდენ. მაგრამ მან მოჰკლა ისინი ყველანი სხვანი, რომლებიც შიმშილამდე და დაღუპვამდე მივლენ.

გაფიცულთადმი სიმპატიისა და სოლიდარობის გარდა გვიჩვენა კიდევ უფრო მნიშვნელოვანი რამ. მან გვიჩვენა დიდი ბრიტანეთის მთელი წესწყობილების სიმტკიცე.

მთელი ქვეყნის განსაცვიფრებლათ არც ერთი თოფი არ გავარდნილა. ინგლისი გადაარჩინა გულკეთილებამ და საღმა გონიერებამ.

ლოიალობის შერყევისაკენ მიმართული ცდა მარცხით დამთავრდა. ბევრი გაფიცული გრძნობდა სინიდისის ქენჯნას, ვინაიდან ბრიტანეთის მუშებს არ უყვართ თავიანთი ვალდებულებების დარღვევა.

ბოლდუინმა დასძინა, რომ იგი ისურვებდა, რომ ბრიტანეთის მუშათა მოძრაობა უცხო ერების გარეშე სწარმოებდეს და მიდიოდეს ინგლისელების მიერ გამომუშავებულ ინგლისური გზით.

პერსელის და ხიკსის განცხადება

ლონდონი, 13 ივნისი. გენერალურ საბჭოს წევრმა ხიკსმა და პერსელმა „სენდეი უორკერში“ გამოაქვეყნეს წერილი, რომელშიაც ისინი აცხადებენ, რომ საყოველთაო გაფიცვამ მთელი რიგი სუსტ მხარეებისა გამოამჟღავნა. მაგრამ მუშებმა ამით მიიღეს კლასობრივი ბრძოლის გამოცდილება, რომელიც წინედ არა ჰქონდათ.

„სენდეი უორკერის“ მოწინავე კომენტარიებს უკეთებს ამ წერილს და გამოსთქვამს მწუხარებას, რომ ხიკსმა და პერსელმა ნათლად არ აღნიშნეს, რომ სისუსტე გამოიჩინეს არა მუშებმა, არამედ გენერალურმა საბჭომ. გაზეთი სწერს ამის გამო, რომ რადგან „მუშები დასჯიან ბელადებს. რომლებმაც ისინი გასცეს, ხიკსმა და პერსელმა ერთი სიტყვაც არა სთქვეს იმის შესახებ, რომ ისინი ტომასთან ერთად არ მოქმედებდენ 12 მაისის გამცემლობის დროს.

დასასრულ მოწინავე დასძენს, რომ თუ ხიკსი და პერსელი გულწრფელნი არიან, მაშინ მათ იბრძოლონ ნახშირის დატვირთვის და შემოტანის წინააღმდეგ.

უცხოეთის ნახშირი

პარიზი, 13 ივნისი. ბელგიის კომპარტიის ორგანოს „დრაპო დრუჟის“ ცნობით, ინგლისის მრეწველებმა უკანასკნელ დღეებში ბელგიაში შეისყიდეს 2½ მილ. ფრანკის ქვანახშირი. ბელგიის ნახშირის მარაგი თითქმის გაყიდულია. მაღაროს პატრონები ცდილობენ გაადიდონ ქვა-ნახშირის ამოღება სამუშაო დღის გადიდებით და მომუშავეთა ახალი წყების შემოღებით.

ამერიკის მუშების დახმარება

ნიუ-იორკი, 13 ივნისი. ამერიკის მაღაროს მუშების კავშირი იტყობინება, რომ მათ ინგლისის მაღაროს მუშებს გაუგზავნეს მნიშვნელოვანი თანხა. კავშირი მოუწოდებს ადგილობრივ ორგანიზაციებს ინგლისელ ამხანაგებისათვის გადასდონ შრომის ხელფასის ნაწილი.

ნიუ-იორკი, 13 ივნისი. მუშათა საერთაშორისო დამხმარე კომიტეტის ამერიკის სექციამ ინგლისის მაღაროს მუშების ფედერაციას გადაუგზავნა 1.000 დოლარი და კიდევ აგრძელებს თანხების შეკრებას.

მკერავ მუშათა კავშირმა ინგლისის მაღაროს მუშებს გადაუგზავნა 10.000 დოლარი.

რევოლიუცია აუცილებელია

ლონდონი, 14 ივნისი. ინგლისის მთავრობას გადაწყვეტილი აქვს საკანონმდებლო წესით მოაგვაროს კონფლიქტი ქვა-ნახშირის მრეწველობაში. კუკი თავის სიტყვაში ეხება მთავრობის ასეთ განზრახვას და ლაპარაკობს, რომ ამ შემთხვევაში რევოლიუცია აუცილებელი გახდება. „ტელეგრაფ იუნიონ“ იტყობინება, რომ კუკმა სთქვა:

„ქვა-ნახშირის საკითხი მაშინ საბედისწერო გახდება ინგლისისათვის“.

ზარალი გაფიცვისაგან.

ლონდონი, 14 ივნისი. სტატისტიკური ცნობებიდან სჩანს, რომ გაფიცვის გამო ინგლისის ექსპორტი 18 მილიონი გირ. სტერლინგით შემცირდა, ხოლო იმპორტი—23 მილ. გირ. სტერლინგით.

საბუთები მსოფლიო ომის შესახებ

რომი, 13 ივნისი. ამ ცოტა ხნის წინად იტალიურ ენაზე გამოცემულ იქნა თავის დროზე საბჭოთა კავშირის მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტები მსოფლიო ომის შესახებ. დოკუმენტებმა იტალიის საზოგადოებრივ აზრზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

გაზეთები აღნიშნავენ ბოლშევიკების დამსახურებას მოკავშირეთა დიპლომატიის ინტრიგების გამომჟღავნებაში. გაზეთები „პოპოლო და იტალია“ და „იმპერო“ აცხადებენ, რომ იტალია არასოდეს არ დაივიწყებს მოკავშირეების ღალატს, რამაც მას სმირნა დააკარგვინა.

„ლავორო დ'იტალია“. იუწყება, რომ ახლო მომავალში მუსოლინის თანხმობით გამოქვეყნებულ იქნება იტალიის საიდუმლო დოკუმენტები, რომელნიც ეხებიან იტალიის პოზიციას მოკავშირეების მიმართ.

დემონსტრაციები პრაღაში

პრაღა, 13 ივნისი. **ჩეხიის კომპარტიამ მოაწყო გრანდიოზული საპროტესტო დემონსტრაცია გადასახადების უაღრესად გადიდების წინააღმდეგ. მიტინგების დამთავრების შემდეგ ცხენოსანმა და ქვეითმა პოლიციამ იერიში მიიტანა უიარაღო ხალხზე. შეტაკების შედეგათ დაჭრილია მრავალი დემონსტრანტი.**

პოლიტ-ტუსაღთა შიმშილობა

ვენა, 13 ივნისი. ბელოსტოკის ციხეში სიმშილობა გამოაცხადა 300-მა პოლიტიკურმა ტუსაღმა. სიმშილობა გამოცხადებულია ნიშნად პროტესტისა ციხის რეჟიმის გაუარესების და პატიმრებისადმი უხეში მოპყრობის წინააღმდეგ.

აბდ-ელ-ქერიმის დამარცხების შემდეგ

მამხილებელი საბუთები

პარიზი, 14 ივნისი. დეპუტატთა პალატაში მაროკოს შესახებ შეკითხვა შეიტანა კომუნისტების დეპუტატმა დორიომ. შეკითხვაში მან მოიტანა საბუთები, რომელნიც ამტკიცებენ, რომ ჯერ კიდევ 1924 წელს **საფრანგეთის მაროკოელი კომისარი აწვდიდა რიფებს იარაღს და ცდილობდა აჯანყება გამოეწვია.**

აბდ-ელ-ქერიმი ყოველთვის ეძებდა სამხედრო მოქმედების შეწყვეტის შესაძლებლობას, მაგრამ საფრანგეთის ბურჟუაზიამ, რომელსაც რიფების სიმდიდრის ხელში ჩაგდება უნდოდა, აბდ-ელ-ქერიმს მისცა ჰაეროპლანები ესპანეთთან საბრძოლველად.

„საჭიროა გამოქვეყნებულ იქნეს—ამბობს დორიო—მთელი საიდუმლო მიწერ-მოწერა, რომელიც აბდ-ელ-ქერიმს დაუჭირეს და მაშინ აშკარა გახდება, ვინ მოუწოდებდა საომრად რიფებს“.

საფრანგეთ - ესპანეთის კონფერენცია

პარიზი, 14 ივნისი. 14 ივნისს პარიზში იხსნება საფრანგეთ-ესპანეთის კონფერენცია რიფების საკითხის გარშემო.

საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ყრილობა

(წერილი საფრანგეთიდან)

მეორე ინტერნაციონალის ფრანგულმა სექციამ თავისი ჩვეულებრივი ყრილობა გამართა 23 მაისიდან 26 მაისამდე კლერმონ ფერრანში.

ეს არის სოციალისტების მეოთხე ყრილობა 1925 წლის დასაწყისიდან. ასეთი ხშირი ყრილობა აუცილებელი აღმოჩნდა მემარცხენე ბლოკის პროგრესიული დაშლისა და ამ ბლოკის მიერ ამრჩეველთა მასსაში ილიუზიების გაფანტვის გამო.

თუმცა დღის წესრიგში შეტანილი არ იყო საზოგადო პოლიტიკის საკითხი, მაგრამ კამათი თითქმის მხოლოდ ამ საკითხის გარშემო ტრიალებდა. დღევანდელი პირობებში ეს ასეც უნდა მომხდარიყო. ამ კამათმა გამოარკვია, რომ ხდება თანდათანობითი უკან დახევა მემარცხენე ბლოკისა, მის ადგილს იჭერს საშუალო პარტიების თანამშრომლობა. ეს საშუალო პარტიები მარჯვნივ იხრებიან. ამას ზედ ერთვის მწვავე ფინანსიური კრიზისი, რომლის გადაწყვეტას მთავრობა მსხვილი ბურჟუაზიისა და საერთაშორისო ფინანსიური ოლიგარხიის სურვილების მიხედვით სცდილობს.

ყველა ორატორები ერთსულოვნად აღიარებენ, რომ როგორც სოციალისტურ პარტიაში, ისე მთელ ქვეყანაში დიდი უკმაყოფილება და გზადაბნეულობაა გამეფებული. მთავრობისათვის მხარის დაჭერის პოლიტიკამ არაფერი მისცა მუშებსა, გლეხებსა, მოხელეებსა და წვრილ ბურჟუას, რომელთაც უკანასკნელ არჩევნებში ხელი შეუწყვეს მემარცხენე ბლოკის გამარჯვებას. კიდევ მეტი: სახელი გაუტყდა თვით საპარლამენტო სისტემას. ამის შემდეგ სოციალისტურ პარტიას არ შეუძლია ამ ავლადიდებით თავიანთი ამრჩევლების წინაშე წარსდგეს. სოციალ-დემოკრატიის ხელმძღვანელებს სტანჯავთ საშინელი აზრი, რომ ერთი „საკანონმდებლო პერიოდი“ საბოლოოდ დაკარგულია. საჭიროა ამ ჩიხიდან თავის დაღწევა, რომელშიც პარტია შეიჭრა, საჭიროა პარტიის გარეგნული სახის ცოტათი მაინც შელამაზება.

ამ მდგომარეობამ საფრანგეთის სოციალ-დემოკრატიაში შინაგანი წინააღმდეგობანი გააძლიერა: **რენოდელის ჯგუფი**, რომელიც, უწინარეს ყოვლისა, ძველი მიმდევრებისაგან შედგება, პირველად მთავრობაში მონაწილეობის მიღების პოლიტიკას იცავდა, შემდეგ კი, როცა ეს პოლიტიკა წარსული წლის აგვისტოში მომხდარმა პარტიულმა ყრილობამ დაჰგმო, ხსენებული ჯგუფი მთავრობის მხარის დაჭერის გზას დაადგა, ყოველი პირობის გარეშე. პარტიული ცენტრი, რომელსაც ის აწესებს, რომ მემარცხენე ბლოკის ჩაშვავებამ სოციალ-დემოკრატიაც თან არ ჩაიყოლიოს, სცდილობდა პარტიისათვის წაჯექ-უკუჯექობის ტაქტიკა ეკარნახებია და საბოლოოდ არც მხარის დაჭერის პოლიტიკა მიეღო და არც ოპოზიციაში ჩადგომისა. ბოლოს, პროლეტარული ელემენტების ზეგავლენით შეიქმნა მემარცხენე ფრთა, რომელიც წმინდა სოციალისტური მთავრობის შედგენას ემხრობოდა, მხოლოდ ეს კაპიტალისტური წესწყობილების ჩარჩოებში უნდა მომხდარიყო.

ცენტრის გამარჯვებამ 1925 წლის აგვისტოსა და 1926 წლის იანვარში კიდევ უფრო გაამწვავა ამ მუდმივ მერყევი პარტიის უმწეო მდგომარეობა. გაჩაღდა განუწყვეტელი შინაგანი ბრძოლა ცენტრალურ კომიტეტისა, რომელიც ცენტრისტებისაგან **(ბრაკე, კომპერ-მორელი, ლონგე, პოლ ფორი)** შესდგება და პარლამენტის ფრაქციაში მოკალათებულ რენოდელის ჯგუფს შორის.

კლერმონ-ფერრანის ყრილობას ხელახლა უნდა განემტკიცებია პარტიის შერყეული მდგომარეობა. ამ ყრილობას პარლამენტის დეპუტატები მეთაურობდენ, რომელთაც არავითარი კავშირი არ აქვთ მუშათა კლასთან და მხოლოდ საპარლამენტო მოღვაწეობისთვის ზრუნავენ, მუშები კი რიცხვითაც ნაკლები იყვნენ და მორცხვადაც გამოდიოდნენ: მათ სიტყვებს თითქმის არავინ უგდებდა ყურს. არც ერთი სიტყვა არ თქმულა პროლეტარიატის გაჭირვების ზრდაზე, გაფიცვებზე, რომელიც მთელს საფრანგეთს მოედო, ფაშისტურ საფრთხეზე. მხოლოდ იმაზე იყო ლაპარაკი, თუ როგორ მოინახოს გამოსავალი პარლამენტში შექმნილ ჩიხიდან.

რენოდელის ჯგუფი ხელ-ახლა პერიოს სამინისტროს შედგენაზე ოცნებობს. ეს ჯგუფი ჰგმობს ბრიანს, რომელმაც თავისი ვერაგული ოინებით მემარცხენე ბლოკი ააფეთქა.

პარტიის ცენტრი, პირიქით, წინააღმდეგია ხანგრძლივი კავშირისა სოციალ-დემოკრატიის მარჯვნივ მდგომ პარტიებთან, მაგრამ ამასთანავე სასტიკად ილაშქრებს კომუნისტურ პარტიასთან საერთო ფრონტის შედგენის წინააღმდეგაც.

სოციალისტური პარტია ფიქრობს, რომ ამ ვითომდა მკაცრი პრინციპების წამოსასხამში გახვეული, ის მასსებს დაავიწყებინებს ახლობელ წარსულს და არჩევნების დროს ხელახლა ნდობას მოიპოვებს. მას იმედი აქვს, რომ არჩევნებში ყველა პარტიებს აჯობებს და მთავრობის შედგენას იკისრებს.

პარტიულმა ყრილობამ დიდი უმრავლესობით (2.249 ხმით 166 მემარცხენისა და 185 მემარჯვენის წინააღმდეგ) მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ის ჰგმობს ორგანიულ თანამშრომლობას ბურჟუაზიულ მთავრობასთან, მაგრამ ამასთანავე საჭიროთ სთვლის ისეთი მთავრობის მხარის დაჭერას, „რომელიც რეაქციას ებრძვის და ამასთანავე ეკონომიური და ფინანსიური მდგომარეობის გამოსასწორებლად იღწვის, მხოლოდ ისე კი რომ მშრომელ ელემენტებს რაიმე უსამართლო ტვირთი არ დააწვეს“. ოპოზიცია ბრიანის წინააღმდეგ „არც სისტემატიური უნდა იყოს და არც დემაგოგიური“. ეს რეზოლიუცია სასტიკად ჰგმობს აგრეთვე საერთო პროლეტარულ ფრონტის აზრს, „როგორც ბოლშევიკურ ოინს მუშათა კლასის ძალების გასათიშავად“.

პარტიული ყრილობა მეტად სულგრძელად მოეპყრო მემარჯვენეებს, სამაგიეროთ გასაოცარი სისასტიკე გამოიჩინა პატარა მემარცხენე ჯგუფის წინააღმდეგ, რომელიც **მორენის** ხელმძღვანელობით მეტად გაუბედავათ და არეულად დაიწყო კომუნისტებთან დაახლოვების პოლიტიკის დაცვა და ამრიგად საფრანგეთის სოციალისტურ ყრილობაზე პირველად გამოიწვია დიდი კამათი საერთო პროლეტარულ ფრონტის საკითხის გარშემო.

ამ რეზოლიუციამ მწვავე ინციდენტები გამოიწვია. მემარჯვენეები უარს ამბობდენ პარტიის ცენტრალურ კომიტეტში მონაწილეობის მიღებაზე, მაგრამ მოსალოდნელია, რომ ურთიერთი დათმობა პარტიის ცენტრსა და მემარჯვენე ფრთას შორის შინაურ უთანხმოებებს გაანელებს და ერთიანი სოციალისტური ფრონტი შეიქმნება გაძლიერებული კომუნისტური საფრთხის წინააღმდეგ.

მემარჯვენეების ყოფაქცევა გამოწვეულია იმით, რომ მათ სურთ საშუალო წოდებისა და გლეხკაცობის თანაგრძნობა შეინარჩუნონ და მომავალში რადიკალური პარტიის მემკვიდრეობა მიიღონ. პარტიის უმრავლესობას კი ეშინია, რომ თუ პარტია კიდევ უფრო მარჯვნივ გადაიხარა, იმედგაცრუებული მუშები საბოლოოდ კომუნისტური პარტიისაკენ იბრუნებენ პირს.

სოციალისტურ პარტიას დღეს 110.000 წევრი ჰყავს, მათ შორის 20.000 წევრი ახალშეძენილია. უმნიშვნელოვანეს ინდუსტრიალურ ცენტრებშიც კი მუშების დიდი ნაწილი სოციალისტური პარტიის გარეშე სდგას, და კომუნისტური პარტიის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ პროპაგანდა აწარმოოს ამ პროლეტარულ მასსებში, რომელთაც სოციალისტური პარტიის ნდობა დაეკარგათ და მზად არიან კომუნისტური პარტიისაკენ მიმავალ გზას დაადგენ.

მოსახსენებელია კიდევ ორი გარემოება. ყრილობაზე სასტიკი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს **პოლ ბონკურის** ყოფაქცევა ხალხთა ლიგაში; მაგრამ ეს კრიტიკა უფრო დემაგოგიურ მოსაზრებით იყო ნაკარნახევი: მას უფრო აღშფოთებული პროლეტარიატისთვის თვალი უნდა აეხვია, ვიდრე ხალხთა ლიგა და პოლ-ბონკურის პოლიტიკა გაეკიცხა. კოლონიური პოლიტიკის საკითხში კი არავითარი რეზოლიუცია არ მიუღიათ.

ყველა ორატორებმა, რომელნიც ამ საკითხს შეეხენ, ქება შეასხეს კაპიტალიზმის ცივილიზატორულ მოღვაწეობას კოლონიებში და მხოლოდ მოითხოვეს, რომ ადგილობრივ მოსახლეობას „დემოკრატიული გარანტიები“ მისცემოდათ.

ჭეშმარიტად ბურჟუაზიას შეუძლია უშიშრად უცქიროს ასეთი სოციალისტური პარტიის „განმტკიცებას“ და „აღორძინებას“.

ფ. ბერლიო.

პარიზი, 4 ივნისი.

ს ა ბ ჭ ო თ ა პ რ ე ს ა

უნდა მოვიზიდოთ ადგილობრივი საშუალებები

თუ ომამდე წვრილ კრედიტის დაწესებულებათა კაპიტალების უდიდეს ნაწილს გლეხურ მოსახლეობის ანაბარები შეადგენენ, დღეს ისინი უმთავრესად სახელმწიფოს საშუალებებით იკვებებიან. ომის დროს რევოლიუციის პირველ წლებში სასოფლო მეურნეობა დაქვეითდა და გლეხებს მარტო საკუთარი ძალებით არ შეეძლოთ საკრედიტო სისტემის აღდგენა. სახელმწიფო მიეშველა მას და თავის ფონდებიდან საგრძნობი თანხები დააბანდა საკრედიტო კოოპერაციაში. შემდეგისათვის ადგილობრივ საშუალებათა მონაწილეობა სასოფლო კრედიტის სისტემაში აუცილებლად უნდა გაიზარდოს. ამისათვის სათანადო პირობები იქმნება სასოფლო მეურნეობის აღორძინების და გლეხობის ნივთიერი მოღონიერების სახით. და ჩვენ ვხედავთ, რომ საანაბარო ოპერაციები ვითარდება. უკანასკნელ წლის განმავლობაში ეს ოპერაციები თითქმის ხუთჯერ გაიზარდა. მაგრამ ეს ოდნავადაც არ არის საკმარისი საკრედიტო კოოპერაციის საკუთარ ფეხებზე დაყენებისათვის. უნდა იქნეს სათანადო ზომები მიღებული მეტი ადგილობრივ საშუალებათა მისაზიდათ, მით უფრო, რომ სახელმწიფო ამ დარგში, მთელი რიგი მიზეზების გამო, იძულებული ხდება კრედიტები შეამციროს. ამ მხრივ კერძოდ საჭირო ენერგია და თაოსნობა უნდა გამოიჩინონ სასოფლო-საკრედიტო ამხანაგობათა გამგეობებმა.

ამ საკითხს „ეკონომიჩესკაია ჟიზნ“-ში ეხება ნ. ნაზარევსკი:

„უნდა ავიღოთ მტკიცე კურსი ამხანაგობებში გამგეობათა სათანადო შერჩევისაკენ. უკანასკნელნი უნდა იყვნენ არა მარტო პატიოსანი, არამედ აქტიური მუშაკები, პასუხისმგებელნი საანაბარო საშუალებათა მიზიდვის მხრივ თავის მუშაობის, ან უფრო ხშირად, უმოქმედობის შედეგებისათვის. ანაბარების უქონლობის მთავარი მიზეზი ჩვეულებრივ არის ის, რომ გამგეობები ცუდათ იცნობენ თავის წევრებს და სათანადოთ ვერ უდგებიან მათ. საანაბარო ოპერაციების განვითარების წაქეზების მიზნით, [illegible] ბანკები დაადგენ საქმიან გზას; მათ უნდა გაუდიდონ კრედიტები იმ ამხანაგობებს, რომელთაც საკმაო უნარი გამოიჩინეს ანაბარების მოზიდვაში, იმ კოოპერატივების ხარჯზე, რომელნიც ჯერ კიდევ უყურებენ თავის თავს, როგორც მხოლოდ სახელმწიფოსაგან მიღებულ სესხის განმანაწილებელ აპარატს.

საკრედიტო ამხანაგობათა გამგეობები უნდა იყვნენ აცნობილი ამხანაგობათა წევრების სამეურნეო მდგომარეობას და ფულად რესურსებს. მათ პირადად უნდა მიიღონ ცხოველი მონაწილეობა ანაბარების მიზიდვაში. კერძოდ უნდა იქნას გამოყენებული ანაბარების თვითეულ შესაძლებელ შემომტანთან პირადი მოლაპარაკების გზა, და გულზე ხელები არ უნდა დავიკრიფოთ იმის მოლოდინში, რომ ანაბარები თავის თავად გადიდდება. ანაბარების შემტანი ამასთან უნდა იყოს ეკონომიურად დაინტერესებული საანაბარო ოპერაციის განვითარებით. ანაბართა მუდმივი პატრონები უნდა სარგებლობდენ უპირატესობით საკრედიტო ამხანაგობათა მიერ მათთვის სამსახურის გაწევის მხრივ. ამავე დროს ანგარიში უნდა გაეწიოს გლეხის პსიქოლოგიას. არის სოფლები, სადაც დღემდე დარჩენილია არა სწორი წარმოდგენა ანაბარების პატრონებისადმი საბჭოთა ხელისუფლების დამოკიდებულების შესახებ. ანაბარების ზრდას ზოგჯერ ხელს უშლის შიში, რომ ანაბარების პატრონი არ ჩასთვალონ კულაკად, ყველა აქედან გამომდინარე შედეგებით“.

ყველა ეს მომენტი ღირსია ჯეროვანი ყურადღების საკრედიტო კოოპერაციის განვითარებისათვის, მათი გაძლიერებისათვის ადგილობრივი საშუალებებით. გარდა ამისა, მოსახლეობა უნდა იყოს სავსებით დარწმუნებული, რომ მიბარებულ ფულს არამც თუ არ მოელის არავითარი საფრთხე, არამედ მას მისი პატრონი მიიღებს პირველ მოთხოვნილებისთანავე და საქმის გაუჭიანურებლად.

კარლო ჩხეიძის თვითმკვლელობის გარშემო

(ჩვენი კორესპონდენტისაგან)

პარიზი, 14 ივნისი. 11 ივნისს, საღამოს 8 საათზე გარდაიცვალა კარლო ჩხეიძე. იმ პირობებს, რომლებშიაც მოხდა თვითმკვლელობა, მენშევიკები დაჟინებით ფარავენ. ეს-ერების გაზეთი „დნი“ 9 ივნისს ძალიან ცუდ გუნებაზე გამოვიდა და მხოლოდ 12 ივნისს იტყობინებოდა ჩხეიძის თვითმკვლელობისა და გარდაცვალების შესახებ.

ჩინეთის რევოლიუციონური ძალები

მოსკოვი, 14 ივნისი. მოსკოვში ჩამოვიდა ჩინეთში საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლობის მრჩეველი ამხ. **სოლოვიოვი**, რომელმაც საკავშირო დეპეშათა სააგენტოს წარმომადგენელთან საუბრის დროს განაცხადა:

„იმპერიალისტურ სახელმწიფოების ცდა შეექმნათ ჩინეთის რეაქციონურ-მილიტარისტულ ძალების მთლიანი ბლოკი ჩან-ძო-ლინის და უ-პეი-ფუს მეთაურობით. აშკარად დამარცხდა თვით გენერლებს შორის არსებულ კინკლაობის მეოხებით.

შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ შეუძლებელია რაიმე ხანგრძლივი შეთანხმება უ-პეი-ფუსა და ჩან-ძო-ლინს შორის. ეხლანდელი მდგომარეობა ჩინეთში გაგრძელდება მანამ, სანამ სცენაზე არ გამოვლენ ნაციონალურ - რევოლიუციონური ძალები, რომელთაც უნდა გადასჭრან ჩინეთის გაერთიანების ამოცანა და უნდა გამოიყენონ ამ საქმეში მოსახლეობის ყველა ფენები.

ნაციონალურ მოძრაობის შესუსტებას ჩინეთის მტრები ძლიერ აზვიადებენ. **ჩინეთის ნაციონალურ - რევოლიუციონური ძალები ბოლო დროს თანდათან იზრდება. ჩინეთის სამხედრო ნაწილში მნიშვნელოვნად გაძლიერდა გომინდანი, რომელსაც ეხლა თავის რიგებში ჰყავს 334.000 კაცი.** იმპერიალისტური პრესა ცდილობს გააზვიადოს გომინდანის ძირითადი მიზნები და წამდაუწუმ გაჰყვირის წითელ საფრთხეზე. ნამდვილათ კი გომინდანი ბურჟუაზიულ - ნაციონალური პარტიაა და არავითარ მემარცხენე ექსპერიმენტების მოხდენას არ აპირებს. არ არის აგრეთვე სწორი, როცა კანტონის მთავრობას მუშურ - გლეხურ მთავრობას უწოდებენ. ეს ტიპიური ბურჟუაზიულ - ნაციონალური მთავრობაა, რომელსაც, მიუხედავათ ამისა, ესმის, რომ საბჭოთა რესპუბლიკასთან კავშირის გარეშე ის ვერ მიაღწევს ჩინეთის განთავისუფლებას. კანტონის მთავრობას აქვს ჯანსაღი სახელმწიფო აპარატი, რომელიც დაკავშირებულია პერიფერიასთან. მას ჰყავს აგრეთვე, სპეციალისტების აზრით, მშვენივრად მოწყობილი ჯარი. გარდა ამისა კანტონის ჯარის მოკავშირეა ხუნანის პროვინციის არმია, რომელსაც ხელმძღვანელობს გენერალი ტან-შენ-ჩინი.

ჩინეთის საბაჟო ავტონომია

პეკინი, 13 ივნისი. სრულიად ჩინეთის სავაჭრო პალატათა კავშირმა დეკლარაცია გამოაქვეყნა, რომელშიაც იმედების გაცრუებას გამოსთქვამს საბაჟო კონფერენციის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანის გამო.

დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ ჩინეთის ვაჭრები გაგრძელებას მოითხოვენ, სანამ არ იქნება მოგვარებული ყველა ის საკითხები, რომლებიც საბაჟო ავტონომიასთან არიან დაკავშირებულნი.

შანხაის დახვრეტების წლის თავი

კანტონი, 13 ივნისი. კანტონის დემონსტრაციაში, რომელიც შანხაის დახვრეტების წლის თავის გამო იყო მოწყობილი 30 მაისს, 200.000-ზე მეტი კაცი დაესწრო.

აუარებელი მუშები, გლეხები, სტუდენტები, ვაჭრები და ჯარისკაცები შეიკრიბენ ქალაქის აღმოსავლეთ ნაწილის მოედანზე, სადაც შესდგა მიტინგი. მთავრობის დაწესებულებათა შენობები, მაღაზიები და დუქნები დაკეტილი იყო; დროშები დაშვებული.

სიტყვები წარმოსთქვეს კომპარტიის, გომინდანის, ყველა პროფკავშირების, გაფიცვის კომიტეტის, რევოლიუციონურ არმიის, სამხედრო აკადემიის და ვაჭართა კავშირის წარმომადგენლებმა. მიტინგის შემდეგ დიდი დემონსტრაცია შესდგა.

კანტონის არმიის გამარჯვება

ლონდონი, 14 ივნისი. **შანხაიდან მიღებული ცნობით, კანტონის მთავრობამ დამხმარე ძალები გაუგზავნა გენერალ ტან-შენ-ჩინს, რომლის ჯარმა ჩრდილოეთისაკენ დაახევია უ-პეი-ფუს რაზმებს. დამხმარე ძალები მოუვიდათ აგრეთვე რაზმებსაც. კანტონის ძალები თავს იყრიან კიანგ-სის საზღვრებზე.**

იაპონიის წინააღმდეგ

ტოკიო, 13 ივნისი. 10 ივნისს კორეის იმპერატორის დამარხვის დღეს, კორეის ქალაქში სეულში გაიმართა დიდი ანტი-იაპონური დემონსტრაციები.

ხალხი ათასობით გაიძახოდა: „გაუმარჯოს კორეის დამოუკიდებლობას, ძირს იაპონია“. ქალაქში ადგილი ჰქონდა შეტაკებას დემონსტრანტებსა და პოლიციას შორის. **ქუჩები მოფენილი იყო რევოლიუციონური ხასიათის მოწოდებებით.** საიდუმლო პოლიციის აგენტები დაძრწოდენ ხალხში და თვალყურს ადევნებდენ, თუ ვინ ისვროდა იაპონიის საწინააღმდეგო ლოზუნგებს. როგორც კი დროს იხელთებდენ, პოლიციელები ატუსაღებდენ ასეთებს და ავტომობილით გზავნიდენ ციხეში. დაპატიმრებულია რამდენიმე ათასი კაცი.

ტოკიო, 13 ივნისი. **ტოკიოს პოლიციამ ქალაქში მცხოვრებ კორეელებს აუკრძალა ყოველგვარი გამოსვლა კორეის იმპერატორის გარდაცვალების დღის აღსანიშნავად.** მიუხედავათ ამისა იმპერატორის სასახლესთან და ქალაქის სხვა ადგილებში შეიკრიბენ დემონსტრანტები, რომელნიც პოლიციამ გარეკა. დაპატიმრებულია დემონსტრაციის მრავალი მონაწილე.

მუშების გამარჯვება

ნიუ-იორკი, 13 ივნისი. **ბეწვეულობის მრეწველობის 12.000 მუშის გაფიცვა, რომელიც 18 კვირას გრძელდებოდა, მუშების გამარჯვებით დამთავრდა.** მწარმოებლები დასთანხმდენ 40 საათიან სამუშაო კვირაზე, სამუშაო ხელფასის 10 პროცენტით გადიდებაზე და პროფკავშირთა კონტროლის გაფართოებაზე.

აღმოსავლეთის ცხოვრება

მოსულის ხელშეკრულების გარშემო

ანგორა, 13 ივნისი. ოსმალეთის საზოგადოებრივი აზრი თითქმის ერთხმად აღიარებს, რომ მოსულის ხელშეკრულებამ ოსმალეთს თავიდან ააცილა ომი, რომლის საშიშროება იძულებულს ხდიდა სახელმწიფოს მთელი თავისი ძალები ქვეყნის თავდაცვის საჭიროებისათვის მოენდომებია.

გაზეთები აღნიშნავენ, რომ ხელშეკრულება, რომელიც გულისხმობს მოსულზე ხელის აღებას, წარმოადგენს მხოლოდ მომხდარი ფაქტის პოლიტიკურ დადასტურებას, ვინაიდან მოსულის ოკუპაცია, რომელიც მოხდა ჯერ კიდევ რესპუბლიკანური ოსმალეთის წარმოშობამდე, ვერ შეარყევს იმ რწმენას, რომ ოსმალეთს უფლება აქვს მომავალში დაიბრუნოს მოსული.

ახალი აჯანყება სირიაში

ანგორა, 13 ივნისი. ადანიიდან მიღებული ცნობებით, **სირიაში დაიწყო ახალი აჯანყება.**

ზაგლულ ფაშას იმედები

ბერლინი, 14 ივნისი. „ფოსიშე ცეიტუნგის“ კორესპონდენტთან საუბარში **ზაგლულ ფაშამ** განაცხადა, რომ აბსოლიუტიზმის პერიოდი დამთავრდა, რადგან პარლამენტის ოთხი მეხუთედი მისი პარტიის წევრებისაგან შესდგება. ზაგლულ ფაშა მხარს უჭერს ფართე რეფორმებს და ევროპასთან მეგობრულ ურთიერთობის დამყარებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ცაკის მესამე სესია სოხუმში

13 ივნისის დილის სხდომა

აფხაზეთის მთავრობის ანგარიში

ამხ. ლაკობას მოხსენება

სოხუმი, 13 ივნისი. სესიის 13 ივნისის დილის სხდომაზე მოსმენილ იქნა აფხაზეთის მთავრობის ანგარიში. მომხსენებლით გამოვიდა ამხ. ლაკობა.

„პირველად აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის განმავლობაში,—სთქვა მან,—გვიხდება მოხსენების გაკეთება საქართველოს ცაკის წინაშე აფხაზეთის მთავრობის მოღვაწეობის შესახებ. ეს გარემოება მავალებს, ცოტათ თუ ბევრათ, სრული სურათი დავხატო ჩვენი მუშაობის. მაგრამ, უნდა გამოვტყდე, ჩემი მოხსენების თემის ამოწურვა იმ დროის განმავლობაში, რომელიც ჩვეულებრივ ეძლევა მომხსენებლებს, ძნელი იქნება. მაინც შევეცდები გავაკეთო აფხაზეთის მთავრობის მოღვაწეობის მიმოხილვა და აღვნიშნო ზოგიერთი მომენტები, რომლებიც, ჩემის აზრით, ჩატარებულ მუშაობას ახასიათებენ.

რომ აფხაზეთი სოფლის მეურნეობის ქვეყანაა, ეს არ არის სადაო საკითხი. ამიტომ არც გასაკვირი იქნება, თუ ჩემს მოხსენებას აფხაზეთის სოფლის მეურნეობის მდგომარეობის დახასიათებით დავიწყებ“.

მომხსენებელი დეტალურად ახასიათებს აფხაზეთის სოფლის მეურნეობის ცალკე დარგების მდგომარეობას და ხაზს უსვამს აფხაზეთის გლეხობის სიღარიბეს და ჩამორჩენილობას და აგრეთვე სათანადო სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის უქონლობას.

გადადის რა ძვირფასი კულტურების დახასიათებაზე, მომხსენებელი ამბობს:

„თუ ჩვენ თვალს გადავავლებთ სოფლის მეურნეობის მდგომარეობას 1923 წლიდან დღევანდელ დღემდე, დავინახავთ, რომ აფხაზეთის სოფლის სამეურნეო ძალები ვითარდება ძვირფასი კულტურების მიერ ნაკლებშემოსავლიან კულტურების განდევნის ხაზით.

აფხაზეთი თავისი ჰავითა და ნიადაგით ჩვენი კავშირის საუკეთესო კუთხეს წარმოადგენს სამრეწველო ძვირფასი კულტურების განვითარებისათვის. აფხაზეთის მთავრობის ღონისძიებები უკანასკნელი წლების განმავლობაში მიზნად ისახავდენ სოფლის მეურნეობის სამრეწველო კულტურების განვითარებას ომამდე არსებულ დონემდე. გარდა ამისა, აფხაზეთის მთავრობა ცდილობს ისეთი კულტურების თანდათანობით გავრცელებას, რომლებსაც ხელს უწყობს ჩვენი ჰავა და ნიადაგი. ამ ღონისძიებათა შედეგები თვალსაჩინოა“.

განსაკუთრებით ვრცლად ეხება მომხსენებელი მეთამბაქოობის განვითარებას და აღნიშნავს, რომ აფხაზეთის მთავრობის მთავარი მიღწევები სწორედ ამ დარგშია. თამბაქოს მოსავალი და ნათესების სივრცე უდრის 1913 წლის მოსავალსა და სივრცეს. ეს უკანასკნელი საუკეთესო წლიწადათ ითვლებოდა აფხაზეთის მეთამბაქოობის განვითარების ისტორიაში.

ეს მიღწევები მთავრობის მიერ თავის დროზე მიღებულ მიზანშეწონილ ღონისძიებათა შედეგია. ეხლა დღის წესრიგში სდგას მიწათმოწყობის სამუშაოების ჩატარება, რომელსაც უკვე შევუდექით. ამ მიზნისათვის გადადებულია 280.000 მანეთამდე. სამი წლის განმავლობაში მთელი აუცილებელი მიწათმოწყობის სამუშაოები დამთავრებული იქნება.

„სახელმწიფო სავაჭრო აპარატი და კოოპერაცია,—ამბობს შემდეგ ამხ. ლაკობა,—შეთანხმებულად მუშაობენ. საზიანო კონკურენციას მათ შორის ვებრძვით. სახელმწიფო სავაჭრო სააქციო ამხანაგობა იქ ხსნის მაღაზიებს, სადაც კოოპერაცია ფინანსიურად და ეკონომიურად უძლური აღმოჩნდა.

კოოპერატიულ აღმშენებლობაში ყველაფერი რიგზე არ არის. მის განვითარებას ხელს უშლის მთელი რიგი დაბრკოლებები. ერთი მთავარი დაბრკოლებათაგანია მოსახლეობის უკულტურობა.

მეთამბაქოობის კოოპერაციამ მთელ რიგ ხელსაყრელ პირობათა შეგავლენით განამტკიცა თავისი მდგომარეობა და სახახელოდ ასრულებს იმ ამოცანებს, რომლებიც მის წინაშეა დასმული“.

შემდეგ, ეხება რა მუშაობას სახალხო განათლების დარგში, ლაკობა აღნიშნავს, რომ აფხაზეთის მთავრობის უახლოეს ამოცანას შეადგენს სკოლების ქსელის განვითარება. რადგან, რესპუბლიკის საერთო სამეურნეო ზრდასთან ერთად, იზრდება აფხაზეთის მოსახლეობის კულტურული მოთხოვნილებებიც.

„ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს აფხაზეთის მოსახლეობისათვის,—განაგრძობს ლაკობა,—წარმოადგენს ჯანმრთელობის საკითხი. აფხაზეთის ხალხს მალარია განადგურებას უქადის. ბევრი აქ დამსწრე ამხანაგები უკვე გაეცნენ ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის მოხსენებას. ამ მოხსენებიდან სჩანს, თუ რა საშუალებებით და როგორ ვაწარმოებდით ჩვენ ბრძოლას მალარიის წინააღმდეგ. მარტო ის, რომ ცაკის სესიის წევრებს არ კბენენ სოხუმის კოღოები, მარტო ეს უკვე დიდი მიღწევაა სახალხო ჯანმრთელობის სფეროში (ტაში).

შემდგომ ბრძოლაში მალარიის წინააღმდეგ ჩვენ მეტი ყურადღების და მეტი დახმარების იმედი გვაქვს ცენტრის მხრივ.

მზადდება დიდი მუშაობა ჩვენი კურორტების გაუმჯობესების და განვითარების ხაზით. აფხაზეთი თავისი კლიმატიური პირობებით და გეოგრაფიული მდებარეობით მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო კლიმატიურ სადგურს წარმოადგენს. აფხაზეთის კურორტებს აქვთ არა მარტო ადგილობრივი, არამედ საერთაშორისო მნიშვნელობაც. თუ გამოვიყენებთ ყველა იმ შესაძლებლობებს, რომელიც ამ სფეროში აქვს აფხაზეთს, ამ კუთხეს ჩვენ გადავაქცევთ მთელი საბჭოთა კავშირის ჯანმრთელობის კერათ.

ყველაფერი, რასაც ჩვენ ამ სფეროში ვაკეთებთ ამჟამად, მიმართულია იქითკენ, რომ შევინარჩუნოთ, არ გავაფუჭოთ და მოვუაროთ იმას, რაც ჩვენ მემკვიდრეობით მივიღეთ თვითმპყრობელობისა და მენშევიკებისაგან. მაგრამ ეს მემკვიდრეობაც საკმაოდ დიდ ხარჯებს მოითხოვს. ყველა ამ ამოცანების დაძლევა საკუთარი საშუალებებით ჩვენთვის ძნელი იქნება, თითქმის შეუძლებელიც,—ამიტომ საკითხი აფხაზეთის კურორტებისათვის სპეციალური თანხების გაღების შესახებ მთელი თავის მნიშვნელობით უნდა იქნეს დასმული სათანადო ორგანოების წინაშე“.

ეხება რა აფხაზეთის მრეწველობას, ლაკობა აცხადებს, რომ ის მხოლოდ ფეხს იდგამს. ამჟამად არის ერთი თამბაქოს ფაბრიკა, განზრახულია აგება მეორესი, რომლის მოწყობილობა უკვე მიღებულია. ამ ახალი ფაბრიკის პროდუქცია შეადგენს 10—15 ათას ფუთს წელიწადში.

გარდა ამისა, აფხაზეთში არის საკონსერვო ფაბრიკა და ბამბის საწმენდი ქარხანა. შენდება ორი არყის სახდელი ქარხანა. არსებობს აგრეთვე მთელი რიგი სხვა წვრილი წარმოებებისა.

აფხაზეთის მრეწველობის განვითარებისათვის ხუთწლიანი საპერსპექტივო გეგმის მიხედვით, ტყვარჩელის ქვანახშირიანი ადგილების დასამუშავებლად და სატყეო მრეწველობის განვითარებისათვის გადადებული უნდა იქნეს 2.400.000 მანეთი, თამბაქოს მრეწველობისათვის—800.000 მანეთი, არაყის სახდელი მრეწველობისათვის—200.000 მანეთი, ქიმიურ-სამკურნალო მეურნეობისათვის—100.000 მან. და სხვა. მრეწველობის განვითარება მჭიდროთ დაკავშირებულია აფხაზეთის ტრანსპორტის და საგზაო საქმის მდგომარეობასთან. ამიტომ საჭიროა, რაც შეიძლება ჩქარა, დამთავრებულ იქნეს შავი ზღვის რკ. გზის აგება, საჭიროა აგრეთვე გადაწყდეს ოჩამჩირეში ნავთსადგურის აგების საკითხი, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ხეების სატყეო მრეწველობისათვის. ოჩამჩირეში, ფოთში ან სოხუმში ტყვარჩელის ქვა-ნახშირის საჭიროებისათვის უნდა აშენდეს ნავთსადგური.

„აფხაზეთში უგზობა—ამბობს მომხსენებელი—ჩვენი უმთავრესი უბედურებაა. კარგი გზა აუცილებელი წინასწარი პირობაა მრეწველობის განვითარებისა და საქონლის ტრიალის გამოცოცხლებისათვის. ბურჟუაზიის ერთ-ერთი მოღვაწე ამბობს: „თუ გსურს ქვეყნის კეთილდღეობა, დაიწყე გზებიდან“. ვფიქრობ, რომ ყოველი ბურჟუა როდი სტყუის და ამ შემთხვევაში მან მართალი სთქვა“ (სიცილი და ტაში).

1925—26 წლის ბიუჯეტში აფხაზეთი მოელოდა 2.126.000 მანეთს, მაგრამ საქართველოს ფინანსთა სახ. კომისარიატმა მიიღო ნაკლები თანხა. ცენტრში დაამტკიცეს მხოლოდ 789.000 მანეთი.

ადგილობრივი ბიუჯეტის ხაზით აფხაზეთში 1925—26 წელს გვაქვს ერთნახევარი მილიონი მანეთი, რაც 1923—24 წლის ადგილობრივ ბიუჯეტს 148 პროცენტით აღემატება.

ეხება რა აფხაზეთის მოსახლეობის ეროვნულ შემადგენლობას, ლაკობა ამბობს: „იმისათვის, რომ სწორი წარმოდგენა ვიქონიოთ ჩვენი მუშაობის შესახებ აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკურად განმტკიცების სფეროში, საჭიროა ვიცოდეთ საქმის ნამდვილი მდგომარეობა.

აფხაზეთის რესპუბლიკა ზოგიერთს ესმის ისე, რომ თუ რესპუბლიკას აფხაზეთისას უწოდებენ, ეს იმას ნიშნავს, რომ რესპუბლიკა მხოლოდ აფხაზებისთვის არის. ასეთი შეხედულება არ შეესაბამება საქმის ნამდვილ მდგომარეობას აფხაზეთში. აქ უმთავრესი ერები თავის რიცხვით და ხვედრითი წონით არიან აფხაზები, ქართველები, სომხები, რუსები და ბერძნები. არიან სხვა გაცილებით უფრო მცირე რიცხოვანი ეროვნებებიც“.

მოსახლეობის ნაციონალური შემადგენლობის შესახებ სწორი სტატისტიკა ჩვენ არ მოგვეპოვება, მაგრამ შეცდომა არ იქნება თუ ვიტყვით, რომ აფხაზები რამოდენიმე უფრო ნაკლებ რიცხვს შეადგენენ, ვინემ მეგრელები. ეს თვალსაჩინოა უბრალო დაკვირვებით, თუ ერთმანეთს შევადარებთ მეგრელების და აფხაზების რაოდენობას.

გარდა ამისა მთელს აფხაზეთში ცხოვრობს დაახლოვებით 18—19 ათასი ბერძენი. სომხებიც ამ რაოდენობას შეადგენენ. საერთოდ უნდა ვიანგარიშოთ, რომ აფხაზეთის მოსახლეობა დაახლოვებით 190.000 სულს უდრის, აქედან დაახლოვებით 156.000-ს გლეხობა შეადგენს. საინტერესოა ამ ეროვნებათა დანაწილება გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით.

ქართველების მეტი ნაწილი ცხოვრობს გალის მაზრაში და დაახლოვებით მთელი ქართველი მოსახლეობის ერთი მესამედი ცხოვრობს დანარჩენ ოთხ მაზრაში.

აფხაზები ცხოვრობენ კოდორის და გუდაუთის მაზრაში. შუაშია სოხუმი და გუმისტინის მაზრა, სადაც ყველაზე ნაკლებ რიცხვს შეადგენენ აფხაზები. გუმისტინის მაზრაში, სოხუმთან, უმეტესად ბერძნები და სომხები ცხოვრობენ. სოხუმის და გუმისტინის მაზრის მოსახლეობა თავისი შემადგენლობით ინტერნაციონალურია. იგივე ითქმის გაგრის მაზრის შესახებაც, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ იქ მოსახლეობა ნაკლებია, ვინემ სოხუმში და გუმისტინის მაზრაში.

ცხადია, რომ მოსახლეობის ასეთი შემადგენლობა და ეროვნებათა ასეთი ტერიტორიალური დანაწილება გვავალებს უაღრესად სერიოზულ ზომების მიღებას ჩვენი საბჭოთა პოლიტიკის გატარების დროს. აქედან გამოვდივართ ჩვენ ენების საკითხის გადაჭრის დროს.

ზოგიერთი აფხაზი, რა დასამალავია, ასე მსჯელობდა: რა საჭიროა ჩვენთვის ყველა ენების შესწავლა, მივყვეთ ბოლშევიკურად—ჩვენ გვეყოფა ერთი რუსული ენა. მაგრამ აფხაზს, შორის ბრძოლაში ინტერნაციონალიზმის იდეებისათვის, მაინცა და მაინც არავინ დაუჯერებს. შეუძლებელია ანგარიში არ გაეწიოს სომხებს და ბერძნებს, ერთი სიტყვით მოსახლეობის იმ მასას, რომელიც თავისი რაოდენობით აფხაზებს სჭარბობს.

აფხაზეთის ენა ვერ გავრცელდება, რადგან ის კიდევ საკმაოდ არ არის განვითარებული, ხოლო ამიტომ შეუძლებელია უთხრათ ბერძენს და სომეხს: მოიცადე, სანამ დაგეწევდეთ. მე რომ მკითხონ, ვიტყვი: მართალია აფხაზურ ენაზე ლოიდ-ჯორჯს უყვარს ლაპარაკი, მაგრამ ეს ენა ჯერ კიდევ იმდენად არ არის განვითარებული, რომ ამ ენაზე ისტორია იწერებოდეს.

მაგრამ სრულიად არ იქნება ზედმეტი, რომ აფხაზურ ენაზე სწერონ საგადასახადო ფურცლები ან თხოვნები. არ იქნება მავნებელი, თუ აფხაზ მოხუცს დაელაპარაკებიან მის მშობლიურ ენაზე, როცა მისი საქმე ირჩევა სასამართლოში. რაც შეეხება ქართულ ენას, მე მგონია, რომ ქართული ენა ხეირიანია ქართველი მოსახლეობისათვის, რომელიც შეადგენს აფხაზებთან შედარებით, თუ მეტს არა, ყოველ შემთხვევაში არა ნაკლებ პროცენტს.

რაც შეეხება რუსულ ენას, როგორც ხედავთ ჩვენ ამ ენას აბუჩად არ ვიგდებთ. ეს ენა საერთაშორისოა და თავისი კულტურული, პოლიტიკური და საერთო წონით დიდი მნიშვნელობა აქვს.

ჩვენ მას ვსწავლობთ და ვავდივართ სკოლებში და ვსთვლით მას ერთ ოფიციალურ ენათაგანათ.

ენათა სწორუფლებიანობას ჩვენ პრინციპიალურად ვიცავთ, პრაქტიკაში კი ასე ხდება: ქართული ენა არსებობს ოფიციალურ ურთიერთობისათვის ორ სხვა ოფიციალურ ენათა—აფხაზურ და რუსულის პარალელურად. ყველა ეს სამი ოფიციალური ენა იხმარება როგორც ადგილობრივ მაზრებში, ისე ცენტრში.

სომხების, ბერძნების და აფხაზების სოფლებში საქმის წარმოება მათ დედა-ენაზე ხდება. მაგრამ ეხლა ამის იქით პრაქტიკულად არ შეიძლება წასვლა.

ამხანაგებო, ეხლა მე შევეხები აფხაზეთსა და საქართველოს ურთიერთ დამოკიდებულებას. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდანვე ზოგიერთები, რომლებმაც საკმაოდ ვერ შეითვისეს საქმის ნამდვილი ვითარება და ზოგიერთები, ჩვენი მოწინააღმდეგების ბანაკიდან ყოველთვის აშენებენ თავის ტაქტიკას აფხაზეთის რესპუბლიკის ხელისუფლების შერყევაზე და აფხაზეთსა და საქართველოში შემოქმედებითი აღმშენებლობითი მუშაობის გართულებაზე; აი რას ემყარებიან ისინი: აფხაზეთი მოინდომებს—წავა საქართველოდან, მოისურვებს—დარჩება საქართველოში.

იმისათვის, რომ ამის შესახებ არ იყოს საერთოდ ოდესმე რამე გაუგებრობა, საჭიროა სრულიად გადაჭრით განვაცხადოთ, რომ აფხაზეთს საქართველოდან წასვლა არ შეუძლია, არ აქვს განზრახვა და არც სურს ეს. მაგრამ საბჭოთა საქართველოსთან ერთად აფხაზეთი წავა თუ გინდ საიქიოში.

ყოველივე უსიამოვნება, რომელიცაა ჩვენსა და საქართველოს შორის, ყოფილ მენშევიკებსა და ყოფილ ნაციონალ-დემოკრატებში უნდა ვეძიოთ. მოსწონთ თუ არა მენშევიკებს ამხ. მამია ორახელაშვილის მოწინავე წერილი? მოსწონთ თუ არა მენშევიკებს ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს აფხაზეთში ჩამოსვლა საქართველოს და აფხაზეთის საკითხების გადასაწყვეტად? რასაკვირველია, არ მოსწონთ. ძმობა, ნამდვილი ძმობა სოლიდარობისა აფხაზებსა და ქართველებს შორის აცოფებს მენშევიკებს. ამის დასამტკიცებელი საბუთების მოყვანა საჭირო არაა.

საქართველოს მაგალითზე ჩვენ ვხედავთ, როგორ ანხორციელებს საბჭოთა ხელისუფლება ხალხთა ძმობას. ყოველივე ამას ჰხედავს ნოე ჟორდანია და ნოე რამიშვილი. თუ ოდესმე მოგვიხდება, და უთუოდ მოგვიხდება, ბრძოლებში კიდევ ვსცადოთ ჩვენი ბედი, კიდევ დავიცვათ მოპოვებული თავისუფლება, მაშინ აფხაზეთის მშრომელნი გამოიყვანენ საუკეთესო მებრძოლების რაზმებს, რომლებიც საქართველოს და მთელი ქვეყნის მშრომელთა მასების ინტერესების ერთგული იქნებიან.

აფხაზეთი თავისი ნებით შევიდა საქართველოს შემადგენლობაში. საქართველო გააკეთებს ყოველივეს, და უნდა გააკეთოს, რაც მისგანაა დამოკიდებული აფხაზეთის კულტურულ და სამეურნეო მდგომარეობის ასაწევად. საქართველოს არ შეუძლიან დაჩაგროს აფხაზეთი ვინაიდან იგი თვითონ თავისუფალია. მენშევიკებს, რომლებსაც არა სჭირდათ თავისი თავისუფლება, თავისი დამოუკიდებლობა, შეეძლოთ დაეჩაგრათ, მაგრამ საბჭოთა საქართველოს, რომელმაც ბრძოლით მოიპოვა საკუთარი თავისუფლება და დამოუკიდებლობა და მოუპოვა იგივე აფხაზეთსაც, არ შეუძლიან დაჩაგვრა.

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს, და მის 100 პროცენტით ერთგულ აფხაზეთის მშრომელ ხალხს. (მხურვალე აპლოდისმენტები).

მატეოტის ხსოვნისათვის

ლონდონი, 14 ივნისი. ჟენევაში შესდგა საპროტესტო მიტინგი მატეოტის მკვლელობის წინააღმდეგ, რომელიც მოხდა ორი წლის წინად. დემონსტრანტების ხმებზე „მკვლელი—მუსოლინი“ ფაშისტები უპასუხებდენ „გაუმარჯოს მუსოლინის“ და ცდილობდენ სროლა აეტეხათ. პოლიციამ დააპატიმრა ერთი სოციალისტი და 17 ფაშისტი, ნაწილი ფაშისტებისა განთავისუფლეს მათი დიპლომატიური შეუვალობის გამო, როგორც ერთა ლიგის კონფერენციის მონაწილენი.

პარიზი, 13 ივნისი. იტალიის წარმომადგენლის ინიციატივით პრაგაში ჩეხო-სლოვაკიის ხელისუფლებამ აკრძალა ყოველგვარი დემონსტრაციები, რომელიც მატეოტის ხსოვნის აღსანიშნავად იქნება მოწყობილი.

◆

კომპარტიის დევნა

ბერლინი, 14 ივნისი. ბერლინში მოხდა კომპარტიის თანამდებობის პირთა მასიური გაჩხრეკა. დაპატიმრებულია 10 კაცი.

„როტე ფანე“ აღნიშნავს, რომ ამ დაპატიმრებათა მიზანია საპლებისციტო კამპანიის ჩაშლა.

ბერლინი, 14 ივნისი. ბავარიის ლანდტაგის უხუცესმა საბჭომ დაადგინა არ იქნეს გავრცელებული დეპუტატის შეუვალობა კომუნისტ - დეპუტატებზე შლაფერზე და ჰეტცზე, რომელთაც „სახელმწიფო გადატრიალების მომზადებისათვის“ მისჯილი აქვთ 3 წლით დატუსაღება. ლანდტაგმა ეს დადგენილება მიიღო 1 ხმის უმრავლესობით.

◆

კარდინალი ქურდი

ლონდონი, 14 ივნისი. რომაელი კორესპონდენტის ცნობით, ნიუ-იორკში ევხარისტულ კონგრესზე მიმავალ კარდინალ მონცანოს ბარგის გასინჯვის დროს აღმოჩენილ იქნა ანტიური და მხატვრული საგნები. რომელთა გატანა საზღვარ გარეთ აკრძალულია. კარდინალის ბარგი შესდგებოდა 24 ნაჭრისაგან, რომელსაც კარდინალის აგენტმა კიდევ ცამეტი ნაჭერი მოუმატა. ამ ბარგში ბევრი ანტიურ საგნები და ძვირფასი სურათები აღმოჩნდა. აგენტი დაპატიმრებულია. კარდინალმა როცა მას ამის შესახებ აცნობეს, თავისი აღშფოთება და წყრომა გამოსთქვა.

◆

სხვადასხვა

უმუშევრები ბერლინში. გასული კვირის განმავლობაში უმუშევართა რიცხვი ბერლინში 5.000-ით გაიზარდა.

სპარსეთის ახალი კაბინეტი. სპარსეთის ახალი კაბინეტი მუსტოფი-ელ-მემალეკის მეთაურობით შესდგა. გარეშე საქმეთა მინისტრად დანიშნულია ტაგი-ზადე.

სარა ბერნარის ძეგლი. გუშინ პარიზში გაიხსნა სარა ბერნარის ძეგლი.

მწერალთა კონგრესი. პარიზში გაიხსნა მწერლების, კომპოზიტორების და დრამატურგების საერთაშორისო კონგრესი.

დემონსტრაციები გერმანიაში. მთელ გერმანიაში დემონსტრაციები იმართება ყოფილ მეფის საგვარეულოს ქონების კონფისკაციის სასარგებლოდ. ემზადებიან საყოველთაო რეფერენდუმისათვის.

ტელეფონის ხაზის შესყიდვა. „ნიუ-იორკ ჰერალდ“-ის ცნობით, ფოსტა-ტელეგრაფის საერთაშორისო საზოგადოება მოლაპარაკებას აწარმოებს საფრანგეთის მთელი სატელეფონო ხაზის შესყიდვის შესახებ.

გერმანიის ინტერესები მაროკოში. ბერლინიდან მიღებული ცნობით, რეიხსტაგის საბიუჯეტო კომისიამ ერთხმად გადასწყვიტა უზრუნველყოს ძმების მეისმანების ფირმის კრედიტები, რომ თავიდან იქნეს აცდენილი მათი ქონების გაყიდვა მაროკოში.

შეტაკება პოლიციასთან. ჩეხო - სლოვაკიაში პოლიციას სერიოზული შეტაკება მოუხდა კომუნისტებთან. ბევრია დაჭრილი. დააპატიმრეს დიდძალი ხალხი.

მუშების გაფიცვა. დიუნკირხენში (საფრანგეთში) გაიფიცა 50.000 დოკერი. ნავთსადგურში დაკავებულია 80 გემი.

„გამაფრთხილებელი ზომები“. საგარეო საქმეთა სამინისტრომ წინადადება მისცა ამერიკის საელჩოებს უცხოეთში მიიღონ გამაფრთხილებელი ზომები მოსალოდნელი გამოსვლების წინააღმდეგ, რადგან სულ მალე მოხდება საკოს და ვანცეტის სიკვდილით დასჯა.

მონტევიდეოდან მიღებული ცნობების თანახმად ურაგვაის მთავრობამ რამოდენიმე კაცი დააპატიმრა მემარცხენე ელემენტებიდან იმ მიზეზით თითქო ისინი შეერთებული შტატების საელჩოს აფეთქებას აპირობდენ.

მექრთამეები. დააპატიმრეს რუმინეთის ციხეების უფროსი ჩერნატი, რომელსაც ციხეების ასაშენებლად და პატიმართა გამოსაკვებად მიღებული [illegible] მილ. ლეის მითვისება ბრალდება. ამ საქმის გამო დაპატიმრებულია გალატის ციხის უფროსი კოჩევი და აგრეთვე დოფტანის ციხის უფროსი.

ყველა დაპატიმრებულთ ბრალად ედებათ სახელმწიფო ფულების მითვისება.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

როსტოვი-ტფილისი

მოსკოვი, 14 ივნისი. დონის როსტოვიდან დაიწყო ცხენოსანთა გადარბენა როსტოვ-ტფილისს შორის, 830 კილომეტრ მანძილზე. გადარბენის მიზანია—გამოარკვიოს სხვადასხვა ჯიშის ცხენების ამტანობა და უნაგირების გამძლეობა.

ახალი გამოგონება

ლენინგრადი, 14 ივნისი. ფიზიკოსმა ტერმენმა გამოიგონა აპარატი, რომლის საშუალებითაც საგნების დანახვა შეიძლება ძალიან დიდ მანძილზე. ტერმენის აპარატით წარმოებულ ცდებმა ბრწყინვალე შედეგები გამოიღეს. ლენინგრადის მეცნიერულ წრეებში ფიქრობენ, რომ ტერმენის გამოგონებას მსოფლიო მნიშვნელობა აქვს.

გადაფრენა პარიზ-პეკინი

მოსკოვი, 14 ივნისი. მოსკოვში პარიზიდან მოფრინდა ფრანგი მფრინავი დუაზი, რომელიც ახდენს გადაფრენას—პარიზ-პეკინში. საკავშირო საბჭოთა ტელეგ. სააგენტოს კორესპონდენტთან საუბრის დროს პელტე დუაზმა სთქვა, რომ თუ გადაფრენის პირობები ხელის შემწყობი იქნება, იგი იმედოვნებს პეკინიდან 15 დღეში დაბრუნდეს მოსკოვში. გადაფრენის მარშრუტი შემდეგია:

მოსკოვი-ყაზანი, კურგანი, ნოვოსიბირკი-ჩიტა-პეკინი. მოსკოვიდან გაფრენა 13 ივნისს მოხდება.

ბუდისტური გამოფენა

ლენინგრადი. 14 ივნისი. ლენინგრადში ეწყობა პირველად ქვეყანაზე საერთაშორისო ბუდისტური გამოფენა. გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება ექსპონატები იაპონია—ჩინეთი—ტიბეტი—მონგოლიია და სხვა მხარეებიდან.

სამუშაო ხელფასი კერძო წარმოებებში

მოსკოვი, 14 ივნისი. საკავშირო პროფსაბჭოს ცნობებით, ზოგიერთი პროფორგანიზაციები კერძო მწარმოებლებთან სამუშაო ხელფასის შესახებ ხელშეკრულების დადების დროს სავსებით ემყარებიან იმ დირექტივას, რომელიც საკავშირო პროფსაბჭომ გამოსცა ხელფასის მიღწეულ დონის განმტკიცების შესახებ.

საკავშირო პროფსაბჭომ აცნობა ადგილებს, რომ ეს დირექტივა არ ვრცელდება იმ მუშებისა და მოსამსახურეების ხელფასზე, რომლებიც კერძო წარმოებებში მუშაობენ, სადაც ხელფასის რაოდენობა კვლავინდებურად მხარეების მიერ უნდა განისაზღვროს ხელშეკრულების წესით—წარმოების ფინანსიური მდგომარეობისა და ეკონომიური შესაძლებლობის მიხედვით.

ინგლისი და საბჭოთა კავშირი

ჩემბერლენი და საბჭოთა კავშირის მშრომელების დახმარება მაღაროს მუშებისადმი.

ლონდონი, 14 ივნისი. მთელ რიგ შეკითხვებზე თემთა პალატაში საბჭოთა კავშირიდან ინგლისში ფულის გადაგზავნის შესახებ, ჩემბერლენმა განაცხადა, რომ ჟენევაში გამგზავრების რამდენიმე დღის წინად, მე მივანდევ ბრიტანეთის რწმუნებულს მოსკოვში ეცნობებია საბჭოთა მთავრობისთვის, რომ ბრიტანეთის მთავრობას არ შეუძლია დუმილით შეხვდეს ფინანსთა კომისარიატის მოქმედებას, რომელიც სპეციალურ ნებართვას აძლევს ინგლისში ფულის გადასაგზავნად საყოველთაო გაფიცვის დასახმარებლად. რწმუნებულს უნდა მიეთითებია, რომ საყოველთაო გაფიცვა არალეგალურია და არა კონსტიტუციონურ აქტს წარმოადგენს და ფინანსთა კომისარიატის გამოსვლა მის სასარგებლოდ ვერ მიგვიყვანს მშვიდობიან შეთანხმებისკენ, რომლისკენაც ყოველთვის ილტვოდა ბრიტანეთის მთავრობა.

მაკდონალდი შეეკითხა: „იყო თუ არა ეს ფულები საბჭოთა წყაროდან გადაგზავნილი, თუ მხოლოდ ფინანსთა კომისარიატის ნებართვით?

ჩემბერლენმა უპასუხა: იმისგან, რაც ჩვენ ვიცით, და რაც საფუძვლად დაედვა ჩემს პროექტს, აშკარაა, რომ არსებული კანონები უარყოფილ იქნა, რომ შესაძლო ყოფილიყო ამ ფულების გადაგზავნა არალეგალურ და არაკონსტიტუციონურ გაფიცვის დასახმარებლად“.

შემდეგ ჩემბერლენს მისცენ მთელი რიგი შეკითხვები, თუ რისთვის არ მიიღო მთავრობამ უფრო ენერგიული ზომები, რაზედაც ჩემბერლენმა განაცხადა, რომ ამის შესახებ მეტ შეკითხვებს არ ვიღებო და ითხოვა ყველა კითხვები გადადევით ხუთშაბათამდისო.

მთავრობის ცნობა.

მოსკოვი, 14 ივნისი. გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატისაგან.

ბრიტანეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს მემორანდუმი.

„მისი ბრიტანეთის უდიდესებულების საქმეთა რწმუნებულს, გარეშე საქმეთა სახელმწიფო მდივანისაგან მიღებულ ინსტრუქციის თანახმად, პატივი აქვს გადმოსცეთ შემდეგი მემორანდუმი გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატისადმი:

მემორანდუმი.

მისი უდიდესებულების მთავრობა მწუხარებას გამოსთქვამს, რომ დუმილით არ შეუძლიან შეხვდეს საბჭოთა ხელისუფლების აქციას, რომელიც მდგომარეობს დიდ ბრიტანეთში ფონდების გაგზავნის სპეციალურ ნებართვაში, რომლის დანიშნულებაა გენერალურ გაფიცვის ხელის შეწყობა.

გენერალური გაფიცვა იყო უკანონო, არაკონსტიტუციონური აქტი, რომელიც არსებულ წესწყობილების სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენდა, და სპეციალური აქცია, რომელიც საბჭოთა ფინანსთა კომისარიატმა მოახდინა მის სასარგებლოდ, არ უწყობს ხელს იმ საკითხების მეგობრულად მოგვარებას, რომელიც ორივე ქვეყნის შორის სდგას და რომლისადმი მისწრაფების შესახებ აცხადებს საბჭოთა მთავრობა.

◆

გენსაბჭოს წერილი ბალდუინისადმი

ლონდონი, 13 ივნისი. ინგლისის პროფკავშირთა გენერალურმა საბჭომ ინგლისის მთავრობის მიერ საბჭოთა მთავრობისადმი გაგზავნილ ნოტის გამო წერილით მიმართა ბოლდუინს, რომელსაც ხელს აწერს გენსაბჭოს მდივანი სიტრინი.

„მე დავალებული მაქვს მოგწეროთ იმ სერიოზულ მდგომარეობის გამო, რომელიც მყარდება ინგლისის მთავრობასა და საბჭოთა კავშირის შორის.

გამოქვეყნებული ცნობა, რომ საბჭოთა მთავრობას გაეგზავნა ნოტა, რომელიც ფრიად სერიოზულ ბრალდებას შეიცავს იმის გამო, რომ თითქოს საბჭოთა მთავრობა ტრედ-იუნიონების გენერალურ საბჭოს უგზავნიდა ფულს იმ მიზნით, რომ დახმარება გაეწია საბჭოსთვის საყოველთაო გაფიცვის გატარებისათვის.

სრულიად კატეგორიულად უნდა განვაცხადო, რომ გენერალურ საბჭოს არ მიუღია საბჭოთა მთავრობისაგან არავითარი ფული არც საყოველთაო გაფიცვის დროს და არც სხვა დროს.

საყოველთაო გაფიცვის დროს გენერალურმა საბჭომ გამოაქვეყნა ცნობა იმის შესახებ, რომ საკავშირო პროფკავშირთა ცენტრ. საბჭომ გენერალურ საბჭოს მისამართით გადაგზავნა ფული, რუსეთის პროფკავშირთა ფონდიდან, გაფიცვის დროს ინგლისის მუშათათვის დახმარების აღმოსაჩენად.

ამავე დროს გამოქვეყნებულ იქნა ცნობა, რომ გენერალური საბჭო, სავსებით აფასებს რა იმას, რომ რუსეთის პროფკავშირების ერთად-ერთი სურვილია ინგლისის პროფკავშირთა წევრთათვის დახმარების აღმოჩენა ეკონომიურ სამართლიანობის დაცვისათვის ბრძოლაში, უარს ამბობს ამ წინადადებაზე იმის გამო, რომ შეგნებული აქვს შესაძლებლობა ამ დახმარების წინასწარ განზრახვით გაგებისა და ყალბად განმარტებისა. ამის მიხედვით, გენერალურმა საბჭომ ინსტრუქცია გასცა ფულის უკან დაბრუნების შესახებ და ეს ინსტრუქცია სასტიკად იქნა შესრულებული.

გენერალური საბჭო არა ჰხედავს არავითარ ასეთ ნიშანს, რომელიც მოწმობდეს იმას, რომ ფული გამოგზავნილი იყო პირდაპირ ან არაპირდაპირ საბჭოთა მთავრობის რესურსებიდან. შინაგან საქმეთა მინისტრის თემთა პალატაში განცხადებასთან დაკავშირებით, რომ მას არ შეუძლიან გამოარკვიოს, იყო თუ არა ფული გაგზავნილი უშუალოდ ან გარკვეულად საბჭოთა მთავრობის მიერ, მწუხარება უნდა გამოითქვას, რომ მთავრობა თავის მოქმედებაში დაუმტკიცებელ საბუთებს ემყარებოდა.

მე დავალებული მაქვს კატეგორიული პროტესტი განვაცხადო იმის წინააღმდეგ, რომ ყალბად იქნა გაგებული რუსეთის პროფკავშირთა დახმარება ინგლისის მუშებისადმი—კანონიერ პროფკავშირულ მიზნის განსახორციელებლად და გამოყენებულ იქნას იგი ისეთი სახით, რომ ინგლისის მთავრობასა და საბჭოთა კავშირის შორის ურთიერთობა სერიოზულ საფრთხის ქვეშ დააყენოს.

უკანასკნელი ცნობები

აბდ-ელ-ქერიმის გადასახლება

ბერლინი, 14 ივნისი. „პტი პარიზიენის“ ცნობით, აბდ-ელ-ქერიმი ცოლებით, შვილებითა და ნათესავებით, სულ 40 კაცი, გაიგზავნებიან არა კორსიკაში, როგორც იყო პირველად განზრახული, არამედ მადაგასკარში.

ბრაზილია გავიდის ერთა ლიგიდან

ბერლინი, 14 ივნისი. ერთა ლიგის მოწვევის საპასუხოდ,—რომ ბრაზილიამ მონაწილეობა მიიღოს სექტემბრის სესიაზე,—ბრაზილიის გარეშე საქმეთა მინისტრმა ოფიციალურად განუცხადა ლიგის გენერალურ მდივანს, რომ ბრაზილიას განზრახვა აქვს ერთა ლიგის შემადგენლობიდან გავიდეს.

გერმანიის პრესა მწუხარებას გამოსთქვამს ბრაზილიის მთავრობის ასეთი გადაწყვეტილების გამო.

ლებე ჰინდენბურგის წერილის შესახებ

ბერლინი, 14 ივნისი. „ნიუ-იორკ ტაიმსის“ წარმომადგენელთან საუბრის დროს რეიხსტაგის თავმჯდომარემ სოციალ-დემოკრატმა ლებემ სასტიკ ფორმებში გამოხატა თავისი პოზიცია ამას წინედ გამოქვეყნებული ჰინდენბურგის წერილის მიმართ, რომელშიაც უკანასკნელმა გამოსთქვა თავისი პირადი თვალსაზრისი ყოფილი თავადების ქონების ჩამორთმევის შესახებ.

გენერალურ საბჭოს პროტესტი

ბერლინი, 14 ივნისი. ინგლისის პროფკავშირების გენერალურმა საბჭომ ბოლდუინისადმი მიმართულ წერილში პროტესტი განაცხადა საბჭოთა კავშირისათვის ბრიტანეთის მთავრობის მიერ გაგზავნილ ნოტის გამო. წერილში აღნიშნულია, რომ გაფიცულ მემაღაროებისათვის ფული გამოგზავნეს რუსეთის მუშათა ორგანიზაციებმა და არა საბჭოთა მთავრობამ.

უ-პეი-ფუს შეთანხმება ჩან-ძო-ლინთან

პეკინი, 13 ივნისი, წინასწარი მოლაპარაკება უ-პეი-ფუს და ჩან-ძო-ლინის წარმომადგენლებს შორის ტიან-ძინში უკვე დამთავრდა, შეთანხმებაზე ხელის მოწერით, რომლის შინაარსს საიდუმლოდ ინახავენ.

ხმების მიხედვით შეთანხმება შემდეგში მდგომარეობს: მოქმედება სახალხო არმიების წინააღმდეგ; კაბინეტის შემადგენლობის და სხვა პოლიტიკურ საკითხების გადაწყვეტის გადადება, ეხლანდელ კაბინეტის რეორგანიზაცია; იენ-ჩინ-გუას გადადგომა.

ახალი აგრარული ბაჟები

პრაღა, 13 ივნისი. ჩეხო-სლოვაკიის პარლამენტმა მიიღო კანონ-პროექტი, რომელიც ახალ აგრარულ ბაჟების შემოღებას ითვალისწინებს.

ამ კანონ-პროექტის მიღებას თან სდევდა არაჩვეულებრივი სცენები. პალატის ბურჟუაზიული უმრავლესობა ყოველის საშუალებით ცდილობდა ხელი შეეშალა ამ საკითხის შესახებ კამათისათვის და უარჰყო აგრეთვე მოთხოვნილება, რომ, მთავრობის განცხადებასთან დაკავშირებით პოლიტიკისა და აგრარულ ბაჟების შემოღების წინააღმდეგ გამართულ საპროტესტო მიტინგის მონაწილეთა შორის სისხლიანი შეტაკებების გამო, გამართულიყო კამათი. კომუნისტებმა მაინც შეძლეს, რომ პოლიციას დაეტოვებია პალატის სხდომის დარბაზი.

ამ ამბებმა ძლიერი უკმაყოფილება გამოიწვია მუშათა მასსებში. პრაღის მეტალურგიულ ქარხნების ფაბქარხკომების კონფერენციამ დაადგინა შესწყვიტოს მუშაობა სამშაბათს შუადღის შემდეგ და გამართოს ქალაქის ცენტრალურ ნაწილისაკენ, სადაც კომუნისტებთან, ნაციონალ-სოციალისტებთან და ნაციონალ-დემოკრატებთან ერთად მოეწყობა მიტინგი.

ჩინეთის ფრონტებზე

პეკინი, 13 ივნისი. ჩინეთის ფრონტებზე ასეთი მდგომარეობაა:

სამხრეთი ფრონტი. ხუ-ნანში კანტონის მთავრობის მომხრე ტან-შენ-ჩი ავიწროებს უ-პეი-ფუს მომხრეს—ენ-კაი-სინს. ჩრდილო მიმართულებით, უკან დაიბრუნა ზოგიერთი ქალაქები და უახლოვდება ხუ-ნანის მთავარ ქალაქს ჩან-შას. გუან-სის და გუან-დუნის პროვინციის ჯარები უკვე შევიდენ ხუ-ნანში ტან-შენ-ჩის დასახმარებლად.

ჩრდილოეთის ფრონტი. სახალხო არმია ავიწროებს მტერს სამხრეთ მიმართულებით შანსის პროვინციის მთავარ ქალაქ ტაი-ნან-ფუსაკენ. უ-პეი-ფუ უგზავნის ჯარებს შან-სის სამხედრო გუბერნატორს დასახმარებლად.

ნანკოუსის ფრონტი. უ-პეი-ფუ ამზადებს გენერალურ შეტევას სახალხო არმიის წინააღმდეგ. უ-პეი-ფუს ბრძანებას, ნანკოუს მიმართულებით შეტევის შესახებ, ამ დღეებში მოელიან.

ბესარაბიის გლეხთა პარტიის კონგრესი

ვენა, 13 ივნისი. კიშინევში გაიხსნა ბესარაბიის გლეხთა პარტიის კონგრესი. რუმინიის პოლიტიკურ წრეებში ამ კონგრესს დიდ მნიშვნელობას აძლევენ. გლეხთა პარტიის ერთ ნაწილს გადაწყვეტილი აქვს წინადადება შეიტანოს კონგრესზე, რომელშიაც გლეხთა პარტია აცხადებს, რომ ის იწყებს პასიური წინააღმდეგობის გაწევას და უარს ამბობს პარლამენტის მანდატებზე ავესკუს მთავრობის ტერორისტული რეჟიმის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად. ამ წინადადების წინააღმდეგ გამოდის გლეხთა პარტიის აღმასკომი.

ნახშირის გადატანის აკრძალვის კამპანია

ლონდონი, 13 ივნისი. გასულ კვირაში მდგარ რკინისგზელთა ნაციონალურ კავშირის აღმასკომის და რკინის-გზის სახელოსნოების მუშათა საბჭოს კონფერენციაზე ბევრი დელეგატები კატეგორიულად მოითხოვდენ ნახშირის გადატანის აკრძალვას. მაგრამ კონფერენციამ დაადგინა ამ საკითხის გადადება რკინისგზელთა კავშირის ივლისის ყრილობამდე.

კომპარტიის კამპანია

ბერლინი, 13 ივნისი. ბერლინში შესდგა კომპარტიის მიერ მოწყობილი 4 დემონსტრაცია ყოფილ საგვარეულო ქონების უფასოდ ჩამორთმევის აგიტაციისათვის. დემონსტრაციაზე აურაცხელი ხალხი მოგროვდა, რითაც დამტკიცდა, რომ მოსახლეობაში ცხოველი გამოხმაურება ჰპოვა თავადების წინააღმდეგ მოწოდებამ. ასეთივე გაცხოველებული აგიტაცია სწარმოებს მთელ მხარეში. ესენში, გელზინკირხენში და ბოხუმში მოხდა პროფკავშირების, კომპარტიის და სოციალ-დემოკრატების გაერთიანებული დემონსტრაციები, რომლებმაც აურაცხელი ხალხი მიიზიდა და რომელშიაც გაცხოველებული მონაწილეობა მიიღო ახალგაზრდობამ.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს სახალხო კენჭის ყრა წვრილ ბურჟუაზიულ და კათოლიკურ წრეებში, რომლებიც ცენტრის პარტიას უჭერენ მხარს.

ნახევარი მილიონი ტონი ნახშირი

ლონდონი, 13 ივნისი. ინგლისური გაზეთები იუწყებიან, რომ უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში ინგლისმა შეერთებულ შტატებში შეისყიდა ნახევარ მილიონი ტონი ნახშირი.

ძეგლი რევოლუციის მებრძოლთ

ბერლინი, 13 ივნისი. ბერლინის სასაფლაოზე, სადაც ლიბკნეხტი, როზა ლუქსემბურგი, იოგიხესი, ლევინი, კოტლიარევსი, მერინგი და სხვა რევოლუციონური მებრძოლები ასაფლავია, მრავალრიცხოვან დელეგაციების თანდასწრებით გაიხსნა რევოლუციის მებრძოლთა ძეგლი.

აბდ-ელ-ქერიმის მამასახლისთა დასჯა

ლონდონი, 13 ივნისი. ტეტუანიდან იუწყებიან, რომ ახმედის ტომმა თავები მოჰკვეთა აბდ-ელ-ქერიმის მიერ დანიშნულ ყველა მამასახლისებს. მათი თავები ბაზრის მოედანზე გამოჰკიდეს.

„ეს იქნება რევოლუციის დასაწყისი“

ლონდონი, 13 ივნისი იმ ხმების შესახებ, თითქოს მთავრობას გადაწყვეტილი ქონდეს გააუქმოს 7 საათის სამუშაო დრო, კუკი გამოვიდა კრებაზე და განაცხადა:

„თუ ბალდუინს განზრახვა აქვს კანონმდებლობის წესით გაადიდოს სამუშაო დრო თანაროებში, თუ ბოლდუინს არ სწამს, რომ თანაგრძნობა მაღაროს მუშების მხარეზეა, გადადგეს და მაშინ შეიტყობს საერთო არჩევნების საშუალებით როგორია ქვეყნის სულიერი განწყობილება“.

კუკმა [illegible] რკინისგზელებს არ დახცალონ [illegible] ტვირთული გემები, შეერთებულ [illegible] გამოგზავნილი ინგლისში

ბრძოლა მომჭირნეობისათვის

ჩვენი და მათი მომჭირნეობის რეჟიმი

(„პრავდა“-ს მოწინავე)

„პრავდა“ მოწინავე წერილში ზემოდ აღნიშნული სათაურით სწერს:

„ხშირად იხმის კითხვა, რითი განირჩევა ჩვენი მომჭირნეობის რეჟიმი კაპიტალისტურისაგან, რა აქვთ მათ საერთო და რა არის განსაკუთრებული ჩვენს მომჭირნეობის რეჟიმში. ეს საერთო საკითხები საჭიროა გამორკვეული იქნეს.

კაპიტალისტურ ქვეყნებში მას შემდეგ, რაც კაპიტალისტურმა მსოფლიომ დაშლის ისტორიულ ხანაში შესდგა ფეხი, „წარმოების ეკონომიზაციის“ მეთოდი უდრის კაპიტალის შეტევას მუშათა კლასის წინააღმდეგ. ამას ჩვენ ვხედავთ ინგლისშიაც, სადაც სამთა-მადნო მუშების გაფიცვით წყდება, სხვათა შორის, საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ იქნეს მოგვარებული „მომჭირნეობის“ ნიადაგზე სანახშირო მეურნეობა.

საბჭოთა კავშირში მომჭირნეობის რეჟიმი პირველყოვლისა აჩქარებს სოციალისტურ სიმდიდრის დაგროვებას, ძირს უმაგრებს არა კაპიტალისტების, არამედ პროლეტარიატის ეკონომიურ ძლიერებას. გეგმიან მეურნეობას, რომელიც საბჭოთა კავშირში ვითარდება, ყოველივე შანსი აქვს უფრო მეტი დაზოგვის გამოჩენის, ვინემ კაპიტალისტურ უგეგმო მეურნეობას.

ცხადია, რომ მომჭირნეობის რეჟიმის გატარების დროს განვითარების ეხლანდელ პირობებში ჩვენ ვაწყდებით სიძნელეებს. ჩვენი მონოპოლიური მდგომარეობა ბაზარზე ბადებს ერთგვარ სიძნელეს, შესაძლოა მომჭირნეობა გატარდეს ნაკლები წინააღმდეგობის ხაზით არა იქ და არა ისე, როგორც ეს საჭიროა.

ზოგიერთები ფიქრობენ, რომ შეიძლება „მომჭირნეობა“ მომხმარებლის ხარჯზე და ფასების მომატების გზით აღება. მონოპოლიურ მდგომარეობის დროს ბაზარზე ადვილია „დაზოგვნება“ ისე, რომ დიდი სარგებელი ნახო. მაგრამ ეს არ იძლევა არავითარ მომჭირნეობას და ნაყოფიერებას ჩვენი მეურნეობისათვის.

ჩვენ, რაც არ უნდა დაგვიჯდეს, უნდა ვისწავლოთ მეურნეობის ეკონომიურად გაძღოლა. ეს პირველხარისხოვანი ამოცანა ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ, რისთვისაც დაძლეულ უნდა იქნეს ყოველგვარი ცეხური კარჩაკეტილობა და ყოველგვარი მონოპოლიური ნახტომი“.

(გადმოცემულია ტელეგრაფით. მოსკოვი, 14 ივნისი).

ტექნიკური გაუმჯობესება და მომჭირნეობა

(საპნის და ზეთის სახდელ ტრესტში).

საპნის და ზეთის სახდელ ტრესტში მომჭირნეობის მისაღწევად ტარდება შემდეგი ღონისძიებები:

პირველი ქარხნის საზოლატორიო განყოფილებაში საპნის სახარში ქვაბებისათვის ზეთის მექანიკურად მისაწოდებლად იდგმება დიდი ცილინდრი, რომლის მოწყობაც ჯდება 720 მანეთი. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ტრესტს აქვს საჭირო მასალა და აგრეთვე ჰყავს მუშა-ხელი, ზეთის მექანიკური მიწოდების მოწყობა დაჯდება კიდევ უფრო ნაკლები. ამ ღონისძიების გატარება კი გამოიწვევს შემდეგ ეკონომიას: სახარში ქვაბებისათვის ზეთის წლიური მიწოდება საშუალოდ უდრის 50.000 ფუთს. ზეთის მექანიკური მიწოდების მოწყობით ტრესტს შეუძლია დაზოგოს თვითეულ ფუთზე 1,5—2 კაპეიკი, ანუ წლიურად 750—1000 მანეთი, ე. ი. ზეთის მექანიკური მიწოდების მოწყობაზე გაწეული ხარჯები ანაზღაურებული იქნება 9—11 თვის განმავლობაში.

პირველ ქარხანაში იდგმება აგრეთვე საწნეხი მანქანა, რაც ქარხანას საშუალებას მისცემს 0,09 პროცენტით მეტი ზეთი გამოხადოს.

თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ქარხანა წლის განმავლობაში ამუშავებს 275—300 ათასს ფუთ თესლს; ამ მანქანის დადგმის შემდეგ მიღებული იქნება 250—260 ფუთით მეტი ზეთი; ფულად ეს შეადგენს 1240—1300 მანეთს. გარდა ამისა, ოთხი საწნეხი მანქანის დროს, რომელიც ექნება ქარხანას, ზაფხულის განმავლობაში შესაძლებელი გახდება ყოველდღიურად არა 1400 ფუთი თესლის, არამედ 1500 ფუთი თესლის, ანუ 7 პროცენტით მეტის დამუშავება.

მეორე საწნეხი მანქანა უკვე იდგმება და ჯდება 350 მანეთი.

საპნის სახარში ქარხნისათვის ორთქლის მისაწოდებლად განზრახულია გამოყენებული იქნეს წყალსადენის ქვაბი. ამისათვის საჭირო ხდება ავურის მილების გაყვანა 70 საჟენის სიგრძეზე, რაც 430 მანეთი ჯდება, ხოლო წლიურად იწვევს, დაახლოვებით, 7000 მანეთის ეკონომიას.

მომჭირნეობის მიზნით შესაძლებელი იყო აგრეთვე შტატის შემცირება 27 კაცით, მაგრამ საზაფხულო შეღავათების და მუშების ავადმყოფობის გახშირების გამო ამჟამად მოსახერხებელი შეიქნა შტატის შემცირება მხოლოდ 13 კაცით.

პრესა მომჭირნეობის შესახებ

სახელმწიფო აპარატის რაციონიზაცია

მომჭირნეობის გატარების ერთ ძირითად პირობას წარმოადგენს სახელმწიფო აპარატის რაციონალიზაცია, მისი გამარტივება და ზედმეტ მუშაობისაგან განტვირთვა. ამ მხრივ გასაკეთებელი ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი რამ გვაქვს.

მიუხედავად იმისა, რომ დიდმა ოქტომბერმა ძირფესვიანათ დაანგრია მეფის რუსეთის სახელმწიფო აპარატი და შექმნა მართველობის სისტემის ახალი ფორმა, ჩვენს სახელმწიფო დაწესებულებებს მაინც საკმაოთ გამოჰყვა ძველი აპარატის ტკივილები, რომელთა აღმოსაფხვრელადაც არა ერთი და ორი წელი დაგვჭირდება მომავალში.

ერთი ამ ტკივილთაგანია გადაჭარბებული ლტოლვა ფორმალობისადმი: სიყვარული ქაღალდისა და მელნისადმი, უმოძრაობა იქ, სადაც ხშირად საჭიროა ცოცხალი საქმიანობა და მოქნილობა. ამით აიხსნება, სხვათა შორის, ის მავნე ჩვეულება, რომელიც მდგომარეობს ანკეტებისა და აღრიცხვების სიმრავლისადმი ლტოლვაში. ხშირათ ამ ჩვეულებას ზოგიერთი დაწესებულებები კურიოზებამდე მიჰყავს.

მოსკოვის „იზვესტია“-ში ამხ. გრ. ლევიტი ამის საილუსტრაციოთ შემდეგი მაგალითები მოჰყავს:

„ლენინგრადის საფეიქრო ტრესტის გამოანგარიშებით, მუდმივ ანგარიშების შესავსები ცხრილები ამავე ტრესტში უდრის თერთმეტ ათასს. ანგარიშის ასეთი ფორმით შედგენაზე უკანასკნელი ექვსი თვის განმავლობაში დახარჯულია მხოლოდ სტატისტიკურ განყოფილების მიერ 110.000 ფურცელი საწერი ქაღალდი და 2.500 ფურცელი ასლის გადასაღებ მწვანე ქაღალდი.

ბევრია ეს, თუ ცოტა, ჩვენ ჯერ კიდევ ვერ ვიტყვით, მით უფრო, რომ არ ვიცით, რამდენი დაუჯდა საფეიქრო ტრესტს მუშა-ხელი, რომელიც ამ ანგარიშის შედგენას დასჭირდა. საქმე ბოლოს და ბოლოს არც ამ 101.000 ცხრილშია, არც 110.000 ფურცელ საწერ ქაღალდში, არც 2.500 ასლის გადასაღებ მწვანე ქაღალდში, და, თქვენ წარმოიდგინეთ, არც ამ შრომაში, რომელიც ამ სამუშაოს მოუნდა,—საქმე იმაშია, რომ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭომ, რომლისათვისაც კეთდებოდა ეს სამუშაო, მთელ ამ მასალიდან ისარგებლა არა უმეტეს 10 თუ 20 პროცენტისა. მაშასადამე,—ასკვნის ამხ. ლევიტი,—საქმის ყოველგვარ ზომის გარეშე შეიძლებოდა გადებულ ხარჯების 90—80 პროცენტით შემცირება“.

ასეთი მაგალითები ერთი და ორი არ მოიძებნება ჩვენი აპარატის ცალკე ორგანოების მუშაობაში. ბრძოლა ბიუროკრატიზმისა და, კერძოთ, ანგარიშწარმოების გამარტივებისათვის, ერთი ძირითადი მოთხოვნილებაა სახელმწიფო აპარატის რაციონალიზაციისათვის.

როგორ ვატარებთ მომჭირ. რეჟიმს

ა.-კ. სატრანსპორტო სამომხმარებლო კოოპერ. საზ-ბაში

ამიერ-კავკასიის სატრანსპორტო-სამომხმარებლო კოოპერატიულ საზოგადოებაში („ზაკტპო“) თვენახევარია რაც დაარსდა მომჭირნეობის რეჟიმის გამტარებელი კომისია. ამასთანავე ა.-კ. რკინისგზების ყველა ხაზებზე თვითეულ მაღაზიასთან შექმნილია სპეციალური სამეული სადუქნო-საკონტროლო კომისიის ორი წევრის და მაღაზიის გამგის შემადგენლობით.

ამჟამათ კომისია მუშაობს საზოგადოების შტატის გადათვალიერებაზე, რასაც საფუძვლად უდევს აპარატის მიზანშეწონილად მოწყობა და მოწესრიგება.

კომისიის დადგენილებით, თანამშრომელთა მივლინებებში გზავნა აკრძალულია, ეს დასაშვებია გამონაკლის შემთხვევაში და ისიც საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარესთან შეთანხმებით.

რათა მოსპობილ იქნეს ზედმეტი ხარჯების გაწევა, კომისიის მიერ აკრძალულია ადგილებიდან უთავბოლოდ დეპეშების გზავნა ცენტრში, ეს დასაშვებია განსაკუთრებულ შემთხვევებში და თუ აქაც ნახულ იქნა, რომ დეპეშა არის გამოგზავნილი არა აუცილებელ საჭიროების შემთხვევაში,—დეპეშის საფასურს გადაახდევინებენ გამომგზავნელს.

ყოველგვარი სარემონტო სამუშაოების წარმოება და ინვენტარის შეძენა, კომისიის დადგენილებით აკრძალულია.

აკრძალულია აგრეთვე ყოველგვარი შეწირულებების გაცემა და ანგარიშების ბეჭდვა.

კომისიის მიერ გაცემულია განკარგულება, რათა ყოველმა თანამშრომელმა სამსახურის გათავების დროს გასინჯოს ელექტრონის სანათი და ისე წავიდეს შინ; კერძოთ მორიგე დარაჯს დავალებული აქვს ყოველ საღამოს ჩამოიაროს განყოფილებების ოთახში და ჩააქროს სინათლე, თუ უკანასკნელი ანთებული იქნება.

ამ უკანასკნელად აირჩიეს კომისია, რომელსაც დაევალა გარაჟში მუშაობის პირობების გამოკვლევა.

საერთოდ კომისიას განზრახული აქვს: სამეურნეო-საოპერაციო ხარჯების და ცალკე წარმოებების შესწავლა და გამაფრთხილებელ ზომების შემოღება საზოგადოების ქონების დასაცავად.

მრისხანე თავართქილაძე

(წერილი ა.-სენაკიდან)

ძღვენი საზოგადოთ კარგი რამ არის, მაგრამ კიდევ უკეთესია ის, თუ მოულოდნელათ მოგდის საიდანმე. ამიტომ სენაკის ერთიანი მომხმარებელი საზოგადოება აღტაცებაში მოვიდა, როცა ერთ დღეს მას ფოსტის დამტარებელმა უწყება მიუტანა, რაღაც ამანათის მოსვლის შესახებ.

მაშინვე აფრინეს კაცი ფოსტაში, მაგრამ მათი სიხარული ნაადრევი აღმოჩნდა. ამანათი ჯერ ერთი ფასდადებითი იყო, გამგეობას უნდა გადაეხადა 15 მან. 60 კაპ., ამას გარდა ამანათის გარეგნული გამომეტყველება ყველაფრით ამტკიცებდა, რომ მას კოოპერატიის ოპერაციებთან შორეული ნათესაური კავშირიც კი არ უნდა ჰქონებოდა.

ცნობისმოყვარე და ხელგაშლილი კოოპერატორი არ დაიშურებდა „რაღაც“ 15 მანეთს იმისათვის, რომ გაეხსნა მაინც ამანათი და დარწმუნებულიყო, რა ძღვენი მოართვეს მას ასე მოულოდნელათ. მაგრამ სენაკის ემოსის სულგრძელი კოოპერატორები ასე არ მოიქცნენ. მათ თითქოს იცოდნენ, რომ ფასდადებითი და ისიც წინდაწინ შეუთანხმებლად არავინ არაფერ საჩუქარს გამოუგზავნიდა და ამიტომ არჩიეს ამანათი არ გამოესყიდათ.

ამის შემდეგ დიდ დროს არ გაუვლია, რომ ემოსის გამგეობამ მიიღო წერილი. საბედნიეროთ ამ შემთხვევაში წერილი მარკიანი იყო. კონვერტზე დასმულ საფოსტო ბეჭდიდან სჩანდა, რომ წერილი თბილისიდან მოდიოდა. ბედათ თვით ავტორი არ აღმოჩნდა იქ წაკითხვის დროს, თორემ ალბათ კაი ამბავს ვერ წაიღებდა თავის უცნაურ ლიტერატურულ ნაწარმოებისათვის.

„ყველას გაეგზავნა ეს პიესა, სწერს განრისხებული მოქ. თავართქილაძე გამგეობას, საქართველოს ყველა ეპოებმა გამოისყიდა ეს წიგნი, განა დიდი საქმე იყო ავტორის დახმარებოდით (?) და 30 ცალი ათშაურიანი წიგნი გაეყიდათ თქვენს-ნაცნობებში? ღვინო რომ ყოფილიყო ხომ გამოიყიდდით?“ ასეთი უტიფარი საყვედურით იყო აჭრელებული თავართქილაძის უსტარი სენაკის ემოსის გამგეობისადმი.

მისი არგუმენტები ურყევია: 1. „ყველა ეპოებმა გამოისყიდა“, ე. ი. თუ სხვა შეცდა, შენც შეცდი. 2. ავტორს დახმარება უნდა“.—ვის ხარჯზე—ამას არ კითხულობს მრისხანე თავართქილაძე. 3. „ღვინო რომ ყოფილიყო ხომ გამოისყიდიდით?“—დიახ მოქალაქე, თავართქილაძე, გამოისყიდდით, თუ ამას კოოპერაციის ოპერაციებისათვის რაიმე სარგებლის მოტანა კი შეეძლო, ხოლო ამის თქმა წინდაწინვე შეიძლება, რომ თქვენ გამოგზავნილ პიესებს ზარალის გარდა არაფრის მოტანა არ შეეძლოთ სენაკის კოოპერატივისათვის. კარგ წიგნებს ძალით მაცნობიერობით წესით და ისიც ფასდადებით არ გზავნიან, ეს დღეს უკვე ტურებმაც გაიგეს ტყეში.

კეთილინებეთ მრისხანე თბილისელო მოქალაქევ და დაუკლეთ მღელვარებას. მოგეხსენებათ მომჭირნეობის რეჟიმია. თუ საქართველოს ეპოების სალაროები არ გებრალებათ, თქვენი ჯანმრთელობა მაინც შეიბრალეთ და დაზოგეთ.

ზაპი.

ა.-კ. სასოფლო სამეურნეო გამოფენა

მანქანების დემონსტრაცია

კვირას, დილის 12 საათიდან საღამოს 6 საათამდე, სინდიკატ „სელმაშ“-ის პავილიონში მოხდა საბჭოთა სასოფლო-სამეურნეო მანქანების სააღმშენებლო ქარხნების ექსპონატების დემონსტრაცია.

დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო: რთულმა სალეწავმა მანქანამ БД 034 12 ძალიანი ნავთის მამოძრავებელით, ნახევრად რთულმა სალეწავმა მანქანამ („ლანც“-ის ტიპის), „მაკორმიკის“ ტიპის სამკალმა, მანქანამ, „დირინგ“-ის ტიპის თივის სათიბმა მანქანამ, რვა თეფშიანმა სათესავმა მანქანამ, თივის პრესმა და თვითმჭრელმა მანქანამ.

დემონსტრაციას დაესწრენ ექსპერტები: პროფ. ამირეჯიბი, აგრონომები—ხოფერია და კიზირია და მრავალი ექსკურსანტი; მათ შორის აზერბეიჯანის და სომხეთის გლეხები და თბილისელ ტრანსპორტელთა და მელითონეთა ექსკურსია.

მანქანა - იარაღების დემონსტრაციამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა როგორც ექსპერტებზე, ისე ექსკურსანტებზე.

სინდიკატ „სელმაშ“-ის პავილიონი შეივსო ახალი ექსპონატებით. გამოფენილ იარაღებს მიემატა სიმინდის საფშვენი მანქანა, სათესი მანქანა და სხვა იარაღები.

„სელმაშ“-ის ექსპონატების შემდეგი საჯარო დემონსტრაცია მოხდება შემდეგ კვირას. მანქანების ნაწილობრივი დემონსტრაცია ექსკურსანტებისათვის კი ხდება ყოველ დღე.

გუშინ გამოფენის ტერიტორიაზე მოხდა გერმანულ ფირმა „მაგირუს“-ის და იტალიანურ ფირმა „ფიატ“-ის სახანძრო მოწყობილობის (ავტომობილები, ბაკები, საქაჩავები და სხვა) დემონსტრაცია.

დემონსტრაციას დაესწრენ რესპუბლიკის სახანძრო თავდაცვის ინსპექტორი ამხ. ზერიძე, ექსპერტები და მრავალი ექსკურსანტი.

გამოფენის მომწყობ კომიტეტის მიერ შემუშავებული პროგრამა მანქანების დემონსტრაციისა ამოიწურა. მიმდინარე კვირაში მოსალოდნელ დემონსტრაციების პროგრამა ცალკე იქნება გამოცხადებული.

ბაჟები ექსპონატებზე

თავდება სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ექსპონატების გასინჯვა თბილისის საბაჟოს მიერ. ექსპონატების დათვალიერება-გასინჯვას ახდენენ საბაჟოს კონტროლიორები, როგორც თვით გამოფენაზე, ისე დიდუბის რკინის გზის ჩიხში, სადაც ვაგონებით მოაქვთ ახალი საზღვარგარეთელი ექსპონატები.

უცხოელ ფირმებს გაყიდულ ექსპონატებისათვის მათი ბაზარზე გამოტანის შემდეგ გადახდებათ საბაჟო გადასახადი.

საბაჟოს ეძლევა ექვსი თვის ვადა იმ ექსპონატებისათვის, რომლებიც გაუყიდველი და აგრეთვე გამოფენის დამთავრების შემდეგ უცხოეთში გაუგზავნელი დარჩებიან. ექვსი თვის გასვლის შემდეგ ექსპონატებს გადახდება საბაჟო გადასახადი საერთო წესების თანახმად.

უცხოეთის ზოგიერთ ექსპონატებს ბაჟების გადახდის დროს ეძლევათ შეღავათები, სახელდობრ მათ ბაჟები გადახდებათ დაკლებულ ტარიფით.

გამოფენის ქრონიკა

მანქანების გამოცდა

სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების გამოცდა გამოფენაზე დაიწყება მომავალი კვირიდან.

გლეხთა ექსკურსიები

გუშინ გამოფენა დაათვალიერა მრავალმა ექსკურსიამ; მათ შორის გლეხთა ექსკურსიამ—ქიათურიდან.

მანქანების დემონსტრაცია

ცალ-ცალკე ფირმების ექსპონატების დემონსტრაცია გაგრძელდება მიმდინარე კვირაშიაც.

ამერიკული ფირმები

ამერიკული ფირმების პავილიონები უკვე მზათ არის; პავილიონების გახსნა მოხდება ხვალ.

ახალი ექსპონატები

გერმანული ფირმები ამ დღეებში მიიღებენ ახალ ექსპონატებს, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ როგორც მანქანების დემონსტრაციაში, ისე გამოცდაში.

სიმფონიური კონცერტი

დღეს გამოფენაზე გაიმართება საოპერო სტუდიის სიმფონიური ორკესტრის კონცერტი სახალხო არტისტ ვანო ფალიაშვილის ლოტბარობით.

ექსკურსია გამოფენაზე

დღეს, განათლების მუშაკთა სახლი აწყობს ექსკურსიას სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე. ექსკურსიაში მონაწილეობის მიღების მსურველებმა თავი უნდა მოიყარონ მუშტაიდში, დღეს საღ. 5 საათზე.

უცხო ფირმები

ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე წარმოდგენილია ასზე მეტი უცხო ფირმა. ზოგი მათგანი გამოდის საკუთარი პავილიონებით, ზოგიერთ პავილიონში კი მოთავსებულია რამოდენიმე უცხო ფირმის ექსპონატები.

გამოფენაზე სულ მოწყობილია 19 პავილიონი და ორი სტადიონი. რამოდენიმე პავილიონში მოთავსებულია ელექტრო-სადგური, რესტორანი, საპირფარეშო და ორკესტრი, დანარჩენებში კი გამოფენილია სხვადასხვა ექსპონატები.

უცხოეთის ფირმიდან გამოფენაზე მონაწილეობას იღებს: **ზეიტც** (მევენახეობის იარაღები), **ვეიზე და მონსკი** (საქაჩავები), **ხორტარიუმი** (ინკუბატორები და მეფრინველეობის სხვა იარაღები), **კრუპპი** (სეპარატორები, მამოძრავებლები და სხვა მანქანები), **ზაურერი** (თოფები), **გეიმოვი** (თოფები), **გრიმმი** (მევენახეობის იარაღები), **შტრაუხი და შმიდტი** (იგივე), **დავით გროვე** (ვენტილიატორები და რძის მეურნეობის იარაღები), **ბალტიკი** (სეპარატორები), **ლინა-ვერტკს** (ავტომატიური სასწორები), **კუიდე** მებაღეობის ინსტრუმენტები, **დიტმარი** (იგივე), **ხენკელსი** (იგივე), **ლინდერი** (იგივე), **პლაცი** (სასხურებელი მანქანები), **მირ და როზენტალი** (ხანძარსაქრობი მანქანები), **ვეკსი** (რძის მეურნეობა), **კერგერი**, **ზომბერგი**, **შიუტე** (ლითონის დასამუშავებელი დაზგები), **კერგერი**, **ქრისტენზონი**, **მარტმანი** (ხის დასამუშავებელი დაზგები), **სიმენს-შუკერტი** (ელექტრო-მოწყობილობა), **გომეტრი** (სხვადასხვა ნაწარმოები), **კლეინ**, **შანცლერ**, **ბეკერი** (საქაჩავები და არმატურა), **ებერგარდი** (გუთნები), **ფორდი** (ტრაქტორები და ავტომობილები), **ალის-ჩალმერსი**, **ემეტსონ ბრანტინგამ** (ტრაქტორები და სხვა იარაღები), **სამკალი მანქანების საერთაშორისო ამხანაგობა** (ტრაქტორები, სალეწი მანქანები და სხვა), **კლეტრაკი** (ტრაქტორები), **კეიპტსონი** (სალეწი მანქანები), **მაგირუსი** (სახანძრო ავტომობილები), **ლიუბკე** (ხორბლის საწმენდი მანქანები), **კომინკი** (ტრაქტორები), **ჰენრის ლანცი** (ტრაქტორები და სხვა იარაღები), **ინტერნაციონალი** (ტრაქტორები და ავტომობილები), **ავეტსკი** (ტრაქტორები), **ფლეტერი**, **სააკ** (გუთნები), **ლოიზე-ვერკე** (სხვადასხვა იარაღები), **ფიატი**, **ჩიჩე** (ტრაქტორები და მებრუშემეობის იარაღები) და სხვა.

საბჭოთა ორგანიზაციებიდან გამოფენაზე გამოდის სინდიკატი „სელმაში“, ხონის ინდუსტრიალური ტეხნიკუმი, ამიერ-კავკასიის საბამბო კომიტეტი და შინა-მრეწველობის კომიტეტი.

ხანძარი დეზერტირთა ბაზარში

წუხელ ღამის 1¼ საათზე დეზერტირთა ბაზარში ხალავდენ მზესუმზირას მარცვლებს, ღამე ქარიანი იყო და მან გაფანტა ქუჩაში გაჩაღებული ნაკვერჩხლები. ნაკვერჩხლები შესცვივდენ ხის პატარა დუქანში და უკანასკნელს გაუჩნდა ცეცხლი.

ცეცხლი შეამჩნიეს საგუშაგოზე მდგომმა მილიციელებმა და ასტეხეს სროლა. თოფის სროლამ მიიქცია ქალაქის მეორე ცეცხლის მქრობ რაზმის ყურადღება და მან სროლის მხრისაკენ გაგზავნა თავისი გუნდი.

ქარის გამო ცეცხლი თანდათან გაძლიერდა და მოედო მახლობელ დუქნებს. იქაურობა ერთბაშად განათდა აპილპილებული ალით, რომელიც დიდ მანძილზე ადიოდა ცაში. ერთი რაზმი უძლური გამოდგა საშინელ სტიქიასთან ბრძოლაში; ცეცხლი თანდათან ძლიერდებოდა და იგი საშიშროებას უქადდა საერთოთ მახლობელ მიდამოებს.

ამის გამო მეორე რაზმის მისაშველებლათ გამოვიდა პირველი რაზმი და შეერთებულის ძალით და [illegible] ხანძარი ჩაქრობილ იქნა [illegible] 2½ საათზე.

შედეგათ ამ შემთხვევას მოჰყვა ოთხი დუქნის დაწვა, რომლებშიაც ეწყო სხვადასხვაგვარი წვრილმანი საქონელი: ფქვილი, შაქარი, მარილი და სხვა.

ზარალი ჯერ სავსებით გამორკვეული არ არის, მაგრამ წინასწარ შეიძლება ითქვას, რომ იგი საგრძნობია.

შემთხვევის ადგილზე გაემგზავრა თბილისის ცეცხლის მქრობელთა რაზმის ბრანდმაიორი ამხ. ალ. ზერიძე, რომელიც უშუალოდ ხელმძღვანელობდა და ხელს უწყობდა რაზმებს სტიქიასთან ბრძოლაში.

პარტიული ცხოვრება

რეზოლიუცია

მოსკოვის პარტაქტივის

ამხ. ბუხარინის მოხსენების გამო საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ

მოისმინა რა ამხ. **ბუხარინის** მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ, მოსკოვის პარტორგანიზაციის აქტივის კრება სავსებით და მთლიანად უერთდება პარტიის ცეკას დადგენილებებს.

კრება სთვლის, რომ ინგლისის მუშათა საყოველთაო გაფიცვა კლასიურ ბრძოლის გამწვავების პირობებში, არის უაღრესი რევოლიუციონური მნიშვნელობის მქონე ფაქტი მუშათა საერთაშორისო რევოლიუციონურ მოძრაობისათვის.

ეს გაფიცვა, სასტიკი წინააღმდეგობის გაწევის გამოხატულებაა შეტევაზე გადმოსულ კაპიტალიზმისათვის, რომელიც ცდილობს განამტკიცოს თავის მდგომარეობა მუშათა საარსებო მინიმუმის შემცირებით. გაფიცვამ აამოძრავა ინგლისის მუშათა მილიონები.

მიუხედავათ რეფორმისტული ბელადების ცდისა, მოემწყვდიათ გაფიცვა ეკონომიური ბრძოლის ჩარჩოებში, ის თანდათანობით იქცეოდა უდიდეს პოლიტიკურ ფაქტორად.

გაფიცვა, რომელსაც მეთაურობდენ, ერთის მხრივ აშკარა გამცემლები ტრედ-იუნიონებისა და ინგლისის მუშათა პარტიის მემარჯვენე ბელადები, ხოლო მეორე მხრივ ეგრედწოდებული „მემარცხენეები", რომლებმაც სამარცხვინო კაპიტულიაცია მოახდინეს მაშინ, როდესაც იზრდებოდა, ინგლისის მილიონ მუშათა პოლიტიკური მოძრაობა, გაცემულ იქნა და მაღაროს მუშები მიტოვებულ იქნენ თავის ძალების ამარა, ხოლო დანარჩენ მუშათა ფართო ფენები მოექცნენ გათავხედებულ კაპიტალისა და მისი მთავრობის სუსხის ქვეშ.

საყოველთაო გაფიცვის ამ გაკვეთილმა ერთხელ კიდევ დაამტკიცა იმ ტაქტიკის სისწორე, რომელსაც ჩვენი პარტია ატარებს საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაში და მისი საშუალებით მუშათა რევოლიუციონურ ბრძოლაში საერთოდ.

მთლიანი ფრონტის ტაქტიკა, არა როგორც ბელადებთან შეთანხმების, არამედ კომპარტიის მიერ მუშათა ფართო ფენების დაპყრობის, მუშათა მასების გამოყოფის ტაქტიკა, მეორე და ამსტერდამის ინტერნაციონალების გავლენისაგან, რომლებმაც სავსებით გამოააშკარავეს თავის მოღალატური როლი, განსაკუთრებით ინგლისის მუშათა საყოველთაო გაფიცვის დროს, კიდევ უფრო მეტი სიმტკიცით უნდა იქნეს გატარებული ცხოვრებაში, რითაც ხელს შეუწყობთ მუშათა მასების მიერ კომინტერნის ხაზის შეთვისებას, საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის მიღწევებთან უფრო მტკიცე კავშირის დამყარებას და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ყველა რევოლიუციონურ ელემენტების შეკავშირებას გადამწყვეტი ბრძოლისათვის კაპიტალთან.

დაუღალავი მხილება როგორც აშკარა მოღალატეთა, ისე მემარცხენე კაპიტულიანტ ბელადების გამცემლობის, კავშირის განმტკიცება ინგლისის პროლეტარიატის რევოლიუციონურ მოძრაობასთან, რომელიც თანდათანობით იზრდება, ინგლის-რუსეთის კომიტეტის მუშაობის შენარჩუნებისა და გაძლიერების გზით, რომლის მუშაობა არ უნდა შესწყდეს არც ერთი წუთით,—ასეთია მომენტის ძირითადი ამოცანა.

კომუნისტების მიერ პროფკავშირებში მუშაობის გაძლიერების საფუძველზე იქნება უზრუნველყოფილი ინგლისის კომპარტიის გავლენა მუშათა ფართო ფენებში და მისი ზრდა.

კრებას თავის მოვალეობათ მიაჩნია ახსნა-განმარტებისათვის წარმოებულ მუშაობის გაძლიერება მუშათა ფართო ფენებში ინგლისის გაფიცვიდან, პოლონეთის ამბებიდან და სხვა მიღებულ გაკვეთილების მიხედვით და ხელის შეწყობა მათ მიერ მთლიანი ფრონტის იდეის, ინგლისის გაფიცულ მაღაროს მუშებისათვის ყოველგვარი დახმარების გაწევის აუცილებლობის შეთვისებაში და მით ჩვენი საკუთარი ბრძოლისა და მიღწევების საერთაშორისო მნიშვნელობის განმტკიცება.

ბორჯომის პარტკომის პლენუმი

17 მაისს შესდგა ბორჯომის პარტკომის პლენუმი. პლენუმის დღის წესრიგში იდგა შემდეგი კითხვები:

1. ბორჯომის პარტკომის პრეზიდიუმის მუშაობა.
2. პროფბიუროს მუშაობა.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხ. ცენაძემ, რომელმაც დაწვრილებით დაახასიათა პარტკომის მუშაობა და ხელმძღვანელობა საბჭოთა აპარატზე, წარმოებაზე, პოლიტგანმანათლებელ და კულტურულ სფეროში და სხვა.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ პლენუმმა დამაკმაყოფილებლად იცნო პარტკომის მუშაობა. მან აღნიშნა აგრეთვე ზოგიერთი ნაკლიც, რაც მომავალში აუცილებლად უნდა იქმნას გამოსწორებული.

პლენუმმა დაავალა პრეზიდიუმს მომავალში მთავარი ყურადღება მიექცეს ორგანიზაციის ზრდის მუშების ხარჯზე.

ზაფხულის პერიოდში მიექცეს ყურადღება პარტორგანიზაციებში წევრთა პოლიტიკურად აღზრდას. უნდა გაძლიერდეს მეცადინეობა არსებულ პოლიტსკოლებში და პოლიტწრეებში. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ორგანიზაციის პარტ დისციპლინის განმტკიცებას. სასტიკი ზომები უნდა იქნას მიღებული ყველა მათ წინააღმდეგ, ვინც სისტემატიურად არღვევს დისციპლინას. მიღებული იქნას ზომები, რათა შინაპარტიული დემოკრატია შეთვისებულ იქნას ორგანიზაციაში სწორად, რათა დაცული იქნას ორგანიზაციის ერთსულოვანი და მთლიანი სახე.

პლენუმი ადასტურებს საბჭოთა არჩევნების სწორად და ნაყოფიერად ჩატარებას და აღნიშნავს, რო არჩევნების შედეგად ამაღლდა პარტიის ავტორიტეტი მასაში. მომავალში მეტი ყურადღება უნდა მიექცეს საბჭოებზე პარტხელმძღვანელობის განმტკიცების საქმეს.

ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე შრომის ნაყოფიერების აწევას და წარმოების და მეურნეობის საქმეს როგორც ქალაქად ისე სოფლად.

მუშაობა ა. კ. კ. და ქალთა შორის უნდა იქნას გაძლიერებული თანახმად პლენუმის მიერ მიღებული გეგმისა ზედმეტი ხარჯების შემცირების მიზნით ჩატარდეს ორგანიზაციებში მომჭირნეობის კამპანია და გადადგმულ იქნას ამ მხრივ პრაქტიკული ნაბიჯები ზედმეტი ხარჯების მაქსიმალურად შესამცირებლად.

პლენუმმა დამაკმაყოფილებლად სცნო პარტხელმძღვანელობა პროფბიუროს მუშაობაზე, აღნიშნა პროფბიუროს მუშაობის სისუსტე მიწატყის კავშირში. პლენუმმა დაადგინა: გაძლიერდეს მუშაობა მიწატყის კავშირში გლეხობასთან დაახლოების მიზნით. კავშირებში ჩატარდეს კოლექტიურ ხელშეკრულებათა ხელახლად დადების მიზნით კამპანია, მიექცეს ყურადღება პროფდისციპლინის განმტკიცებას პროფორგანიზაციებში.

გ. ჯ—შვილი.

საბჭოთა საქართველო

იმედგაცრუებული ფარნაოზი

(წერილი გურიიდან)

გურიაში მაჭანკლობდა პავლე აზნაური. მოგეხსენებათ ეს ხელობა ისეთია, რომ თუ კაცს ენამახვილობა და გაიძვერობა გაკლია, სიმშილით პირში სული ამოგძვრება, როგორც ღორის მეთევზის კალათში. ხოლო პავლეც ისეთი ენამოქნილი და მემქრობი კაცი იყო, რომ მასთან „სოლომონ მორბელაძე" შეჯიბრებით არ გამოდგებოდა. ბევრი ახალგაზრდა ქალ-ვაჟის ცოდვა წაიღო მან საიქიოს, ჯოჯოხეთი რომ მართლაც არსებობდეს, მისთვის იქ საკადრისი ადგილიც არ მოიძებნება.

რამდენი კოჭლი და ბრუციანი გაუსაღებია პავლეს მეზღუნახავათ! „კი პავლე, მაგრამ ის ქალი ცოტა ელამი უნდა იყოს", თავდაბრით ეტყოდა ხოლმე მაჭანკალს სირცხვილით ლოყებ აწითლებული სასიძო.

„შენ, ჩემო ბიძია, მე დამიჯერე, შვილში არ გაგცვლი, თავი ნუ მომიკვდება, ოსტატურად მიუგებდა პავლე, თუ გინდა, გენაცვალე, ქალი შენი ერთგული იყოს, სწორეთ ბაღასიანი უნდა ითხუო, ლამაზმა ქალმა ხეირი ვის დააყარა"?

„ყველაფერი კარგი ბატონო პავლე, მარა მგონი მაი გოგო ცალ ფეხზე ცოტა მეკოჭლებს?" განაგრძობდა დარცხვენილი სასიძო. „კაცო, შენ რომ მაინც შენსას ჩივი, განრისხებით შეუტევდა მაჭანკალი—კიდო კაი, რომ ფეხი მოჩხინარე აქვს და მორჩენილი, ერთიც ვნახოთ სწორი ფეხებიანი ქალი შეგხვდა, მან რომ ფეხი მოიტეხოს. ხომ სადავიდარაბო და სახათაბალოთ გაგიხდება ამფერი ქალის მორჩენა?"

ეს გულუბრყვილო მტკიცება ეხლანდელ ახალგაზრდას შეიძლება სასაცილოდაც არ ეყოს, მაგრამ იყო დრო, როცა პავლესი სჯეროდათ და ძალიან ადვილათაც ეგებოდენ მის ანკესზე.

შეიძლება ეს მივიწყებული ამბავი არც კი გაგვხსენებოდა, რომ ამ ბოლო ხანს გურიაში ადგილი არ ჰქონოდა ერთ შემთხვევას.

დღესაც განჩნდა ერთი თავისებური „პავლე მაჭანკალი". ეს გახლავთ მღვდელი ფარნაოზ უშვერიძე. ის დადის თემიდან თემში და არწმუნებს ყოფილ მღვდლებს, რომელნიც დღეს პატიოსან შრომას ეწევიან, „განიბანონ უწმინდურებისაგან", დაუბრუნდენ თავიანთ ეკლესიებს. ამ მიზნით მან „თანახმად მისი უდიდებულობისა, როგორც ეს ოქმში სწერია, ბათომ-შემოქმედის ეპისკოპოსის ნისტორის ბრძანებისამებრ და თანახმად მთავარ ხუცის დიაკონზის ილიონ მგალობლიშვილის მონდობილობით", მიმართა „კვირიკეს ეკლესიის ყოფილ მღვდელს ივანე ნიკოლაიშვილს", რომ ისინი დაბრუნებოდენ „სიმართლის" გზას და „გაწმენდილიყვნენ ემპაკისაგან".

„კი მაგრამ, უთხრეს ყოფილ მღვდლებმა ძალიან მაცხონე ფარნაოზს, ანაფორას ფეხები რაღაც გადაიჩეია, თან კიდევ სად გვექვს ეხლა იმის ფული და ანგარიში, რომ ასეთი კაბები შევიკეროთ"? „მოგცლიათ, თქვენ მამა ცხონებულებო, უპასუხა ფარნაოზმა პავლესავით, ანაფორა ძვირია, მნელი სატარებელიცაა, სამაგიეროთ რა ხალვათიანი და თავისუფალი სამოსელია. შიგნიდ თუნდაც ჯვალოს პერანგი ჩაიცვი. ორი ბათმანი საკურთხი ამოიბი, ყველაფერს დაფარავს, მაინც კაცად გამოგაჩენს".

„კი მაგრამ, განაგრძეს ყოფილ მღვდლებმა, ეკლესია ეხლა დიდსაც და პატარასაც ფვალით არ დაინახავენ, კაცს რომ ქუდი შეუგდო შიგ, ახლოსაც არ გაეკარება. ანაფორიანს ყველა თავ შეფონე კაცი ორ საჯენზე უვლის, რა ხეირია ეხლანდელი მღვდლობა"?—„გაბრიყვებულხართ შვილებო, დაგვიწყნიათ ძველი პურის და ცხოვრების გემო, უპასუხა ფარნაოზმა. რაც ეკლესიის გარეთაა, თქვენ რას დაიძებთ, თქვენ ის იკითხეთ ეკლესიის შიგნით რა ხდება? მართალია ეკლესიაში აღარავინ შემოდის, მაგრამ ვინც შემოდის, იცოცხლე იმათთან ფარნაოზს გახარება ჰქონოს. ეს საკურთხი, ეს საწირავის ფული, ეს პანაშვიდი, ეს ნათლობა, ქორწინების და აბა ხელზე მოხვევა ხომ არის და არის განსაკუთრებით თუ ლამაზი ქალი შემოვიდა ეკლესიაში. მაგისა, წინათ ეპისკოპოზი კარზე ვერ გაეკარებოდი. ასი ძღვენი და მოსაკითხავი უნდა გაგეგზავნა. რომ ნახვის ღირსი გამხდარიყავ. დღეს ეპისკოპოზი ჩვენს ტაძარში იწვის, ერთად შეზრდილი ძმებივით ვართ. წინათ ჩვენისთანა ქიჩხოიანები სოფლის ეკლესიას ვერ გასცილდებოდენ. დღეს ცოტა სტაჟი თუ გაქვს ბლაოჩინობაც მზათაა შენთვის და ეპისკოპოზობასაც ბევრი არაფერი უდგია წინ. ღმერთმა ააშინა ბოლშევიკების ოჯახი, რომ ისინი არა, ამ დღის ჩვენ ვერ შევესწრებოდით'

დიდხან იქადაგა ფარნაოზ მღვდელმა, მაგრამ ბევრი მჭერმეტყველება უქმი გამოდგა. ორივეთ ფარნაოზმა და ივანემ სიტყვა ბანზე გადაისროლეს და მას ამინდზე ჩამოუგდეს ლაპარაკი. სასოწარკვეთილ ფარნაოზმა გაბრაზებით ხელი ჩაიქნია და გასწია სახლისაკენ. გზაში ის დაბუღ რათამიდით ლოდინობდა: „იქნები ქალის თავზე სახარება, ის მაინც ტყისკენ იმზირება".

კუპაჯური.

საჭიროა „ქაფქირი".

(მარნის თემი, სენაკის მაზრა).

ქაფი საძულველი სითხეა ყველა დიასახლისისათვის. მათი საწინააღმდეგო იარაღი, როგორც მოგეხსენებათ, ქაფქირია. ჯერ კიდევ პირველ დაწყებით „დედა-ენა"-ში, ანბანის შესწავლის დროს, შეგვხვედრივართ ასო „ქ"-ს დასამახსოვრებლათ შერჩეულ სიტყვებს და წინადადებებს: „ქაფქირით ქაფი მოხადე".

ამ ბავშობიდანვე შეთვისებულ დარიგებას ყველა თავისებურათ იყენებს. დიასახლისები სწორედ ისე იქცევიან, როგორც მათ „დედა-ენა" ურჩევდათ ბავშობისას: „ქაფქირით ქაფს ხდიან". სამეურნეო დარგის ბოროტმოქმედი მუშაკიც ასევე იქცევა: ისიც ხდის ქაფს, ან, უფრო სწორათ რომ ვსთქვათ, ართმევს ქაფს სახალხო ქონებას.

ართმევს და არა ხდის, იმიტომ რომ, როგორც ვიცით, ზმნა გამოხატავს არა მარტო მოძრაობას, არამედ იმ საგნების ან სულდგმულის სახესაც, რომლისაგანაც, ან რომლის საშუალებითაც წარმოსდგება ეს მოძრაობა. დიასახლისსა და ბოროტმოქმედ სამეურნეო მუშაკის აქაფვის შორისაც უთუოდ არის განსხვავება, განსხვავება არა მარტო არსებითი, არამედ გარეგნულიც.

დიასახლისი ქაფავს ქაფქირით და უსარგებლო სითხეს ფანჯარაში ისვრის, ბოროტმოქმედი სამეურნეო მუშაკიც ქაფავს,—მაგრამ არა ქაფქირით, არამედ ხელებით და ქაფს ფანჯარის მაგიერ სასოიებით ინახავს ჯიბეში.

თეორია უთაქტოდ მკვდარია. ამიტომ ნება მოგვეცით ამ მეორე სახის აქაფვის საილუსტრაციოთ პატარ ფაქტიც მოვიყვანოთ. აი, მაგალითად, სენაკის მაზრის მარნის თემის ერთიანი მომხმარებელი საზოგადოება. ეს კოოპერატივი უსასტოვობით სულს ღაფავს, თაროები საქონლისაგან დაცლილია. გამგეობას და სარევიზიო კომისიას ეს არ ესმის.

მათი წევრები: ფრანგიშვილი და თელია თავის-თავს ყოველ შემთხვევაში არ ივიწყებენ. სარევიზიო კომისია თავის მუშაობისათვის ღებულობს დღიურების სახით 65 მანეთს, ხოლო გამგეობის წევრი ფრანგიშვილი იმისათვის, რომ ის ემოსის საქმეებზე მუშაობდა სოფელ გუგუნაყათში, **სადაც თვითონ სახლობს**, იღებს 12 დღის დღიურს მეათე ხარისხით.

სახლში ჯდომა, ოჯახში ძილი, სმა-ჭამა და ამისათვის ყოველდღიური ჯილდო,—რა სჯობია ასეთ ცხოვრებას? გასაკვირი ისაა, რომ ფრანგიშვილმა მარტო 12 დღის დღიური გამოიწერა. ამავე უფლებით მას შეეძლო ერთი თვის და ერთი წლის დღიურებიც გამოეწერა არა, კიდევ სინდისიერი კაცი ყოფილა გამგეობის წევრი ფრანგიშვილი.

ქაფავენ ყმაწვილები მარნის ემოსში, ქაფავენ ზომიერათ და სინდისიერათ. არც ისე ბრიყვები არიან, რომ ერთი შეტევით კოოპერატივი გააჩანაგონ და ოქროს მდები დედალი ხელიდან გამოიცალონ.

ქაფონ, სანამ დრო შერჩენიათ, მაგრამ ჩვენ გვიქრობთ, მალე მისწვდება მარნის ემოსს მძლავრი ქაფქირი, რომელიც საბოლოოდ აქაფავს ამ ყმაწვილებს სახალხო ქონების ზურგიდან.

ნაზი.

ფოსტა არ გვივარგა

(მანგლისი)

მანგლისში ფოსტა მოდის კვირაში სამჯერ, მაგრამ მცხოვრებლები და სამხედრო ნაწილები ორიჯერაც ძლივს ვღებულობთ. ჯერ ერთი ჟურნალ-გაზეთებს და კორესპონდენციებს ისედაც აგვიანდება და ამ დაგვიანების შემდეგ მოსული გაზეთები მანგლისის ფოსტაშიც სამ დღეს ძევს.

მაგალითად, დღეს ფოსტა მოდის: კვირას, ორშაბათს და ოთხშაბათს. კვირას 1-ლ საათზედ მოსული ჟურნალ-გაზეთები და წერილები იკეტება ფოსტაში, ამას კიდევ ზედ-ერთვის ორშაბათს მიღებულიც, ვინაიდან ორშაბათი იმათი დასვენების დღეა და კვირას მოსულ კორესპონდენციებს სამშაბათს თუ მივიღებთ. და ყოველივე ეს ხდება იმ დროს, როდესაც მთელი მანგლისი სავსეა ქალაქიდან ჩამოსულ მცხოვრებლებით, რომლების დიდი ნაწილიც გაცხოველებულ მუშაობას აწარმოებენ მანგლისის რაიონის სოფლებში.

ფოსტა ტელეგრაფის სამმართველომ უნდა მიაქციოს ამ მოვლენას ყურადღება, რომლის გამოსწორებითაც საშუალება მოგვეცემა უფრო ნაყოფიერი მუშაობა ვაწარმოოთ, ვიდრე ამას ეხლა აქვს ადგილი.

ვ. ასკანელი.

საჭიროა ექიმი

(ქვაყუდე, გამოჩ. თემი)

სოფ. ქვაყუდეში გაიხსნა აფთიაქი, რომელიც ამ სოფლის მცხოვრებთა სანატრელი საგანი იყო. მაგრამ აღსანიშნავია, რომ სექიმო საქმე ჯერაა მოუწესრიგებელი. საჯევახოდან ყოველ ორშაბათობით დადის ექიმი ნიკურაძე, რომელსაც ამ დღეს აუარებელი ავადმყოფები აწყდება და ვერ აუდის. საჭიროა ამ სოფელმა გაიჩინოს საკუთარი ექიმი ან დახელოვნებული ფერშალი, რადგან სამუშაო ბევრია.

აქაური.

მუშათა ცხოვრება

მეორე თუთუნის ფაბრიკა „პროლეტარი".

მეორე სახელმწიფო თუთუნის ფაბრიკის შენობა შესდგება სამი სართულისაგან. პირველი სართული საკმაოდ ბნელი და ნესტიანია. აქ სეილანოვის დროს (ყოფ. პატრონი) მუშაობდენ თუთუნის დამრჩევი მუშები და ხშირად ავადმყოფობდენ. მათ ჯანმრთელობაზე ზრუნვა „ხაზეინს" ფიქრადაც არ მოსდიოდა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ეს სართული ემსახურება მხოლოდ სამარაგო მასალას საწყობად.

მეორე სართული უწინ მთლიანი იყო და შიგ ყველა პროფესიის მუშები ერთგვარად იკვებებოდენ თუთუნის მტვერით, ეხლა კი ეს განყოფილება არის სამად დაყოფილი. პირველში ირჩევა ფოთოლი თუთუნი და იქვე ინამება. ამ ნაწილს აქვს მოზრდილი ვინტილიაცია, რომელიც ბრუნავს საკუთარი ძრავით და მთელი ნაწილიც რომც სავსე იყოს მტვერით, მის გასაწმენდათ საკმარისია სულ 20 წუთი.

აქ მუშები ყოველ დღე ღებულობენ ორ „კრუჟკა" რძეს და ხან გირვანქის ერთ მერვედ კარაქს. ზამთარში ეს განყოფილება თბება ცხელი წყლით ვახურებული ღუმელებით, ანათებენ ელექტრონის საშუალებით. ამ განყოფილებაში მუშაობს 49 დედაკაცი და 21 მამაკაცი. უმეტესი ნაწილი სულ ხანში შესული მუშები არიან.

მეორე ნაწილი ამ განყოფილებისა დანიშნულია ბანდეროლის მიმკვრელების, „პაჩკის", „იარლიკის" დამკეცავების და „ეტიკეტის" დამკვრელებისათვის. აქ მტვერი არ არის, ამიტომ აქ რძეს არ აძლევენ. ესეც ზამთარში ისე თბება და ნათდება, როგორც პირველი, მხოლოდ აქ არ არის ვინტილიაცია, მაგრამ უაღრესად დაცულია სისუფთავე, რადგანაც ყოველ ერთ საათში ამისათვის დანიშნული ქალი სწმენდს და ასუფთავებს მას. ამ ნაწილში მუშაობს 8 მამაკაცი, 16 დედაკაცი და 3 მოზარდი.

მესამე ნაწილში არის თუთუნის დასაჭრელი, სადაც მუშაობს შვიდი დასაჭრელი მანქანა და ერთი დაჭრილი თუთუნის გასაცრელი. ეს უკანასკნელი თბილისშია გაკეთებული. აქ დიდი მტვერი სდგას და ამის გამო აქაც ისეთივე კონსტრუქციის ვინტილიაცია ბრუნავს, როგორიც პირველში. აქაც ყველა მუშა ღებულობს ყოველდღე ორ „კრუჟკა" რძეს. მუშაობს აქ 10 მუშა.

მეორე სართულს ქარხნისას ივივე მოცულობა აქვს. ესეც სამ ნაწილად არის გაყოფილი. პირველ და უმთავრეს ნაწილში მოთავსებულია, მარცხნივ ორ წყებად, პაპიროსების გასავსები მანქანები. რიცხვით 39. ყოველ მანქანაზე ერთი ქალი მუშაობს, მეორე მხარეს, მარჯვნივ, გილზების დასამზადებელი მანქანები—14 ცალად (4 კიდევ ახალი მიიღო ქარხანამ ამ დღეებში) ორაპარატიანი და 18 ცალი ერთაპარატიანი.

ამ ნაწილში აუტანელ სივიწროვეს განიცდიან მუშები, რადგანაც უადგილობის გამო ძლიერ ახლო სდგანან მანქანები. ამის გამო დიდი სიფრთხილით მოძრაობენ მუშები, რომ რამე უბედურება არ მოხდეს.

აქაც შესამჩნევად ტრიალებს მტვერი. აქაური მუშები იღებენ აგრეთვე ორ „კრუჟკა" რძეს და აქაც მოწყობილია ვინტილიაცია საკუთარი ძრავით.

გილზებზე მომუშავე ქალებს რძეს არ აძლევენ იმ მოსაზრებით, რომ ვითომდა ქაღალდისაგან მტვერი არ იყოს. ეს შემცდარი აზრია იმიტომ, რომ ამ ორგვარ მანქანებს შორის სულ სამი ან ოთხი ნაბიჯია და, მაშასადამე, ესენიც ისევე სუნთქავენ თუთუნის მტვერით, როგორც პირველები. ამიტომ მათთვისაც საჭიროა რძის მიცემა.

მეორე და პატარა ნაწილში ამ განყოფილებისა არის თუთუნის საშრობი. აქ ამ უკანასკნელ დროს მოაწყვეს 5 ორთქლის ღუმელი, რომლის საშუალებითაც აშრობენ თუთუნს, რადგანაც ნამიან თუთუნს მანქანა ვერ ამუშავებს და ფუჭდება. აქ ბევრი მტვერია და არც ვინტილიაცია არსებობს, რძეს კი ღებულობენ.

მეორე განყოფილების მესამე ნაწილში მუშაობენ კოლოფებში პაპიროსის ჩამწყობები და „პაჩკის" შემკვრელები. რიცხვით 37 მამაკაცი, 39 დედაკაცი, ამათში მოზრდილებია 10 ქალი.

ამავე განყოფილებაში მოთავსებულია აგრეთვე ხუთი ახალი მანქანა, რომელშიაც მიეცემულა, როგორც დირექცია ამბობს, 27.000 მანეთი. ამათგან ორი აკეთებს „პაჩკებს", ორი აწყობს პაპიროსებს და ერთიც ბანდეროლის მიმკვრელია, მაგრამ ჯერ-ჯერობით ვერ არის მოწყობილი და ამასთანავე მანქანისათვის შესაფერისად ვერ ამზადებს „იარლიკებს" ლიტოგრაფია. ამის გამო ჯერ კიდევ მანქანას შესაფერისი სარგებლობა ვერ მოაქვს წარმოებისათვის და მომავალში კი დიდ იმედებს ამყარებენ მასზე. ქარხნისათვის ნედლ მასალად, უპირველესად ყოვლისა, საჭიროა თუთუნი და თუთუნზე ლაპარაკიც მეტია, რადგანაც ეს ჩვენში მოდის და ამ მხრით საშიშო არ არის. რაც შეეხება ქაღალდის მასალას, ამ მხრით ქარხანა უზრუნველყოფილი არ იყო, მაგრამ ტრესტის დირექტორმა ამხ. პეტცომ მოსკოვიდან დაბრუნებისას დიდი იმედი მოგვცა, რომ ქარხანა კარგა ხანს უზრუნველყოფილი იქნება.

მუშკორი სანდრო ბაჯიაშვილი.

როზა ლიუქსემბურგის სახ. საქსოვ ქარხანაში.

მიუხედავად იმისა, რომ ქარხნის ფინანსიური მხარე სუსტია და პირველი აპრილიდან 15 მაისამდე სათელავი მანქანა არ მუშაობდა, მაინც შინამრეწველობის საფეიქრო ქარხნის წარმოება თვალსაჩინოა. ამ უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში აქ მოქსოვილია ხამი მაუდი 7.500 მეტრის რაოდენობით; მოთელილია 3000 მეტრი შალი; შეღებილია ქიმიური საღებავით 500 მეტრი მაუდი და შალი.

რაც შეეხება ქარხკომის მუშაობას, იგი მოისუსტებს. მუშებს არა აქვთ საშუალება ჩაებან კულტმუშაობაში; სამკითხველოში არ მოიპოვება წიგნები; ქარხანაში არ არსებობს არავითარი წრე; მუშა-მოსამსახურეები თუმცა გაერთიანებული არიან ქარხკომის სახელ. კლუბში, მაგრამ ეს მარტო ვერ აკმაყოფილებს მუშებს. ისინი ჩამოშორებული არიან ჟურნალ-გაზეთების კითხვას.

შრომის ხელფასი მუშებს არ ეძლევათ თავის დროზე, რაც მათში იწვევს სამართლიან უკმაყოფილებას.

შრომის დაცვის კომისია არ მუშაობს, თუმცა არსებობს კი.

საექიმო დახმარებაც სუსტია; მუშებში ხშირია ავადმყოფობა.

ქარხანაში არ არის მოწყობილი სასწრაფო დახმარება.

საჭიროა ეს დეფექტები გამოსწორებულ იქნეს. მუშა ვარდენ.

რა პირობებში ვმუშაობთ მეკოლოფეები

კოლოფების ქარხანა „ინტერნაციონალი" თავის ადგილ-მდებარეობით უნდა აღინიშნოს განსაკუთრებული ყურადღებით. როდესაც ქარხნის ეზოში შეხვალთ, უცბად შეჩერდებით და გაიფიქრებთ ბაღში ხომ არ მოვხვდიო; მაგრამ,—მიმოიხედავთ რა გარშემო, დაინახავთ ქარხნის ეზოში ვიმყოფებით.

ქარხნის ეზოში სიმეტრიულად (ოთხ ადგილას) გაშენებულია ბაღჩები, მორთული მრავალფეროვან ყვავილებით და რომელნიც ლამაზად გაიყურებიან ქარხნის ფანჯრებისკენ, საიდანაც მოსჩანს აჩქარებული მუშაობა. ეზოში სდგას აგრეთვე რამოდენიმე ხეხილი, რომლის ჩრდილოც ფარავს ეზოს ნახევარ მოედანს.

აი, [illegible] ბაღი, საშუალებას აძლევს იქაურ მუშებს [illegible] დროს და შემდეგშიც მიიღონ ქარხნის მიდამოებში სრული დასვენება და აგრეთვე იგრძნონ სიამოვნება—სურნელოვან ყვავილებით, რის შემდეგ მუშები დიდის ხალისით ვანაგრძობენ მუშაობას, რაც უფრო, დადებითად მოქმედობს შრომის ნაყოფიერების ზრდაზე.

აღსანიშნავია, აგრეთვე ქარხნის ეზოს უკანა ნაწილის მდებარეობა, რომელიც აგრეთვე ემსახურება ქარხნის მუშებს, როგორც დასასვენებელი ადგილი.

გადავალ ეხლა თვით ქარხანაზე.

ქარხნის შენობა ორსართულიანია, რომელიც შესდგება ორ დიდ ფლიგელად. აქ მოთავსებულია ოთხი განყოფილება. სამუშაო განყოფილებები საკმაოთ სინათლიანია. (გარდა განყოფილების—ერთი ნაწილისა). ქარხანაში დაცულია სრული სისუფთავე; რამოდენიმე ადგილას მოწყობილია ვენტილიაცია ჰაერის გასაწმენდათ და გასაგრილებლად.

თავის-თავად ცხადია, რომ ქარხანას აქვს კიდევ ზოგიერთი ნაკლულოვანებანი, მაგრამ გარანტია არის, რომ მუშაობის პროცესში გამოსწორებულ იქნება ყველა დეფექტები.

მუშკორი ვანო.

გამოგზავნილი წერილებიდან.

— სამუშაო დრო მთლიანად უნდა მოხმარდეს წარმოების საქმეს. ამიერ-კავკასიის რკინიგზის მთავარ სახელოსნოს წინ არის „ზაკტპო"-ს დუქანი, სადაც იყიდება სურსათ-სანოვაგე და პური. ამ დუქანში სახელოსნოს ზოგიერთი მუშები ხშირად დადიან პურის და სხვა სავნის საყიდლად მუშაობის დროს. აქ დგება მთელი რიგი. მუშას ამ რიგში ეკარგება ნახევარი და ხან ერთი საათიც. ეს გარემოება წარმოებისათვის საზარალოა და მას მომავალში მაინც არ უნდა ექნეს ადგილი.

ფაბკომმა უნდა გამონახოს გამოსავალი გზა. მუშა ბობოლა.

— რათ არ გვესწრებიან საერთო კრებებზე? თბილისის საქონლის სადგურში ხშირად ვიწვევთ მტვირთველ მუშების მასიურ კრებებს სხვადასხვაგვარ ღირსშესანიშნავ საჭირბოროტო საკითხებზე. ჩვენს კრებებს ჩვენ კანტორაში მომუშავე ქალები ან სულ არ ესწრებიან. ან ესწრებიან ძალზე მცირე რაოდენობით.

რაშია საქმე? არ გვკადრულობენ, თუ შეუგნებლობის ბრალია?!

მტვირთველი მუშა.

შრომის ხელფასის გაცემას გვიგვიანებენ. ყველამ იცის, თუ რა მძიმე და დამქანცავი პირუთმზიდაობა და რა მძიმე პირობებში უხდებათ რამოდენიმე ასეულ ფუთობით დღიურად ზიდვა მტვირთავ მუშებს. მიუხედავად ამისა, აღნიშნული მუშები, როგორც თბილისში, ისე ხაზებზედაც ძალიან დაგვიანებით იღებენ შრომის ხელფასს. ადმინისტრაცია თავის იმართლებს უფულობით, მაგრამ ის კი ავიწყდება, რომ მთელ ამ დარგის საარსებო წყაროს ქმნიან ეს მუშები, რომელთა გაიაზიდულ ტვირთების მიხედვით იგი იღებს ქირას და აქედან დგება დარგის ბიუჯეტი.

მუშა კეთილი.

პროფკავშირებში

შენიშვნები

საექიმო დახმარება სოფლად

თბილისში და სხვა ქალაქებში მომუშავე ამხანაგები, კავშირის წევრები და დაზღვეულები, საექიმო დახმარებას იღებენ ასე თუ ისე წესიერად: ავადმყოფობის დროს რაიონული ექიმები ნახულობენ ავადმყოფს ბინაში, უწერენ წამლებს უფასოდ და სხ. ასეთივე დახმარება ეძლევა მუშა-მოსამსახურის ოჯახის წევრებსაც. თუ კი ისინი ცხოვრობენ მათთან (ქალაქში); არსებული წესების თანახმად კი საექიმო დახმარება უსასყიდლოდ უნდა მიეცეს დაზღვეულის ოჯახის ყველა ნამდვილ წევრებს, თუ კი ისინი ამას საჭიროებენ იმის და მიუხედავად, სად ცხოვრობენ ისინი (ქალაქში თუ სოფლად), მაგრამ კანონი და წესი ერთია და მათი ცხოვრებაში გატარება კი სულ სხვაა. როგორც ვიცით, ქალაქებში მომუშავე მუშა-მოსამსახურეთა თითქმის 80 პროცენტს შეადგენენ სოფლის მცხოვრებლები. ამათგან თითქმის 50 პროცენტს ქალაქებში უბინაობის გამო ცოლ'შვილი ჰყავთ სოფლად. ყველა ამათ ვინც სოფლებში ცხოვრობენ და ეკუთვნიან დაზღვეულთა ოჯახებს, ავადმყოფობის დროს უნდა ჰქონდეთ უფასო საექიმო დახმარება. ისინი კი უმეტეს შემთხვევაში ასეთს ვერ იღებენ ადგილობრივ დამზღვევ სალაროთა დაუდევრობა-ჯიუტობის გამო.

არის შემთხვევა როდესაც ცენტ. დამზღვევი სალარო აძლევს წინადადებას ადგილობრივ სამაზრო სალაროს, რომ აუცილებლად გაეწიოს უფასო-საექიმო დხმარება დაზღვეულის ოჯახის ავადმყოფ წევრებს. ადგილობრივი სალაროები მაინც არ იღებენ არავითარ ზომებს ამ არა ნორმალურ მოვლენათა აღმოსაფხვრელად. ამიტომ აუცილებლად საჭიროა ამ საკითხის მოგვარებაში მიიღონ ყოველგვარი ზომები ჩვენმა უმაღლესმა პროფორგანოებმა და შრომის სახკომატმა.

განსაკუთრებით ყურადღება ამ მხრივ უნდა მიექცეს დასავლეთ საქართველოს და კერძოდ გურია-სამეგრელოს და ლეჩხუმს.

გოგირდი.

მომჭირნეობის საკითხი თვით კავშირებში

მომჭირნეობამ, უყაირათო და მიზანშეუწონელმა ხარჯებმა, უთავბოლოდ გაცემულმა და ბოლოს წამოწერილმა ავანსებმა, როგორც იცით, საშინლად გაანადგურეს და რამოდენიმე წლით დაავადეს ზოგიერთ ჩვენი პროფორგანოების ფინანსიური სხეული. არიან ისეთი პროფკავშირები, რომელთა დავალიანება უდრის ოცათას და მეტ თანხას. ამ ვალის გადახდა გაგრძელდება რამოდენიმე წლით. ცხადია, რომ მთელ ამ ხნის განმავლობაში კავშირის კულტურული და სხვა დარგის მუშაობა უნდა შენელდეს. განა ეს დასაშვებია? და რომ ეს აღარ მოხდეს საჭიროა ჩვენი კავშირების აპარატები კიდევ უფრო შევამციროთ და გავამარტივოთ; ავანსების გაცემა-ჩამოწერას ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოუღოთ. სხვადასხვა გვარ მიზანშეუწონელ და გაუმართლებელ მივლინებებსაც საზღვარი დაუდვათ და ყველაფერი ამით გავაჯანსაღოთ ჩვენი კავშირების გაღატაკებული სალაროები.

სამართებელი.

წითელ ჯარში

1902 წელში დაბადებულთა შეკრება დამთავრდა.

დღეს მთავრდება 1902 წელში დაბადებულ ცვალებად წითელარმიელთა შეკრება. ცვალებადელნი დასტოვებენ ყაზარმას და დაუბრუნდებიან თავის ჩვეულებრივ საქმიანობას.

შეკრება მოკლევადიანი იყო, იგი გაგრძელდა მხოლოდ ერთ თვეს. უეჭველია, ამ ხნის განმავლობაში ცვალებადელნი ყაზარმაში ვერ მიიღებდენ დასრულებულ ცოდნას, მაგრამ წითელმა ყაზარმამ შესძლო სამხედრო და პოლიტიკურ დარგებში შეკრებისათვის გამომუშავებულ პროგრამის გავლა.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ თვით ცვალებადელნი ყოველივე საქმეს ეკიდებოდენ ხალისიანად. კარგად ჰქონდათ შეგნებული, რომ შეკრების ვადა ძალიან მცირეა, ამიტომ ცდილობდენ ეს დრო გამოეყენებინათ სარგებლიანად და დაბრუნებულიყვენ სახლში საჭირო ცოდნით.

შეთვისება, როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკურ საგნების, დამაკმაყოფილებელი იყო.

ცვალებადელნი არ იყვენ ჩამორჩენილი აგრეთვე საზოგადოებრივ საქმიანობას; იღებდენ მონაწილეობას „რემედას"-ის, „ავიახიმი"-ს და საკავშირო კომისიის მუშაობაში. შეკრების დროს ინტენსიურად მუშაობდა სამხკორთა წრე. გამოშვებულ იქნა რამოდენიმე კედლის გაზეთი და ცვალებადელნი გაეცნენ სამხკორის საქმიანობას და ამოცანებს როგორც შეკრების, ისე შეკრებათა შორის დროს. დღეს ცვალებადი წითელარმიელნი ბრუნდებიან სახლში.

მთავარი, რაც ყოველთვის უნდა ახსოვდეს სახლში დაბრუნებულ ცვალებადელს, არის გაღრმავება იმ ცოდნის, რომელიც მან შეიძინა წითელ ყაზარმაში. მას [illegible] სახლში საკმაო უნარი და განაგრძოს თვითგანვითარება. ამისათვის კი საჭიროა იქონიოს მან მჭიდრო კავშირი ყაზარმასთან და მეთაურთა და პოლიტშემადგენლობასთან. ესენი დაეხმარებიან საჭირო წიგნების და ცნობების მიწოდებით და გაუადვილებენ მეცადინეობას.

სახლში დაბრუნებული ცვალებადელი უნდა გახდეს ქოხ-სამკითხველოს და სამხედრო კუთხის აქტიური თანამშრომელი. წითელ ყაზარმაში იგი გაეცნო სამხედრო კუთხის მუშაობას, მან გაიცნო ბირთვების, წრეების და მასიური მუშაობის მეთოდები. ყველა ეს უნდა გადაიტანოს ქოხ-სამკითხველოში და თავისი გამოცდილებით ხელი შეუწყოს იქ მუშაობის გამოცოცხლებას და გაჯანსაღებას. ცვალებადელთა მეოხებით უნდა გამოიყოს სოფლის კედლის გაზეთებში სამხედრო განყოფილება და სათავეში მას უნდა ჩაუდგეს თვით ცვალებადელი, როგორც სამხედრო საქმის მცოდნე.

სოფლად არსებული საზოგადოებრივი ორგანიზაციები საჭიროებენ გამოცდილ და მცოდნე ამხანაგებს. ცვალებადელებმა უნდა შეიტანონ მათ მუშაობაში თავისი წვლილი.

ცვალებადელთა მოვალეობაა—არ გასწყვიტონ კავშირი გაზეთ „წითელ არმიელთან" და დრო-გამოშვებით მიაწოდონ ცნობები სოფლად მუშაობის შესახებ. აგრეთვე საჭიროა ამ მუშაობის გაშუქება სამოქალაქო პრესაში.

ცვალებადელს სოფლად აქვს საკმაო სამუშაო. ამ მუშაობაში მან სავსებით უნდა გაამართლოს ის იმედები, რომლებსაც ამყარებს [illegible] წითელი ყაზარმა და სოფელი.

ი. ხუციშვილი.

ეკონომიური ცხოვრება

საგლეხო სესხი

საქ. კომპარტიის ც. კ. პლენუმი სახელმწიფო სესხის შესახებ

საქ. კ. პ. ცეკას, აპრილის პირველ რიცხვებში მოწვეულმა პლენუმმა „სამეურნეო მდგომარეობისა და სამეურნეო პოლიტიკის" შესახებ გამოტანილ რეზოლიუციაში აღნიშნა, რომ ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია და სამრეწველო ნაწარმოებთა საქონლის მასის გადიდება, მრეწველობის განვითარებას წინ ეღობება ერთი სპეციალური დაბრკოლება. ეს დაბრკოლება მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენმა მრეწველობამ სავსებით გამოიყენა ბურჟუაზიული ეპოქიდან დარჩენილი ძირითადი კაპიტალი და თავის შემდგომი განვითარებისათვის საჭიროებს წარმოებათა ხელახლა მოწყობას, ახალ ფაბრიკების და ქარხნების აგებას, რაც, თავის მხრივ, სავსებით დამოკიდებულია იმ საშუალებათა რაოდენობაზე, რომელიც შეიძლება მოხმარდეს მრეწველობის გაფართოებას.

ამგვარად იმისთვის, რომ გადიდებული იქნეს სახალხო მეურნეობის, და, პირველ რიგში, მრეწველობის პროდუქციის რაოდენობა, საჭიროა ოქტომბრის რევოლიუციამდე არსებულ წარმოებათა ერთი ნაწილი გადაკეთებულ იქნეს უკანასკნელ ტეხნიკურ მიღწევათა საფუძველზე და აგრეთვე აგებული იქნეს ახალი ფაბრიკა-ქარხნები. ამ მიზნის მისაღწევად ჩვენ გვჭირია დიდი თანხები რომლის მიღება დღევანდელ პირობებში შესაძლებელია მხოლოდ ქვეყნის შიგნით.

იგივე რეზოლიუცია გარკვევით აღნიშნავს თუ როგორ უნდა გადაწყდეს ეს ამოცანა, რა გზით უნდა იქნეს მიღებული ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის საჭირო თანხები. „საჭიროა მუდამ გვახსოვდეს, ნათქვამია რეზოლიუციაში,—რომ ამ ამოცანის გადაწყვეტა შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ერთის მხრივ, პარტია შესძლებს მომჭირნეობის მკაცრი რეჟიმის გატარებას, და ყოველგვარ ზედმეტ [illegible] ხარჯებთან ბრძოლის წარმატებით წარმოებას, მეორეს მხრივ, თუ გადიდებული იქნება მოსახლეობის შემონახული თანხების მოზიდვა ყოველგვარ საკრედიტო, კოოპერატიულ და სახელმწიფო დაწესებულებებში იმ მიზნით, რომ ეს დაგროვილი თანხები გამოყენებული იქნეს ქვეყნის საწარმოო ძალთა, და, პირველ ყოვლისა, ინდუსტრიის განვითარებისათვის".

ეკონომიისა და მომჭირნეობის რეჟიმი, რომელიც ამჟამად ტარდება, მიზნად ისახავს იმ საშუალებათა ნაწილის გადიდებას, რომელიც წარმოების გაფართოებას ხმარდება. ჩვენი საზოგადოებრივობა დიდი აქტივობით შეხვდა პარტიისა და სახელმწიფოსაგან გადმოსროლილ ლოზუნგს მომჭირნეობის შესახებ და შეუდგა ფართო კამპანიას მის განსახორციელებლად. ამ მხრივ საქ. კ. პ. ცეკას რეზოლიუცია სავსებით ტარდება ცხოვრებაში.

უფრო ნაკლებად სრულდება პლენუმის მეორე დირექტივა ცალკე პირების ხელში დაგროვილ თავისუფალ თანხების სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულებებში მოზიდვის შესახებ. მიუხედავად იმისა რომ სწორედ სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულებებს აქვს დაკისრებული შეაგროვოს ფართო მასების შემონახული წვრილმანი თანხები და თავისი მექანიზმის საშუალებით მოახმაროს იგი სოციალისტურ მშენებლობას, ჩვენი საზოგადოებრიობა სახელმწიფო სესხის ოპერაციების საკითხს შედარებით ნაკლებ ყურადღებას აქცევს.

პლენუმის დირექტივა მოსახლეობის თავისუფალი თანხების სახელმწიფო სესხად შეკრების შესახებ ხანგრძლივი და ენერგიულ კამპანიების საშუალებით უნდა განხორციელდეს. ეჭვს გარეშეა, რომ ეს კამპანია მნიშვნელოვან ნაყოფს გამოიღებს. რადგან მოსახლეობას, თუმცა მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც აქვს შემონახული თანხები. რომლის შესაგროვებლად საჭიროა სახელმწიფო სესხის მნიშვნელობის პოპულარიზაცია მოსახლეობის ფართო მასებში.

გ. რ.

მეორე საგლეხო სესხის მესამე გათამაშება

13 ივნისს ურალის დედა-ქალაქ სვერდლოვსკში დაიწყო მეორე მომგებიანი საგლეხო სესხის მორიგი გათამაშება, რომელშიაც მონაწილეობას იღებს 9 სერია. ვინაიდან თვითეული სერია შეიცავს 125.000 მანეთის 3.281 ცალ მოგებას, მორიგ ტირაჟის დროს გათამაშებულ იქნება სულ 1.125.000 მანეთის—29.529 ცალი მოგება. ამრიგად ეს გათამაშება მოგების რიცხვისა და ჯამის რაოდენობის მხრივ არის სარეკორდო ყველა ტირაჟებს შორის. მეორე საგლეხო სესხის ობლიგაციების შეძენის ხელსაყრელობა უფრო ცხადი ხდება, თუ ჩვენ შევადარებთ ერთმანეთს მოგებათა საშუალო ჯამს, რომელიც მოდის ყოველ ას მანეთზე ამჟამად მიმდინარე და გასული წლების ტირაჟების დროს.

1924 წლის პირველი საგლეხო სესხის თვითეულ 100 მანეთზე საშუალოდ მოდიოდა 50 კაპ. მოგება; 1922 წლის მომგებიანი სესხის დროს 80 კაპ. 1924 წლის მეორე სესხის დროს 75 კაპ. მოგება. 1925 წლის მეორე საგლეხო სესხზე მოდის 1 მან. 25 კაპ. მოგება. ამრიგად ყველაზე ხელსაყრელი და მომგებიანი არის მეორე საგლეხო სესხი.

გარდა ამისა მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ ამ სესხის პირობების თანახმად, ორი წლის განმავლობაში მოხდება მომგებიანი სესხის 8 გათამაშება, ე. ი. ყოველ სამ თვეში ერთი გათამაშება. ე კიდევ უფრო ადიდებს ამ სესხის ხელსაყრელობას მათთვის, ვისაც აქვს საშუალება შეიძინოს სესხის ობლიგაციები, ან გადასცვალოს წინა წლების სესხების ობლიგაციები მეორე სესხის ობლიგაციებზე.

როცა ვინმე ამა თუ იმ სესხის ობლიგაციებს იძენს, იგი მხედველობაში იღებს ამ სესხის ობლიგაციების განაღდების ხარისხს. ე. ი. ობლიგაციის შეძენის დროს მყიდველი ითვალისწინებს, თუ რამდენად არის შესაძლებელი ამ ობლიგაციის გაყიდვა ან დაგირავება. ამ მხრივ მეორე საგლეხო სესხის ობლიგაციის მდგომა- [illegible] სიბულებები მეორე საგლეხო სესხის ობლიგაციებს ღებულობენ საწინდრად და ყიდულობენ მათ ყოველგვარ შეზღუდვის გარეშე.

მოსახლეობის ღარიბი ნაწილისათვის, რომელსაც არ შეუძლია ერთბაშად შეიძინოს 5 მანეთიანი ობლიგაცია, შემნახველ კასებთან შემოღებულია ძალიან შეღავათიან პირობებში ობლიგაციების ნაწილ-ნაწილად გაყიდვა ვადებზე.

ვაჭრობა სპარსეთთან

ჩვენს სავაჭრო ბრუნვაში სპარსეთთან დიდი ადგილი უჭირავს მებამბეობას. სოფლის მეურნეობის ამ დარგს სპარსეთის ჩრდილოეთ-დასავლეთ ნაწილში 1920 წლამდე მეტად უმნიშვნელო ადგილი ეჭირა. ამ რაიონში ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს მუშაობის გაფართოების შემდეგ მებამბეობა განვითარდა და ერთ-ერთი პირველი ადგილი დაიჭირა სოფლის მეურნეობის სხვა დარგებს შორის.

1922 წელში ნედლი ბამბის მოსავალი ამ რაიონში უდრიდა 10.000 ფუთს, 1923 წელში—70.000. 1924 წ.—150.000 და 1925 წელში—350.000 ფ.

სპარსეთის მებამბეობის ასეთი სწრაფი ზრდა აიხსნება ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს მუშაობის გაცხოველებით; ამ უკანასკნელმა სპარსეთის ჩრდილოეთ-დასავლეთ ნაწილში შეიტანა ტრაქტორები, ბამბის სათესი მანქანები, გუთნები და მებამბეობის სხვა გაუმჯობესებული იარაღები.

შემდეგში განზრახულია სპარსეთში აგებულ იქნეს სამი ბამბის საწმენდი ქარხანა. ამ მიზნისათვის უკვე მიღებულია ორი 35-ძალიანი დიზელი. სპარსეთის ჯულფაში ამჟამად მუშაობს ერთი ბამბის საწმენდი ქარხანა, რომელსაც განზრახული აქვს ბამბის კულტურისათვის იჯარით აიღოს 500 დესეტინა მიწა.

ასეთივე სამაგალითო ბამბის მეურნეობანი განზრახულია მოწყობილი იქნეს სპარსეთის სხვა კუთხეებშიაც.

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს სპარსეთში მოწყობილი აქვს საცდელი მინდვრები, სადაც ზრდიან ბრინჯსა და სხვა პურეულს. ამას გარდა, მოწყობილია ხეხილის სანერგეები, წისქვილები, წყალსაქაჩავები და სხვა.

ბამბის გარდა ამიერ-კავკასიის და სპარსეთის ვაჭრობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ხმელ ხილს. დიკარხანში უკვე დაწყებულია უმაღლესი ხარისხის ხილის გაშრობა მექანიკური საშუალებით, რასაც აქამდე ადგილი არ ჰქონდა სპარსეთში.

ამასთანავე ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველო იღებს მთელ რიგ ღონისძიებებს, რომელთა გატარება ხელს შეუწყობს სპარსეთის სოფლის მეურნეობის აღდგენა-განვითარებას და ჩვენი სამეურნეო ურთიერთობის განმტკიცებას ამ ქვეყანასთან.

თბილისის საბჭოს პლენუმი

გუშინ საღამოს 7 საათზე შესდგა თბილისის საბჭოს მორიგი პლენუმი. დღის წესრიგში დასმული იყო **ჯანმრთელობის განყოფილების მუშაობა თბილისსა და მის მაზრაში.**

ამ საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. **კამალოვმა**, რომელმაც მიმოხილვა გაუკეთა განყოფილების მუშაობას მიმდინარე წლის პირველ ნახევარში. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ამ ხნის განმავლობაში განყოფილებას გაუფართოებია სამკურნალო დაწესებულებათა ქსელი, დაზღვეულის საექიმო დახმარების საქმე, სანიტარულ-საგანმანათლებლო მუშაობა, გაუმჯობესებია მკურნალობის საქმე დაზღვეულთა ბინაზე, გაუხსნია ახალი განყოფილებები საავადმყოფოებთან, მოუწყვია ფიზიოტერაპევტიული კაბინეტი, რომელიც მოქმედებას დაიწყებს ამ მოკლე ხანში; მოუხდენია წარმოებათა დისპანსერიზაცია, გაუხსნია ვენერიულ ავადმყოფობათა და ქლექის დისპანსერები და სხვა. მოხსენების დასასრულ მომხსენებელმა საბჭოს პლენუმს წარუდგინა განყოფილების მომავალი მუშაობის გეგმა.

მოხსენების გარშემო გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა. ამხანაგები აღნიშნავდენ რა განყოფილების მიღწევებს ჯანმრთელობის დაცვის დარგში ხაზს უსვამენ შემჩნეულ ნაკლულევანებათ, მაგ. ამხანაგებს მიზანშეუწონლად მიაჩნიათ ჯანმრთელობის განყოფილების უწყების ქვეშ მყოფ სააფთიაქო სამმართველოს და სახმედვაჭრობის პარალელური არსებობა, რაც იწვევს უსარგებლო კონკურენციას და ზედმეტ ხარჯებს. ზოგიერთი ამხანაგები ჯანმრთელობის განყოფილების ყურადღებას მიაპყრობენ გლეხთა დასაბინავებელ ფარეხების ანტისანიტარულ მდგომარეობისაკენ და მოითხოვენ მათი სანიტარული ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესებას. ამხანაგები ერთხმად საჭიროდ სცნობდენ საწოლების რიცხვის გადიდებას განსაკუთრებით ჰინეკოლოგიურ განყოფილებაში და აგრეთვე ერთი სამშობიარო თავშესაფარის მოწყობას პლეხანოვის პროსპექტის რაიონში. ორატორები საჭიროდ აღიარებდენ აგრეთვე საბჭოთა კავშირში ექიმები იგზავნებოდენ არა მარტო მკურნალობის უკანასკნელ მიღწევების გასაცნობათ, არამედ თვით მკურნალობის მეთოდების შესასწავლად იმ მიზნით, რომ გაუმჯობესებული იქნეს ქალაქში როგორც საამბულატორიო, ისე სტაციონალური დახმარების საქმე.

კამათის დასასრულ პლენუმმა მიიღო რეზოლიუცია, რომელიც ჯანმრთელობის განყოფილების მუშაობის განვლილ პერიოდში დამაკმაყოფილებლად სცნობს ამასთან პლენუმმა საფუძვლად მიიღო კონკრეტიულ ღონისძიებათა პროექტი ქალაქის და მისი მაზრის ჯანმრთელობის დაცვის საქმის და სანიტარული ჰიგიენური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

მუშათა კრედიტი

(ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის მასალებიდან)

ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციამ დაამთავრა მუშათა კრედიტის საქმის გამოკვლევა ამიერ-კავკასიაში.

სხვა მომენტებთან ერთად გამოკვლევამ აღნიშნა, რომ მუშათა კრედიტის საქმეში, რომელიც ამიერ-კავკასიაში ტარდება 1923 წლიდან, არ იყო საერთო მომწესრიგებელი ნორმები, რის გამო მუშათა კრედიტს არ ჰქონდა გეგმაშეწონილი ხასიათი.

გასული წლის განმავლობაში მუშათა კრედიტმა ამიერ-კავკასიაში საკმაოდ ფართო ხასიათი მიიღო. ასე, მაგალითად, საქართველოში (თბილისი) მარტო სამი ორგანიზაციის მიერ (მუშკოოპი, საქართ. სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხ-ბა, „გრუზშვეიპრომ") გაცემული იყო ნისიად 920.000 მანეთის საქონელი; ამასთანავე კრედიტი მიეცა 136 ორგანიზაციის მუშა-მოსამსახურეებს.

აზერბეიჯანში ნისიად გაცემული იყო 3.104.000 მანეთის საქონელი და სომხეთში—198.550 მან.

კრედიტების განაღდება არ ხდებოდა თავის დროზე, ამასთანავე ვალების განსაზღვრული ნაწილი უიმედოა. სასამართლოს საშუალებით აღძრული იყო მრავალი სარჩელი, მაგრამ მათ არ გამოუღიათ საჭირო შედეგი. ასე, მაგალითად, საქართველოში კრედიტის საერთო რაოდენობით ვადა გასული კრედიტი 1925 წლის 1-ლი ოქტომბრისათვის შეადგენდა 54.960 მანეთს (17 პროც.), რომელთაგან უიმედოთ უნდა ჩაითვალოს 22.920 მანეთი ე. ი. საერთო კრედიტის 7 პროც.; სომხეთში ვადაგასული კრედიტი შეადგენს იმავე რიცხვისათვის 44.375 მანეთს და აზერბეიჯანში—532.700 მანეთს, რომელთაგან 12.145 მანეთი ჩამოწერილია, როგორც უიმედო ვალი.

გრძელვადიანი კრედიტის არსებული ფორმებიდან ამიერ-კავკასიაში უმთავრესად მიმართავდენ კოლექტიურ კრედიტს, რომელსაც მრავალი ნაკლი აქვს. არც ინდივიდუალური კრედიტის პრაქტიკა არ იყო დამაკმაყოფილებელი.

მუშათა კრედიტის ვადები ცალკე რესპუბლიკებში სხვადასხვა იყო: საქართველოში—3-4 თვე, სომხეთში—1,5-3 და აზერბეიჯანში 4-6 თვე.

საქონლის კრედიტის მაგივრად ფულადი კრედიტის შემოღებას ამიერ-კავკასიაში ადგილი არ ჰქონია, იშვიათი გამონაკლისის გარდა. საერთოდ კი კრედიტის ეს ფორმა არის ხმარებაში ურთიერთ დამხმარე კასების სახით. ფულადი კრედიტის სისტემას უეჭველად მეტი უპირატესობა აქვს საქონლის კრედიტთან შედარებით და მომავალში მან მთლიანად უნდა შესცვალოს უკანასკნელი.

საბინაო მშენებლობა

10 პროცენტიანი ანარიცხი

მუშათა საბინაო მშენებლობის დამხმარე კომიტეტმა შუამდგომლობა აღძრა ფინანსთა სახალხო კომისარიატის წინაშე, რომ მან მიიღოს ზომები, რათა კომუნალური ხასიათის სავაჭრო-საწარმოო წამოწყებებმა მუშათა ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელ ფონდში გადარიცხონ მოგების 10 პროცენტი. ეს თანხა კომიტეტის შუამდგომლობით, უნდა გადაირიცხოს მიმდინარე საოპერაციო წლის დასაწყისიდან.

დამხმარე კომიტეტმა ასეთივე ხასიათის გადაწყვეტილება აცნობა თბილისის აღმასკომს. ამავე დროს კომიტეტმა საბინაო მშენებლობის თბილისის კომიტეტს დაავალა ამ დადგენილების შესრულების თვალყურის დევნება.

სამშენებლო ფონდი

მუშათა საბინაო მშენებლობის დამხმარე კომიტეტმა სთხოვა შინაგან და ფინანსთა საქმეთა სახ. კომისარიატებს მიიღონ შესაფერი ზომები, რომ გორის და ქუთაისის აღმასკომებმა საბინაო მშენებლობის ფონდში გადასდონ სადარაბო შემოსავლის 5 პროცენტი.

საბინაო გადასახადი გორში

დამხმარე კომიტეტმა სთხოვა შინაგან და ფინანსთა სახ. კომისარიატებს, მიიღონ ზომები, რომ გორში შემოღებულ იქნას მიზნობრივი საბინაო გადასახადი. ამასთანავე გორის აღმასკომიტეტმა აღძრა შუამდგომლობა სოხუმის უმაღლეს ორგანოებში საბინაო მიზნობრივ გადასახადის [illegible] შესახებ.

შაქრის ქარხნები

კომისიის გამგზავრება

გუშინ საკავშირო სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სპეციალური კომისია შაქრის ტრესტის გამგეობის წევრის ამხ. ნეკრაშევიჩის, ინჟ. ლუკიანოვის და აგრონომ გორსკის შემადგენლობით გაემგზავრა გორის მაზრაში.

კომისიას თან გაჰყვა საქართველოს ს. მ. უ. ს. ინჟენერი რამპი და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი.

კომისია მოახდენს ტირიფონის ველის დაწვრილებითი აგრონომიულ გამოკვლევას გორის და ცხინვალის რაიონებში. კომისია გორის მაზრაში დარჩება 3-4 დღე, რის შემდეგაც გაემგზავრება ბორჩალოს მაზრის გამოსაკვლევად.

კომისია ადგილობრივ გაეცნობა ნიადაგის რელიეფს, კლიმატიურ პირობებს, გამოიკვლევს, თუ რამდენად შესაძლებელი იქნება წყლის საკმაო რაოდენობის მიწოდება მომავალ ქარხნებისათვის, შეისწავლის ნიადაგს და სხვა.

კომისია შეთანხმებულად იმუშავებს ადგილობრივ ორგანიზაციებთან, კერძოდ ს. მ. უ. ს. და საქართველოს მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატთან ერთად.

გლეხთა სახლში

„დრო იყო დამნაშავე"

12 ივნისს, გლეხთა სასახლეში ჩამოსულ გლეხებს უჩვენეს სურათი „ვინ არის დამნაშავე". სურათის შემდეგ გაიმართა დისპუტი, რომელშიაც გლეხებმა მიიღეს ცხოველი მონაწილეობა. კამათის შემდეგ ერთხმად გადასწყვიტეს რომ „მაშინ დრო იყო დამნაშავე".

ახალი ბაღი

გლეხთა სასახლე უკვე შეუდგა წინასწარ მუშაობას სასახლის ეზოში ბაღის გასაშენებლად.

მოხსენებები

დღეს, საღამოს გლეხთა სასახლის დარბაზში გაიმართება მოხსენება „სამომხმარებლო კოოპერაცია და გლეხობა".

მოხსენებას გააკეთებს ცეკავშირის ინსტრუქტორი.

საქონლის ჭირი

მიწათმოქმედების კომისარიატის სავეტერინარო განყოფილების ცნობით მაისის განმავლობაში გაუხსნიათ ჭირთან მებრძოლი 17 პუნქტი. მთელი თვის განმავლობაში მოქმედებდა სულ 40 პუნქტი.

სხვა თვეებთან შედარებით ამ თვეში საქონლის ჭირმა უფრო ფართო ხასიათი მიიღო. ჭირი ახლად გაჩნდა ახალციხის მაზრაში, გორის მაზრაში, იმერეთში და სხვაგან. ამავე თვის განმავლობაში ადგილი ჰქონდა ცხვრის ყვავილს, ღორის ჭირს, საქონლის ციებას და სხ.

იმ რაიონებში, სადაც ჭირია გავრცელებული [illegible] 31.332 სული საქონელი; აქედან აეცრა 3.677, ავადმყოფობიდან მოკვდა 85.

საქონლის ჭირი მოისპო 21 ადგილას, სადაც უკვე მოიხსნა კარანტინი.

ტყეების მოწყობა

მიწათმოქმედების კომისარიატის სატყეო განყოფილებამ 13 ივნისს სვანეთში გაგზავნა 4 მეტყევე-ტაქსატორი, 3 მიწისმზომელი, 12 მეტყევე-პრაქტიკანტი და ერთი ჯგუფის ხელმძღვანელი.

აღნიშნული ჯგუფი ჩასვლისთანავე შეუდგება სვანეთის ტყეების მოწყობას და ჯერ რუკაზე გადაუღებელი ადგილების გადაღებას.

ჯგუფში შედიან აგრეთვე სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიული დარგის სტუდენტები—პრაქტიკანტებათ.

ავტო ტრანსპორტი

ამჟამად ამიერ-კავკასიის საავტომობილო სავაჭრო-სამრეწველო სააქციო საზოგადოებას („ზაკავტოპრომტორგ") ჰყავს 70 ავტობუსი. გასულ წელთან შედარებით ავტობუსების რიცხვი გაიზარდა 100 პროცენტით.

ამას გარდა, „ზაკავტოპრომტორგ"-მა მიმდინარე წელში მიიღო 45 „ფიატ"-ი და 4 საბარგო მანქანა „ზაურერ"-ის სისტემისა. ახლო ხანში საფრანგეთიდან „ზაკავტოპრომტორგ"-ის სახელზე გამოგზავნილი იქნება „ზაურერ"-ის სისტემის ოთხი ავტობუსი.

მიმდინარე წელში ამიერ-კავკასიის ყველა გზატკეცილებზე იმუშავებს 200 ავტომობილი, აქედან ყველაზე მეტი მოდის საქართველოს გზებზე.

ჟანდარმები პროსპექტზე

გუშინ დილით რუსთაველის გამზირს მოევლინენ თბილისის მოქალაქეების ძველი ნაცნობნი მეფის დროს ჟანდარმები და პოლიციელები. ქუჩებზე მათმა მოულოდნელმა გამოჩენამ მოქალაქეებში ერთგვარი სენსაცია გამოიწვია. მათ ირგვლივ თავი მოიყარა ხალხმა „დეზერტირკის" ერთი გმირის თქმის არ იყოს, გაჩნდა რიგები, მაგრამ, რასაკვირველია, არა იმისთვის რომ მისულიყვნენ ხელზე სამთხვევად; დაინტერესებული ხალხი გაფაციცებით ადევნებდა თვალს მათ მოქმედებას, რომელიც იწვევდა გაკვირვებასა და სიცილს.

კინო-აპარატის გამოჩენამ ახადა ფარდა პოლიციელთა მკვდრეთით აღდგომის საიდუმლოებას:

— გუშინ, დილით თბილისის მშიან ქუჩებზე იღებდენ სცენებს კინო-სურათ „ხანუმა"-სათვის.

ო.

მეცხვარეობა

მეცხვარეობის [illegible]

რადგან მიმდინარე 1926 წ. აპრილის ცუდმა ამინდებმა [illegible] და ზოგიერთ სხვა რაიონებში საქართველოს მეცხვარეობას საგრძნობი ზარალი მიაყენა—ცხვრის მასიურად გაწყვეტის სახით, ეკონომიურმა საბჭომ საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს დაავალა დაინტერესებულ უწყებებთან ერთად, გამოარკვიოს ამ ზარალის რაოდენობა და სათანადო მოხსენება წარმოუდგინოს საქართველოს ეკონომიურ საბჭოს.

რკინისგზებზე

ელექტრო-დნობის შემოღება თბ. მთ. სახელოსნოში

ამ რამოდენიმე ხნის წინეთ ა.-კ. რკ. გზების თბილისის მთავარ სახელოსნოებში დაიწყეს ცდების წარმოება ლითონის ელექტრონით დნობაზე გადასასვლელად. ამისთვის ა.-კ. სახოფლო-სამეურნეო გამოფენიდან გამოყენებულ იქნა „ვეკსი"-ს (შვეცია) ფირმის სპეციალური აპარატი. ცდებს ხელმძღვანელობდენ ამავე ფირმის მონტიორები.

ცდები უკვე დამთავრებულია. ლითონის ელექტრო-დნობის მნიშვნელობის და აღნიშნულ ცდების შედეგების შესახებ მთავარ სახელოსნოების უფროსმა ამხ. **მაისურაძემ** ჩვენს თანამშრომელს შემდეგი აცნობა: ჩვენს სახელოსნოში ლითონების დნობა სწარმოებს აცეტილენით, რაც ძალიან ძვირად ჯდება.

ამასთან შედარებით ელექტრონით ლითონის დნობას მეტი უპირატესობა აქვს, რადგან დნობის პროცესი უფრო სწრაფად სწარმოებს და ამასთანავე მეტ ეკონომიას იძლევა სიიაფის მხრივ. „ვეკსო"-ს აპარატის გამოცდამ გვიჩვენა, რომ იგი მუშაობს მხოლოდ ცვალებად სამ-ფაზიან ელექტრო-დენზე და კარგად მუშაობს რკინაზე და ფოლადზე, ხოლო რაც შეეხება ფერად ლითონებს თითბერი, სპილენძი, ალიუმინი და სხვა, აქ იგი გამოუსადეგარი აღმოჩნდა. ამისათვის ლითონის ელექტრო-დნობაზე გადასვლისათვის, ჩემის აზრით, „ვეკსო"-ს აპარატს გარდა საჭიროა მეორე აპარატის შეძენაც, რომელიც იმუშავებს მუდმივ დენზე და შესძლებს ფერად ლითონების დნობას.

მაგრამ ამ წესის [illegible] შემდეგაც, ჩვენ იშვიათ შემთხვევებში მაინც მოგვიხდება აცეტილინით სარგებლობა, რადგან ელექტრო-დნობის დროს რჩება ისეთი ნაწილები ლითონების, რომელთა სისქე არ აღემატება 3—4 მილიმეტრ და მათ ელექტრონი [illegible] ხარშავს.

შემთხვევები

ორთქლმავალის გადავარდნა

13 ივნისს დაახლოვებით ღამის 1 საათზე მე-149 ვერსზე ამამლი-კარაკლისის შორის რკინისგზაზე ჩამოვარდა ქვა, რომელიც მოხვდა მატ. № 414-ს. დატაკების გამო ლიანდაგს აცდა ორთქლმავალის უკანა ნაწილი ყველა ბორბლებით. ამ შემთხვევის გამო ხაზი დაიკეტა და სახალხო მატ. № 4 და 12 გაჩერებულ იქნენ სადგ. ამამლიოში. დამხმარე მატარებელი შემთხვევის ადგილზე გაიგზავნა—ლენინაკანიდან. აგებულ იქნა მოსავლელი ხაზი და ამგვარად მოძრაობა აღდგენილ იქნა 6 საათზე და 50 წუთზე. შემთხვევის ადგილზე გაემგზავრა უბნის სალიანდაგო დარგის უფროსი.

მეწყერი

14 ივნისს, დაახლოვებით ღამის 2 საათზე და 40 წუთზე რკვია-სალიეთის შუა—(ჭიათურის ხაზზე) მე-25 ვერსზე ჩამოინგრა მიწა რომელსაც დაეტაკა მატ. № 168. ლიანდაგს ასცდა ორთქლმავალი ორი ბორბლით. ამ შემთხვევის გამო ხაზი დაიკეტა. შემთხვევის ადგილზე გაემგზავრა უბნის სალიანდაგო დარგის უფროსი. ორთქმავალი ამოიღეს. მოძრაობა აღადგინეს 5 საათზე და 50 წუთზე.

ვაგონების გადავარდნა

14 ივნისს, ღამის 4 საათზე და 30 წუთზე ბაქოს პირველ სადგურში სახალხო მატ. № 3-ს შესვლის დროს გზაჯვარედინზე ლიანდაგს ასცდა ოთხი საკლასო ვაგონი.

ავტომობილის დამტვრევა

13 ივნისს ღამით 11 საათზე ბაქოში, როცა ნავთის ცისტერნებისაგან შემდგარ მატარებელი სადგურს უახლოვდებოდა, გზატკეცილით, რომელსაც ლიანდაგი სჭრიდა, მოქროდა მსუბუქი ავტომობილი. შოფერმა განიზრახა მატარებლისთვის გადასწრება, მაგრამ ვერ მოასწრო და დაეჯახა მიმავალ მატარებელს. ავტომობილი დაიმსხვრა, შოფერი მძიმედ დაშავდა. ლიანდაგს ასცდა ერთი ვაგონი.

ა.-კ. სატრანსპორტო-სამომხმარებლო საზოგადოებაში

მისაბაძი მაგალითი. ბორჯომისა და წაღვერის რაიონების რკინის-გზელებმა საერთო კრებაზე დაადგინეს, გამოუკლებლივ ჩაეწერონ წევრებათ ა.-კ. სატრანსპორტო-სამომხმარებლო კოოპ. საზ-ბაში.

10 პროცენტის შეღავათი. საერთაშორისო კოოპერატიული დღისათვის ა.-კ. სატრანსპორტო-სამომხმარებლო კოოპერატიულ საზოგადოებას განზრახული აქვს მისცეს საქონელი 10 პროცენტის დაკლებით იმ წევრებს, რომლებიც ამ დღემდე გაივლიან ხელ-ახალ რეგისტრაციას.

სასადილო და მაღაზია წაღვერში. საზაფხულო სეზონის დადგომის გამო, ა.-კ. სატრანსპორტო - სამომხმარებლო კოოპერატიულმა საზოგადოებამ წაღვერში გახსნა სასადილო და მაღაზია.

გამოიწერეთ
ჟურნალი
სოფლის კომუნისტი
საკავშირო ორგანო
შინაარსი:
ზ. ბახარაძე—„სოფლის კომუნისტი" და სოფელში მუშაობა
გ. ... —მესამე საკავშირო

„სოფლის კომუნისტი" საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის ერთად-ერთი ჟურნალია, რომელიც მიზნად ისახავს გააშუქოს სოფლად პარტიული და საბჭოთა მუშაობის პოლიტიკა.

„სოფლის კომუნისტი" არკვევს პარტიულ მუშაობის ამოცანებს სოფლად მუშაობის სხვადასხვა დარგში; **პარტიული ცხოვრება, სოფლის საბჭოების მუშაობა, სამეურნეო მშენებლობა, სასოფლო მეურნეობის საკითხები, სოფლად ახალი გაუმჯობესებული სამეურნეო იარაღების შეტანა, სარწმუნოების და ადგილობრივი ყოფა-ცხოვრების საკითხი, გლეხკორების მოძრაობა და სოფლის სხვადასხვა კულტურული საქმეები ჟურნალში პოულობს ახსნა-გაშუქებას.**

ჟურნალი არკვევს აგრეთვე საერთაშორისო პოლიტიკურ მდგომარეობას და მასთან დაკავშირებულ საკითხებს.

„სოფლის კომუნისტს" უდიდესი მნიშვნელობა აქვს სოფლად მომუშავე ამხანაგების გათვითცნობიერების საქმეში, ამიტომ ამ ჟურნალს აუცილებლად უნდა კითხულობდეს უჯრედის თითოეული წევრი.

არ უნდა დარჩეს არც ერთი ამხანაგი, რომელსაც არ ექნება გამოწერილი „სოფლის კომუნისტი".

ჩვენი ლოზუნგია: **მიმდინარე წელში 10 ათასი ტირაჟი „სოფლის კომუნისტი"-ს!**

საჭიროა და აუცილებელი ჟურნალის გავრცელება უპარტიო აქტივს შორის. ეს საქმე უნდა იკისრონ განსაკუთრებით უჯრედის აქტიურმა წევრებმა.

„სოფლის კომუნისტი"-ს გავრცელებაში, ხელისმოწერის მიღებაში უნდა ჩავითრიოთ ქოხ-სამკითხველოს გამგე, მასწავლებელი და სხვა. ამით შევძლებთ ამ ჟურნალის მასსიურ გავრცელებას.

ხელისმოწერის პირობები:

1 წლით	2 მანეთი
ნახ. „	1 „
3 თვით	60 კაპ.
ცალკე ნომერი	20 „

ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით:
თბილისი, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბეჭდვითი განყოფილება, რუსთაველის 22.

ქრონიკა

ამხ. ლადო სუხიშვილის გამგზავრება

თბილისის აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ლადო სუხიშვილი დღეიდან მიდის ერთი თვის შვებულებაში სოფლად დასასვენებლად.

საურთიერთო ნდობის ბანკში

კვირას შესდგა საურთიერთო ნდობის ბანკის წევრთა საგანგებო კრება, რომელზედაც მოხდა ბანკის გამგეობის ორი ახალი წევრის არჩევნები. გამგეობის ახალ წევრებათ არჩეული იქნენ **ამხ. გრ. დუმბაძე და ონ. ქვანია.**

კრებამ მადლობა გადაუხადა გამგეობის ყოფ. თავმჯდომარეს ამხ. გოგოტიშვილს, რომელმაც თავისი სურვილით დაანება თავი ბანკში მუშაობას.

საძოვართა კომისია

ა.-კავკასიის საძოვართა მეურნეობის მთლიან საერთო ფედერატიულ მომწესრიგებელ და ხელმძღვანელ ცენტრის დაარსება მიზანშეწონილად იქნა ცნობილი.

ფასების დაკლება

საბჭოთა კავშირის შინა-ვაჭრობის კომისარიატის ცნობით, გასული თვის უკანასკნელ ათ დღეში მთელ საბჭოთა კავშირში ფართლეულობა გაიაფდა 1,2 პროცენტით. განსაკუთრებით ფასების დაკლება დაეტყო ჩითეულობას.

შეღავათიანი დაზღვევა

სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოს გადაწყვეტილებით, საბინაო კოოპერაციის კუთვნილ სახლებზე შემოღებულია შეღავათიანი დაზღვევის ტარიფი. ამის მიხედვით დაზღვეულ სახლის ღირებულების ყოველ 1000 მანეთზე კოოპერატიული ამხ-ები წლიურად იხდიან 80 კაპეიკს (თუ მაგალითად სახლი ეღირება 8 მანეთი).

კოლოკვიუმები

განათლების სახ. კომისარიატის დადგენილებით, ყველა საფეხურის სკოლებში მისაღები და განმეორებითი კოლოკვიუმები დაიწყება 10 სექტემბერს.

სკოლების შეკეთება

განათლების სახალხო კომისარიატმა წინადადება მისცა სამაზრო აღმასკომებს, რომ სკოლების შენობები და ავეჯეულობა შეკეთებული იქნას საზაფხულო არდადეგების განმავლობაში, 1 სექტემბრამდე. აღმასკომები ვალდებულნი არიან სკოლების შეკეთების შესახებ წინასწარი ცნობები გადმოგზავნონ 1 ივლისამდე კომისარიატში.

ახალი სამარხები ზემო ავჭალაში

გუშინ რედაქციამ მცხეთიდან მიიღო ცნობა, რომ ზემო ავჭალაში გათხრების დროს აღმოჩენილ იქნა კიდევ ახალი სამარხები—მრავალი არქეოლოგიური განძეულობით. დღეს საქართველოს მუზეუმის კომისია არქეოლოგ გიორგი ნიორაძის ხელმძღვანელობით მიემგზავრება სამარხების გამოკვლევის მოსახდენად.

თბ. აღმასკომში

— **სკოლები.** სართიჭალაში გლეხების მიერ დაწყებული შრომის სკოლების შენობები დამთავრებული იქნებიან თბ. აღმასკომის ხარჯზე.

— **თივისა და ქერის შესაძენად.** მაზრაში გლეხებისაგან ქერისა და თივის შესაძენად თემაღმასკომების განკარგულებაში გადადებულია 20,326 მან.

— **ტრამვაის** სასაკლაოს ხაზზე ამ დღეებში გადიდებული იქნება ხორცის საზიდი რონოდები.

— **წითელი თეატრის** შეკეთებასთან დაკავშირებულ საკითხების საბოლოოდ განსახილველად შედგენილი იქნა სპეციალური კომისია.

— **აბანოს შეკეთება.** ამ დღეებში შეუდგებიან მესამე აბანოს საფუძვლიან შეკეთებას.

— **კეთილმოწყობა.** ასფალტით მოგებული ქუჩების შესაკეთებლად გადადებული იქნა 4000 მან.

კრებები და მოხსენებები

— **განათლების მუშაკთა სახლში.** [illegible] 15 ივნისს, საღამოს 6 საათზე, შესდგება ქართული ენის შემსწავლელი წრის მეცადინეობა პროფ. ახვლედიანის ხელმძღვანელობით.

შეცდომის გასწორება

შაბათის №-ში მოთავსებულ წერილში (**„რევოლვერის ხმა სასოწარკვეთილთა ბანაკიდან“**), მესამე აბზაცში, სწერია:

„ჩხეიძის საქციელზე ჩვენ არც კი შევჩერდებოდით, რომ მას ვიწრო პიროვნული ხასიათი არ ჰქონდეს“... ხაზგასმული „არ“ ზედმეტია და დაბეჭდილია კორექტურული შეცდომით.

ხელოვნების ქრონიკა

კონსერვატორია. შაბათს, 19 ივნისს, კონსერვატორიის დიდ დარბაზში საქართველოს ახალგაზრდა მუსიკოსთა საზოგადოება გამართავს დიდ სიმფონიურ კონცერტს. კონცერტის პროგრამაში შევა განსაკუთრებით ქართველ ახალგაზრდა კომპოზიტორების ნაწარმოები სიმფონიურ ორკესტრისა და სოლისტების შესრულებაში. კონცერტს ხელმძღვანელობს რესპუბლიკის სახალხო არტისტი ვანო ფალიაშვილი.

ტრამვაის მუშათა კლუბში დღეს გაიმართება ოსური წარმოდგენა — „ზნაურ აიდაროვი“.

მცხეთის სახალხო თეატრში 12 ივნისს, ახალგაზრდათა დრამატიულ წრის მიერ წარმოდგენილი იყო „პატარა კახი“, რამაც მაყურებლებზე კარგი შთაბეჭდილება დასტოვა.

ტერენტი გრანელის წიგნი. რედაქციამ მიიღო პოეტ ტერენტი გრანელის ლექსების მესამე წიგნი.

შემთხვევები

უბედური შემთხვევა

შაბათს, დაახლოებით საღამოს 8 საათზე სამსახურის მოვალეობის ასრულების დროს დაიღუპა ტრამვაის ვაგონების კონტროლიორი მუშა ყოჩიშვილი. საქმის გარემოება ასეთია:

საბჭოთა ქუჩის (ყოფილი ჩერქეზიშვილის) იმ ადგილას, სადაც რკინისგზის ხიდია, ერთმანეთს უახლოვდებოდენ პარკის მხრიდან და სადგურის მხრიდან მომავალი ტრამვაის ვაგონები. ქვეიდან მომავალი ვაგონის შეჩერებისას კონტრალიორი ყოჩიშვილი გადმოხტა ვაგონიდან და მიაშურა შესახტომად მეორე ვაგონს, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო შეჩერებული და წინა ნაწილით დაეჯახა ამხ. ყოჩიშვილს. საფეთქელში. ყოჩიშვილი გონება დაკარგული დაეცა. საავადმყოფოში გაგზავნისას იგი გზაზე გარდაიცვალა.

ქლოროფორმის შედეგი

ერთ დღეს, აბას-ბაგირ-ზადე ალისკარ-ასკარ-ოღლი და ირზაკულ-ბაგირ-ოღლი შევიდენ რესტორანში საქეიფოდ. ქეიფის დროს ამხანაგებმა ბაგირ-ზადეს შეუმჩნევლად ჭიქაში ჩაუსხეს რაღაც სითხე, რამაც ძილის ხასიათზე მოიყვანა იგი. მძინარე ბაგირ-ზადე ამხანაგებმა ბინაზე მიიყვანეს და ამ „პატივისცემისათვის“ მას ჯიბიდან მოპარეს 750 მანეთი. მეორე დღეს ამის შესახებ მან აცნობა სისხლის სამმართლის მილიციას.

ს. ს. ცენტრალურ მაძიებელ მილიციის მიერ ბოროტმოქმედნი შეპყრობილ იქნენ. ირზაკულ-ბაგირ-ოღლი და გუსეინ-მამედ-ოღლი გამოტყდენ 460 მან. მოპარვაში.

ჯანსახკომის ქიმიურ ლაბორატორიაში შეამოწმეს ის სითხე, რომელიც ღვინოსთან ერთად დალია ბაგირ-ზადემ: ეს აღმოჩნდა ქლოროფორმი.

ბოროტმოქმედნი: ორზაკულ-ბაგირ-ზადე, გუსეინ-მამედ-ოღლი და ალისკარ-ოღლი გადაგზავნილი არიან გამსახლში.

— **უეცარი სიკვდილი.** 13 ივნისს კარლ მარქსის მოედანთან ტრამვაის ვაგონში მჯდომი ავეტის სარქისოვი უეცრად გახდა ავათ და გარდაიცვალა.

— **დაშავება.** 13 ივნისს ხუდადოვის ტყეში საქანელადან გადმოვარდა და დაშავდა ვლადიმერ მოტა.

— **იპოდრომიდან** 12 ივნისს მოიპარეს 70 მანეთის ნივთები.

— **სართიჭალის საპატიმროდან** გაიქცა პატიმარი მამედ-ოღლი.

— **ჯიბგირები.** 12 ივნისს შეიპყრეს ჯიბგირები გრ. დრაგუნოვი და შიმფონ ხაჩატუროვი.

— **„სამება“.** მილიციამ შეიპყრო 3 ამხანაგი: შულიავოვი, ჩაჩიბაია და სარიკინი, რომლებმაც გაქურდეს საფაროვის სამკერვალო.

— **ქურდობა.** 13 ივ. პროექტის ქ. გაქურდეს ვიქტორ დარახველიძის ბინა. წაღებულია 150 მ. ნივთები.

— ამავე დღეს მოგნინის ქ. გაქურდეს მარიამ ასულაზატანის ბინა.

— **ჟურ. „თეატრი და ცხოვრება“-ს რედაქციის საწყ. გაქურდვა.** გაქურდულ იქნა ჟურნალ „თეატრი და ცხოვრება“-ს საწყობი. წაღებულია წიგნის სუფთა ქაღალდი, ჟურნალის კომპლექტები, წიგნები, ყდის ქაღალდი, სურათების ქაღალდი, ძველი ჟურნალ-გაზეთები „მოამბე“, „ივერია“ „ქვალი“. „შერცხალი“-ს და სხ. სრული კომპლექტები, სურათები და სხ. ზარალი აღწევს 2.200 მანეთამდე. სისხლის სამართლის მილიციის მიერ მიღებულ ზომებით დაკავებული იქნენ გოგი ნასიძე, მიხეილ გველესიანი, ჟ. კიკნაძე, ირ. ნასიძე, რომელნიც ბოროტ-მოქმედებაში გამოტყდნენ. გამოძიება სწარმოებს.

◆

დოღი

კვირა 13 ივნისი

კვირას დიდუბის იპოდრომზე გაიმართა ექვსი დოღი.

პირველ დოღში ჯილდოთ დანიშნული იყო 60 მანეთი. მონაწილეობდენ: **დურიპში, ალმასი, დონი, ზოროლ და ყარგიჩი.**

პირველი მოვიდა **დონი,** მეორე—**ყირგიჩი,** მესამე—ალმასი.

სისწრაფე—3 წუთი 37 წამი; მანძილი 2667 მეტრი (2,5 ვერსი).

მეორე დოღში მონაწილეობდენ: **იანეკი, მოდერნი, რივიერა და მარსელი.**

პირველი მოვიდა **მარსელი,** მეორე—**მოდერნი.**

სისწრაფე—2 წუთი 17 წამი; მანძილი 1867 მეტრი (1,75 ვერსი).

მესამე დოღში მონაწილეობდენ: **შაშარკა, ცო-ტო, სარდარი, მილიანი, სოფისტი და გრაცია.**

პირველი მოვიდა **სოფისტი,** მეორე—**შაშარკა,** მესამე—**მილანი,** მეოთხე—**სარდარი.**

სისწრაფე—2 წუთი 27 წამი; მანძილი 2134 მეტრი (2ვერსი).

მეოთხე დოღში მონაწილეობენ: **მაესტრო, მალახიტი, ლედა, ბუნჩუკი, მაკ-კინლეი და იონჯა-ჭიათურელი.**

პირველი მოვიდა **მალახიტი,** მეორე—**იონჯა-ჭიათურელი,** მესამე—**მაესტრო.**

სისწრაფე—2 წუთი 28 წამი; მანძილი 2134 მეტრი (2 ვერსი).

მეხუთე დოღში მონაწილეობენ: **ეთერი, სერენადა და უაიტ-ლედი.**

პირველი მოვიდა **ეთერი,** მეორე—**უაიტ-ლედი,** მესამე—**სერენადა.**

მეექვსე დოღში მონაწილეობენ: ადგილობრივ ჯიშის ცხენები: **ლედა, ვასია და შარლატანი.**

პირველი მოვიდა **ლედა,** მეორე—**ვასია,** მესამე—**შარლატანი.**

სისწრაფე—2 წუთი 20 წამი; მანძილი 1600 მეტრი (1,5 ვერსი).

დოღს აუარებელი ხალხი დაესწრო.

ფიზიკური კულტურა

ფეხბურთი

შეჯიბრების შედეგები

კვირას, ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართა სამი საინტერესო შეჯიბრი.

პირველ შეჯიბრში ერთმანეთს შეხვდენ მეორე კატეგორიის საუკეთესო გუნდები—„პროლეტარი“ და „ჯავშნიანი ნაწილები“ შეჯიბრი გათავდა 3:2 „ჯავშნიანი ნაწილების“ სასარგებლოთ და მეორე კატეგორიის პირველობაც ამ გუნდს დარჩა.

მოულოდნელი გამოდგა თავისი შედეგებით „დურუჯი“-ს და „ლენრაიონის“, შეჯიბრი. უპირატესობა თამაშის მხრივ „დურიჯის“ მხარეზე იყო, მაგრამ ამ უპირატესობას რეალური ნაყოფი არ გამოუღია.

შეჯიბრი გათავდა 2:0 „ლენრაიონის“ სასარგებლოდ.

გაცილებით უფრო საინტერესო იყო „დინამო“-ს და „პოლიტეხნიკური ინსტიტუტის“ შეჯიბრი. ეს უკანასკნელი საკმაოდ ძლიერი გუნდია და მას აქვს ყველა შანსები პირველობის აღებისათვის.

შეჯიბრი გათავდა 2:2.

ამრიგად, დღევანდლამდე სეზონის გათამაშებაში მონაწილე გუნდების ძალთა განწყობილება ასეთია: „არსრაიონმა“ დაამთავრა შეჯიბრი ყველა გუნდებთან და მოაგროვა 11 ქულა; „პოლიტეხნიკურ ინსტიტუტს“ უკვე აქვს 10 ქულა და მას დარჩა უკანასკნელი შეჯიბრი „დურუჯთან“, „დინამო“-ს აქვს 9 ქულა, დარჩა უკანასკნელი შეჯიბრი „დურუჯთან“; „დურუჯს“ აქვს 6 ქულა, დარჩა ორი შეჯიბრი „პოლიტეხნიკუმთან“ და „დინამოსთან“.

ჯერჯერობით პირველობაზე, ყველაზე მეტ პრეტენზიებს აცხადებს „პოლიტეხნიკური ინსტიტუტი“. თუ მან შეჯიბრი მოუგო „დურუჯს“, მას პირველი ადგილი უზრუნველყოფილი აქვს.

მიმდინარე სეზონის გათავებამდე დარჩა კიდევ ორი შეჯიბრი; ამ შეჯიბრების შედეგებზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. შეიძლება ისეთი კომბინაცია შეიქმნეს, რომ ოთხ გუნდს („დინამო“-ს, „დურუჯს“, „პოლიტეხნიკურ ინსტიტუტს“ და „არსრაიონს“) ხელახლა მოუხდეთ შეჯიბრება. ეს მოხდება იმ შემთხვევაში, თუ „დურუჯი“ მოუგებს „პოლიტეხნიკუმს“ და ფრედ გაათავებს „დინამოსთან“. ამ შემთხვევაში ოთხივე გუნდი აგროვებს 11 ქულას და პირველობის საკითხი გამოურკვეველი რჩება. აქედან ერთადერთი გამოსავალია შეჯიბრების ხელახლა დაწყება.

◆

სასამართლო

ნიკოლოზ მალანიას საქმე

გუშინ უზენაეს სასამართლოში ამხ. ბედიას თავმჯდომარეობით და პროკურორ გაბუნიას მონაწილეობით გაირჩა საკასაციო საჩივარი ნიკოლოზ მალანიას საქმეზე.

მალანიას აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს მიერ 5.716 მან. გაფლანგვისათვის მისჯილი ჰქონდა დახვრეტა.

უზენაესმა სასამართლომ ხუთი საათის თათბირის შემდეგ დაადგინა: ნიკოლოზ მალანიას საკასაციო საჩივარი ოლქის სასამართლოს განაჩენზე დატოვებულ იქნას უშედეგოთ და მასზე მისჯილი უმაღლესი სასჯელი—დახვრეტა დამტკიცებულ იქნას.

მსჯავრდადებულ მალანიას უფლება მიეცა შუამდგომლობა აღძრას ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის წინაშე პატიების შესახებ.

კ. კუციდის საქმე

მეორე სხდომაზე მოწმეების დაკითხვა დიდ ინტერესს იწვევს.

მოწმე **იეროგინი** (თამბაქოს ტრესტის სარევიზიო კომისიის წევრი) უამბობს სასამართლოს, რომ დადიოდა ხმები თამბაქოს ტრესტის № 2 მაღაზიის გამგის ბოროტმოქმედების შესახებ. ამის გამო მოხდენილ იქნა მაღაზიის მოულოდნელი რევიზია. მაღაზიის დაბეჭვდისას გამგემ კუციდიმ სთხოვა სამი დღით რევიზიის გადადება, რაიც იეროგინის მერ უარყოფილი იქნა. კუციდის ამ დროს სულიერი მღელვარება ეტყობოდა. ნაჩქარევად და ზერელედ მოხდენილმა რევიზიამ აღმოაჩინა საქონლის დანაკლისი. ბრალდებულმა კუციდიმ რევიზორ იეროგინის აღუთქვა სათანადო ახსნა-განმარტების წარდგენა დანაკლისი საქონლის შესახებ. ამის შემდეგ კუციდი დათხოვნილ იქნა სამსახურიდან. მაღაზიის გამგეთ დაინიშნა ახალი კაცი. მაღაზიის ახალ გამგეზე გადაბარების დროს მოხდა დეტალური რევიზია. რევიზიის დასასრულ გამოირკვა, რომ კუციდის აკლია 25.000 მანეთის საქონელი. შედგენილ იქნა სათანადო აქტი, რომელსაც ხელი მოაწერა თვით კუციდიმაც. აღსანიშნავია, რომ კუციდის მიერ ხელმოწერილია პირველი რევიზიის აქტიც. მეორე რევიზიის დროს კუციდიმ განაცხადა, რომ საქონლის ნაწილი კლიენტებზე მის მიერ გაცემულია უორდეროთ, საქონელი ნისიათ გაცემული აქვს აგრეთვე თამბაქოს № 1 მაღაზიის გამგე ლორთქიფანიძეზე. მოწმის სიტყვით, ლორთქიფანიძე ამ დროს დაპატიმრებული იყო.

მოწმე **ხანგელიანი** (გადამბარებელი კომისიის წევრი) ადასტურებს იმ გარემოებას, რომ მეორე რევიზიის დროს კუციდის აღმოაჩნდა 25.000 მან. საქონლის დანაკლისი. რევიზიის დროს კუციდის არავითარი გასამართლებელი საბუთები არ წარმოუდგენია. მოწმემ სხვების საშუალებით გაიგო, რომ ბრალდებულს წარუდგენია 11.000 მან. თამასუქები.

მესამე სხდომაზე დაკითხულ იქნა მოწმე **ტოროზოვი** (მაღაზიის თანამშრომელი), რომელმაც მოუთხრო სასამართლოს, რომ ის კუციდის მიერ მიცემულ სიით კლიენტებს საქონელს აძლევდა უორდეროთ. ხშირი იყო შემთხვევა, როცა გაცემული საქონლის რაოდენობა რამოდენიმე ათასს მანეთს აღემატებოდა. მოწმის აზრით, ბრალდებულ კუციდის ხშირად საიდუმლო თათბირი ჰქონდა ვაჭრებთან.

თამბაქოს ტრესტის № 2 მაღაზიის დებიტორი შაფათა **ენუქაშვილი** აღნიშნავს, რომ კუციდი მას სთხოვდა 2.000 მან. ამხანაგური თამასუქის მიცემას, ვინაიდან მაღაზიაში საქონლის დანაკლისი მაქვსო.

თამბაქოს ტრ. № 1 მაღაზიის ყოფილი გამგე **ლორთქიფანიძე** დაჟინებით აცხადებს, რომ არ ყოფილა შემთხვევა კუციდის მისთვის საქონელი უორდეროთ და უხელწერილოთ მიეცეს. მოწმის სიტყვით, ბრალდებული კუციდი სტყუის სასამმართლოს წინაშე მიცემულ ჩვენებაში. მოწმე განაგრძობს: იყო შემთხვევა, როცა კუციდი მივიდა მასთან საპატიმროში და სთხოვა 3.000 მანეთის საქონელი მის ანგარიშზე გადაეტანა, რაზედაც მას უარი განუცხადებია.

მოწმეების დაკითხვა გრძელდება.

შ. გოგეშვილის საქმე

დასავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლომ ბრალდებულ შალვა გოგეშვილს მიუსაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა.

გოგეშვილს ბრალდებოდა 874 მან. და 31 კაპ. გაფლანგვა ოზურგეთის მუშკოოპის თავმჯდომარეთ ყოფნის დროს.

მსჯავრდადებულმა საკასაციო საჩივარი შეიტანა უზენაეს სასამართლოში.

მკვლელობა

დასავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლომ ბრალდებულ არსენ **სადრაძეს** მიუსაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით.

სადრაძეს ბრალდებოდა თავისი ცოლის და მოქ. მეფარიშვილის მოკვლა წინასწარი განზრახვით იქვიანობის ნიადაგზე.

მსჯავრდადებულმა სადრაძემ საკასაციო საჩივარი შეიტანა უზენაეს სასამართლოში.

ანნა ბალის საქმე

გუშინ აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. **ბერიშვილის** თავმჯდომარეობით დაიწყო ანნა **ბალის** საქმის გარჩევა.

ბალის ბრალდება 2.281 მან. გაფლანგვა ამ.-კავკასიის მომხმარებელი საზოგადოების № 3 მაღაზიის გამგეთ ყოფნის დროს.

აღნიშნული თანხა ბრალდებულს გაუფლანგავს 1925 წ. რვა თვის განმავლობაში.

ბრალს სდებს პროკურორი **ქავთარაძე,** ბრალდებულს იცავს დამცველთა გოლეგიის წევრი ტიმოფეევი.

სასამართლოში ბრალდებულმა თავი არ სცნო დამნაშავედ და დასძინა, რომ სავაჭრო ოპერაციების მოუგვარებლობას ხელს უწყობდა ნოქართა სათანადო კადრის უყოლობა.

სასამართლომ დაჰკითხა მოწმეებს. დაკითხვიდან გამოირკვა, რომ ბრალდებული ბალი იჩენდა უყაირათობას საქმისადმი და დროს ატარებდა ღვინის სმასა და სეირნობაში.

განაჩენი გამოტანილი იქნება დღეს.

4.695 მან. გაფლანგვა

24 ივნისს, აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში გაირჩევა ალექსანდრე **ვაშაძის** საქმე.

1924 წ. 9 ივლისს დაარსებულ იქნა თბილისის აღმასკომთან შემოსავალ-გასავლის სალარო, რომლის ფუნქციებში შედიოდა აღმასკომის შემოსავლის მიღება და შემოსული ფულის ჩარიცხვა სათანადო თანხებში.

ბრალდებული ვაშაკიძე თბილისის შემოსავალ-გასავლის სალაროს გამგეთ ირიცხებოდა 1924 წ. 9 ივლისიდან 1924 წლის 15 ნოემბრამდე.

1924 წლის ნოემბერში მოხდა აღნიშნული უწყების რევიზია; რევიზიამ აღმოაჩინა 4.695 მან. დანაკლისი.

ვაშაძეს ბრალი ედება აგრეთვე ძალა-უფლების გადამეტებაში: თანამშრომლებზე ჯამაგირების მომატების სახით გაუცია 1.000 მანეთამდე.

გარდა ამისა ბრალდებულს სალაროს საჭიროებისათვის დაუხარჯავს 495 მან. და 79 კაპ., რისი უფლება მას არ ჰქონდა.

წინასწარ გამოძიებისას, ბრალდებულმა თავი არ სცნო დამნაშავედ და დასძინა, რომ აღნიშნული თანხა კი არ მიმითვისებია, არამედ დავკარგეო. ამ საქმის გამო წარმოებულმა გამოძიებამ ეს გარემოება არ დაადასტურა.

ვ. ჩიკაშუას საქმე

11 ივნისს, სახალხო სასამართლოში გაირჩა ვლადიმერ ჩიკაშუას საქმე.

ჩიკაშუას ბრალდებოდა თაღლითობა.

ბრალდებულმა სახლის პატრონ ლორქიფანიძეს წარუდგინა ყალბი ცნობა მისი ჯამაგირის რაოდენობის შესახებ. ამის მიხედვით ბრალდებულ იხდიდა ბინის ქირას ნაკლები რაოდენობით.

სასამართლომ ჩიკაშუა სცნო დამნაშავედ და მიუსაჯა ორი კვირით გამსახლში დაპატიმრება.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება

საქართველოს ს. ს. რ. ეკონომიურ საბჭოს

სახელმწიფო სამეურნეო საწარმოოთა წლიური ანგარიშების განმხილველი საუწყებათაშორისო კომისიის სამოქმედო ინსტრუქციის დამტკიცებ. შესახებ

თანახმად ა.-კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წ. აპრილის 2-ს თარიღითა და მე-18 №-რის დადგენილებისა—„კომერციულ ანგარიშზე მყოფ სახელმწიფო სავაჭრო და სამრეწველო საწარმოოთა ბალანსების განხილვისა და მოგების განაწილების წესის შესახებ“ (ა. კ. ს. ფ. ს. რ. კან. კრებ. 1925 წ. მე-4 №, მუხ. 411) და 1926 წ. მარტის 18-ს თარიღისა და მე-6 №-ის დადგენილებისა „სახელმწიფო. სამეურნეო საწარმოოთა წლიური ანგარიშების განმხილველი საუწყებათაშორისო კომისიის სამოქმედო ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ (ა.-კ. ს. ფ. ს. რ. კან. კრ. 1926 წ. მე-3 №-რი, მუხ. 618)—საქართველოს ს. ს. რ. ეკონომიური საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ და შემოღებულ იქნეს შემდეგი ინსტრუქცია სახელმწიფო სამეურნეო საწარმოოთა წლიური ანგარიშების განმხილველი საუწყებათაშორისო კომისიის მოქმედების შესახებ:

1. კომერციულ ანგარიშზე მყოფ სახელმწიფო საწარმოოთა წლიურ ანგარიშების განმხილველი საუწყებათაშორისო კომისიის კომპეტენციას შეადგენს:

ა) გამოარკვიოს რამდენად სისწორით არის დაცული საწარმოოს მიერ მოქმედი წესებით გათვალისწინებული ფორმები ანგარიშებისა;

ბ) გამოარკვიოს, რამდენათ სისწორით არის შეფასებული ბალანსის ცალკე მუხლები და ბალანსის დანართის მუხლები;

გ) განიხილოს წლიური ანგარიშის მიხედვით საწარმოოს სამეურნეო საქმიანობა, რათა ცხადჰყოს, თუ რამდენი მიზანშეწონილობით არის გამოყენებული მასში მოთავსებული სახელმწიფოს სახსარი;

დ) გამოარკვიოს საწარმოოს მოგების ან ზარალის რაოდენობა და მისი განაწილების (ან დაფარვის) საშუალებანი;

ე) დაამტკიცოს საწარმოოს წლიური ანგარიში და ნება დართოს მისი გამოქვეყნება.

2. საუწყებათაშორისო კომისიაში განსახილველი საკითხები წინასწარ გაიხილულ უნდა იქნეს ტეხნიკურ კომისიაში, რომელიც მოქმედობს იმავე უწყებათა წარმომადგენლების შედგენილობით, როგორც საუწყებათაშორისო კომისია.

3. ტეხნიკურ კომისიაში წარმომადგენლებად დაინიშნებიან სათანადო უწყებათა პასუხისმგებელი მომუშავე-სპეციალისტები.

შენიშვნა. საწარმოოთა ანგარიშების განხილვის დროს საუწყებათაშორისო და ტეხნიკურ კომისიების სხდომაზე მიწვეულ უნდა იქნენ, სათათბირო ხმის უფლებით, საწარმოოთა ხელმძღვანელები და მთავარი ბუხჰალტერები.

4. ტეხნიკური კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნება ერთი მისი წევრთაგანი საუწყებათაშორისო კომისიის დადგენილებით.

5. საუწყებათაშორისო კომისიისა და ტეხნიკური კომისიის სხდომისათვის შედგენილ უნდა იქნეს ოქმი, რომელსაც ხელს მოაწერს ამა თუ იმ კომისიის ყველა წევრი.

6. იმის გარდა, რომ ა.-კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წ. აპრილის 2-ს თარიღისა და მე-18 №-ის დადგენილების მე-6 მუხლის თანახმად ყველა ის შეუთანხმებლობა, რამაც თავი იჩინა საუწყებათაშორისო კომისიაში, განსახილველად ეკონომიურ საბჭოში უნდა იქნეს გადატანილი,—საუწყებათაშორისო კომისია ვალდებულია ერთი თვის ვადაზე, ყველა საწარმოოს წლიური ანგარიშების განხილვის დამთავრების შემდეგ, წარუდგინოს საქართველოს ს. ს. რ. ეკონომიურ საბჭოს თავისი მუშაობის სრული ანგარიში, სადაც გაშუქებულ უნდა იქნეს ყველა საკითხი, რაც ამა ინსტრუქციის 1-ლ და მე-2 მუხ. თანახმად, მის კომპეტენციას შეადგენს.

საქართველოს ს. ს. რ. ეკონომიური საბჭოს თავმჯდომარის მოადგ. **ს. პ. ჯულელი.**

საქართველოს ს. ს. რ. ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე **ბ. ფალავა.**

1926 წ. ივნისის 12-ს
თბილისი—სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

ს. კ. პ. თბილისის კომიტეტის **საკლუბო საბჭოს სხდომა** შესდგება ოთხშაბათს, 16 ივნისს, დილის 9 საათზე ამხ. ასრიბეკოვის კაბინეტში.

— დღეს, ა. წ. 15 ივნისს, ქალაქის აღმასკომის ბინაზე, საღამოს სრულ 6 საათზე, შესდგება **საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიონის გაფართოებული პლენუმი** ქალაქის რაიონის უჯრედების მდივნებთან ერთად.

— დღეს, 15 ივნისს, დილის 9 საათზე შესდგება ს. კ. პ. (ბ). **თბილისის კომიტეტის აგიტ.-პროპკოლეგიის სხდომა** ამხ. ასრიბეკოვის კაბინეტში.

— **საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მეორე რაიკომი** იუწყება, რომ 15 ივნისს, საღ. 5 საათზე, რაიკომის ბინაზე შესდგება **რაიკომის პრეზიდიუმის სხდომა.**

სავალდებულოა პრეზიდიუმის ყველა წევრების და კანდიდატების დასწრება დაუგვიანებლად.

— **საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მეორე რაიკომის აგიტპროპგანყოფილება** იუწყება, რომ სამშაბათს, ა. წ. 15 ივნისს, საღამოს 5 საათზე, ცენტრალურ მუშათა კლუბის ბინაზე შესდგება **კლუბის გამგეობის ფრაქციის სხდომა** კლუბის წევრ-კომუნისტებთან ერთად.

ღრმად დამწუხრებული: მეუღლე დიმიტრი, დედა ნინუცა, ძმები იაკობ და კაპიტო, დები მასურია და მაცია, დედამთილი დომნა, რძალი ელენა, მულები ქრისტინე, მარუსია და ნინა, სიძეები შალიკო ნიკოლაიშვილი, შალიკო ყენია და სანდრო უშვეროვ, დეიდა ტერეზია მეუღლით კოლა შაკოშვილით და შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობრებს მათი დაუვიწყარი

სარას (შუშუნას) მიხეილის ასული უშვერიძე-დუდუჩავას

უდროოთ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება 15 ივნისს, დღის 12 ს. სამამიასერიზე (გურია). 2809

გულდათუთქულნი მშობლები ირაკლი ივანის ძე და სოფიო ილიას ასული, დები თამარა და ეკატერინე ირაკლის ასულნი, ძმები ივანე და ილია, აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ მათი ძვირფასი და დაუვიწყარი, ქართული უნივერსიტეტის სტუდენტის

გოგი კლიმიაშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ, 14 ივნისს 11 საათზე. გამოსვენება მოხდება 15 ივნისს, ნაშუადღევის 5 საათზე საკუთარ ბინიდან გუნიბის ქ. № 34, ვერის სომეხთა სასაფლაოზე.

ღრმად დამწუხრებული მეუღლე კონსტანტინე დავითის ძე, შვილი ნელი, მამამთილი დავით კონსტანტინეს ძე ქვარიანი მეუღლეთურთ, დედა ვასასი, ძმები: ვანიჩქა, ვალოდია და შურა იშხნელნი, დები: ვალენტინა დგებუაძისა, მარუსია ხუციშვილისა, თამარ დეისაძისა და საშა ჯაფარიძისა, ნინა და ზინა იშხნელის ასულნი, სიძეები: შალვა ხუციშვილი, შოთა დგებუაძე, იოსებ დეისაძე და ქორჟიკა ჯაფარიძე, მულები: ნინა წერეთლისა, ელენა ალავიძისა და გუგულა წულუკიძისა თავიანთი ქმრებით და შვილებით, რძლები: აგრაფინა და ივდიდი იშხნელისათ აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ მათთვის ძვირფასს და დაუვიწყარ

ელენა ალექსანდრეს ასული ქვარიანის

უდროოთ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება 15 ივნისს, დღით სამშაბათს, ნაშუადღევის 4 საათზე, ქალაქ ჭიათურაში ღვიმევის მონასტერში. 2801

ღრმად დამწუხრებული და უდროოთ გულ-დამწვარი მეუღლე [illegible] სიმონის ასული ყოჩიშვილისა, მისი შვილით ალექსანდრე სიმონის ძე სიდამონიძე ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთ და მეგობართ პირველისთვის ძვირფასი ქმრის და მეორესთვის მამობილის

შაქრო ზაქარიას-ძე ყოჩიშვილის

ტრაღიკულად გარდაცვალებას. გამოსვენება მოხდება რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოდან (ყოფილი მიხაილოვის საავადმყოფო) ოთხშაბათს, 16 ივნისს, დღის 4 საათზე. 2805

ტრამვაის მოძრაობის, სახელოსნო და ცენტრალური სადგურის ადგილობრივი კომიტეტები ამით აუწყებენ ამხანაგებს, ნაცნობებს და მეგობრებს, რომ შაბათს, 12 ივნისს, საღამოს 7 ნახ. საათზე სამსახურის შესრულების დროს ტრაღიკულად დაიღუპა ამავე ადგილკომის წევრი საუკეთესო აქტიური მომუშავე ამხანაგი

შაქრო ზაქარიას-ძე ყოჩიშვილი

გამოსვენება მოხდება ოთხშაბათს, 16 ივნისს, შუადღის 4 საათზე, რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოდან. 2805

თბილისის ქ. ტრამვაის მუშა-მოსამსახურეები ამით აუწყებენ ამხანაგებს, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ შაბათს, 12 ივნისს, საღამოს 7 ნახ. საათზე სამსახურის შესრულების დროს ტრაღიკულათ დაიღუპა საუკეთესო ამხანაგი.

შაქრო ზაქარიას-ძე ყოჩიშვილი

გამოსვენება მოხდება ოთხშაბათს, 16 ივნისს, შუადღის 4 საათზე. რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოდან. 2805

საქართველოს კომუნალურ მეურნეობის მუშაკთა კავშირის ცენტრალური გამგეობა მწუხარებით აუწყებს კავშირის წევრებს, რომ ა. წ. 12 ივნისს, ტრაღიკულად დაიღუპა, ცენტრალურ გამგეობის წევრი, ტრამვაის მუშა

ამხ. შაქრო ყოჩიშვილი

2811

საქ. კომუნისტურ პარტიის ცენტ. კომიტეტთან არსებული ყოფილ მენშევიკთა და უპარტიოთა შორის მომუშავე განყოფილება და გაზ. „ახალგზელი“-ს რედაქცია ღრმა მწუხარებით აუწყებს ამხანაგ-თანამშრომლებს ძვირფასი ამხანაგის, ძველი მუშა-რევოლიუციონერის ტრამვაის მეწესთვალის (კონტროლიორი)

შაქრო ყოჩიშვილის

ტრაღიკულ გარდაცვალებას ა. წ. 12 ივნისს, ღამის 12 საათზე, გამოსვენება რესპუბ. მთავარ (ყოფ. მიხეილის) საავადმყოფოდან ოთხშაბათს, 16 ივნისს, ნაშუადღევის 4 საათზე. ნ. 1428 2—1

განუსაზღვრელ მწუხარებაში მყოფნი: ცრემლშეუშრობელი დედა პიმენი, ძმა ვასო, ბიძა გრიგოლ კეიდია თავის ცოლშვილით და დეიდაშვილი ალიოშა საჯაია დედით და მეუღლით, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 6 ივნისს, დღის პირველ საათზე გარდაიცვალა თბილისის რკინის გზის საავადმყოფოში ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ მათი საყვარელი და დაუვიწყარი, თბ. სახ. უნივერსიტეტისა საექიმო ფაკულტეტის მე-4-ხე კურსის სტუდენტი

ვალერიან (ვალიკო) დიმიტრის-ძე გაბუჩია

რომლის დაკრძალვა მოხდა სოფ. რიყეში (ზუგდიდის მაზრა). 2808

გულმოკლული და იმედ დაკარგული მარგარიტა (მარგუშა) ძელიტონ ქაჯაიას ასული დედით, დებით, ძმით, ბიძებით და ბიცოლებით აუწყებს ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ მისი საყვარელ სულით მეგობარის

ვალერიან (ვალიკო) დიმიტრის-ძე გაბუჩიას

ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა მოხდა სოფ. რიყეში (ზუგდიდის მაზრა). 2808

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები: აკ. ბოკუჩავა, ვლ. ჯანაშია, ილ. ბერულავა, ზაქ. და სიმ. შარაშანიძენი, გ. არაბიძე, ბაგ. გურგენიძე, გ. ანთელავა, გრ. შალამბერიძე, ის. მალლაფერიძე, ალ. გუნია, აკ. გაბელაია, ა. სიორდია, აკ. კარტოზია, კ. ბოკუჩავა, შალ. კუკავა და ალიოშა კედია (მიცვ. ბიძაშვილი) ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ, რომ 6 ივნისს. უდროოდ გარდაიცვალა რკ. გზ. საავადმყოფოში მათი საუკეთესო ამხ. საექიმო ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტი

ვალერიან (ვალიკო) დიმიტრის-ძე გაბუჩია

დაკრძალვა მოხდა სოფ. რიყიში (ზუგდ. მაზრა). 2808

სათანაბრო და ძირითადი საშემოსავლო (საკლასო)

გადასახადები

საქართველოს ფინსახკომი აცხადებს სათანაბრო და საკლასო გადასახადების გადამხდელთა საყურადღებოთ, რომ 1925 | 26 საბიუჯეტო წლის მეორე ნახევრის ზემოაღნიშნულ გადასახადების განაკვეთების გამოანგარიშება დამთავრდა ა | წ. 1-ლ ივნისს.

მოქალაქეებმა, რომლებმაც არ მიიღეს გადასახადის ფურცლები, უნდა მიმართონ ფინანსთა ინსპექტორების კანცელარიებს, მათზე შეწერილ გადასახადების რაოდენობის გამოსარკვევათ.

საჩივრების შეტანის უკანასკნელი ვადა დაწესებულია 1-ლი ივლისი.

გადასახადების შეტანის ვადა:

1) სათანაბრო გადასახადის: გადასახადის პირველი ნახევრის არა უგვიანეს ა | წ. 20 ივნისისა და მეორე ნახევრის—1-ლ სექტემბრისა. 2) საკლასო გადასახადის ა) მუშა მოსამსახურეებზე და პენსიონერებზე გამოანგარიშებულს უკავებენ სამუშაოს მიმცემი დაწესებულებანი მათ ხვედრ ხელფასიდან ან პენსიიდან ყოველთვიურად, 1926 წლის ივლისის თვიდან დაწყებული, ერთი მეექვსედი ნაწილის რაოდენობით, ბ) 1—3 ხარისხის (ჯგუფები 1—3 კატეგ. „ვ“) სავაჭრო და სამრეწველო საწარმოოთა მეპატრონეებს სოფლის ადგილებში, აგრეთვე სოფლის ადგილებში მცხოვრებ ხელოსნებს და შინამრეწველებს, რომლებიც დაბეგრილი არიან „ბ“ კატეგორიით, შეაქვთ საკლასო გადასახადი ორ თანაბარ ნაწილად შემდეგ ვადებში: გადასახადის პირველი ნახევარი არა უგვიანეს 1926 წ. 15 ივლისისა და მეორე ნახევარი 15 სექტემბრისა და გ) დანარჩენ მოქალაქეთა მიერ-ერთდროულად, არა უგვიანეს 1929 წ. 15 ივლისისა.

იმ პირთა წინააღდეგ, რომლებიც მათზე შეწერილ გადასახადებს არ გაისტუმრებენ დაწესებულ ვადაში, მიღებული იქნება იძულებითი გადახდევინების ზომები, როგორიც არიან, სხვათაშორის; ქონების აღწერა და მისი გაყიდვა, აგრეთვე საწარმოოთა დაბეჭდვა.

საქართ. ფინსახკომისარის მოადგილე **ი. ფანცხავა.**

გადასახადთა განყოფილების მმართველი **ბეზირგანიშვილი**

ნ. 1427

1926 წლის პარასკევს, 18 ივნისს, დღის 12 ს.

დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

განათლების კომისარიატის შენობაში (ოთახი № 19) კომისარიატის სხვადასხვა შენობების სახურავების შეკეთებასა და შეღებვაზე. პირობების გაგება და კონდიციები შეიძლება მიიღოთ ყოველდღე განათლების კომისარიატში 8—12 საათამდის ოთახი № 19. ნ. 1426

საზაფხულო კინო

ეთერი

(სახელმწ. ოპერის ბაღში)

საზაფხულო

აპოლო

(არტოს ბაღში, პლეხ. № 105).

სოლეი

ნ. 1375 0—13

ახალი პროგრამა

„ქალი ცეცხლში“

ასტა ნილსენის მონაწილეობით. ცუდი ამინდის შემთხვევაში სურათი ნაჩვენები იქნება **არფასტოში.**

უკანასკნელი დღე

„შუქი სიბნელეში“

მერი პიკფორდის მონაწილეობით.

(კინოს ბილეთებით შეიძლება ბაღში შესვლა)

პირველად თბილისში

„ორი ერთის წინააღმდეგ“

ანონსი: შემდეგი სურათი **„სიყვარული და ცხოვრების ტალღები“**

მალე **„მეცხრე ტალღა“**

თბილისის ელექტრონთა მომწესრიგებელი სამმართველო „ტემს“

(ყოფ. ემს და ელქგანი)

ამით აუწყებს კომუნალურ ელსადგურების აბონენტებს, რომ ქალაქის ზოგიერთ რაიონებში ელსადგურების ხაზის ახალ ბოძებზე გადატანის მუშაობის წარმოებასთან დაკავშირებით შესაძლოა აღნიშნულ რაიონებში ელენერგიის მიწოდების შეწყვეტა მცირე ხნით (რამდენიმე დღით).

აბონენტები, რომლებიც შეამჩნევენ რაიმე დეფექტებს ელენერგიის მიწოდებაში კეთილ ინებონ და თავის დროზე განაცხადონ ამაზე ტემს-ის საკონტროლო ქ. განყოფილებაში სათანადო ზომების მისაღებად.

ტ.ე.მ. ს-ის გამგე **ცანავა.**

ნ. 1430. საქმეთა მმართველი **გრომაშვილი:**

ელექტრონით და სინათლით

სამკურნალო საწოლებით მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 50—3

ექიმი ნ. ტურიაშვილი

ქალის სნეულებანი და მეანობა

მიღება 2—5 ს. საბჭოს ქუჩა (ყოფილი ჩერქეზოვის) № 22. 25—1

ექ. ე. მ. მძინარიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი

ავადმყოფების მიღება 12—2 საათ, დღე და 6—8 ს. საღამოთი, ქალებისა და ბავშვების 5—6 ს.

მისამართი: რუსთვ. პროსპ. № 18 შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან.

ექიმი ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება

მიღება დილის 8—11, საღ. 6—8. პლეხანოვის პროსპექტი, № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. 537 25—12

ექიმი გ. მ. ფხალაძე

კანის და ვენერიული სნეულებანი

(სიფილისი „606“—„914“)

ავადმყოფების მიღება: კაცების— დილით 8—9 საათ., საღამოთი 6—8 საათ. ქალების საღამოთი 5—6 საათ. მისამართი: მოსკოვის ქ., № 4 ყოფ. კაბინეტი რეზო მაჩაბლისა (ზემელის აფთიაქის პირდაპირ). 25—18

ექიმი დ. ა. გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დაავადებულ საერთო ნერვიულ სისტემის სენით, აგრეთვე მკურნალობს სულით ავადმყოფებს, დილის 9—11 ს., საღამოს 4—5 ს. ძნელაძეს ქ. (ყოფ. საპიორის № 32. 25—

ექიმი მ. ა. ლუკოვეცკი

სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.

ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე, ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე.

საპიორის ქუჩა, № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან. 25—18

ექიმი ჯალალოვი

კანის და ვენერიული ავადმყოფობანი, სიფილისი.

შეშხაპუნება „914“. ტრიპერის და მისი შედეგების წამლობა.

ავადმყოფ. მიიღება დილ. 6 ნახ.—8 საათ., საღამოს 5-დან—9 საათამდე. ქალები 12—2 საათ. დღის.

მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ვორონცოვის ყოფილი ძეგლის მახლობლად.

თბილისის ელექტრონთა მომწესრიგებელი სამმართველო

„ტემს“ ამით აცხადებს, რომ ახლო ძომავალში ზაჰესის ამუშავების გამო, ყველა ელგაყვანილობანი, რომლებიც ამჟამად იკვებებიან მუდმივი დენით, უნდა გადაკეთებულ იქნენ ზაჰესის ცვალებად დენის მისაღებად.

მოქალაქენი, დაწესებულებანი და წარმოებანი, რომელთა ელდადგმულობანი (გასანათებელი და სამოტორო) არ იქნებიან შეგუებულნი ზაჰესის დენის მისაღებად უკანასკნელის ამუშავების დროისათვის, მოკლებულნი იქნებიან საშუალებას ასეთის სარგებლობით.

გასანათებელ ელ. დადგმულობებზე ტემს-ის მიერ გამომუშავებულია შეღავათიანი პირობები გადასაკეთებელ და ახალ დადგმულობების ღირებულების შემოტანაზე.

განცხადებანი ელ. გაყვანილობის გადაკეთებაზე და ახალ დადგმულობების მოწყობაზე მიიღება ტემს-ის კანცელარიაში; იქვე შეიძლება საჭირო ცნობების მიღება სამსახურის საათებში.

მისამართი: „ტემს“—თავისუფლების მოედანი 2, ყოფ. თამამშევის ქარვასლა.

სამმართველოს გამგე **ცანავა.**

ნ. 1431. საქმეთა მმართველი **გრომაშვილი.**

ექიმი ი. დ. თოფურიძე

კალინინის ქ. (ყოფ. ნიკოლოზის) № 33 ღებულობს ავადმყოფებს კანის, სიფილისის და ვენერიულ (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი) და აგრეთვე სასქესო ორგანოს ყველა გართულებები. დილით 6 ნახ.—7 ნახ. საათამდის საღამოთი 4—8 საათამდის.

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8.

ექიმი ა. ს. ფონ-ირტელი

მიხეილის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ. „ბო-მონდი“).

გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების, ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალის. ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათმდე და 4—7 საათამდე 25—17

თვალის ექიმი

მაევსკი

პლეხანოვის პროსპექტი, (ყოფილი მიხეილის პრ.) № 53 (მთავარი ფოსტის პირდაპირ). მიღება დილის 9-დან 11 საათამდე (დღის 1-დან 3-დე, საღამოს 7-დან 8-მდე. 35—1

ექიმი

გ. ნ. ონანოვი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა

ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. ყოფ. ელისაბედის ქუჩა, № 3. 2215 3—1

თბილ. სახელმწიფო უნივერსიტეტის

კბილის სნეულებათა კლინიკაში

(პლეხანოვის პროსპ. № 126)

დაიწყო მუშაობა

რენტგენის კაბინეტმა

შეიძლება კბილების და პირისახის ძვლების გაშუქება და მათი სურათის გადაღება. 2799. 25—1

გვარის გამოცვლა

გორის სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის მ. მ. აჩის ბიურო აცხადებს რომ მოქ. ლევან ბესარიონისძე მალაზონიამ შემოიტანა განცხადება თავისი გვარის „მალაზონიას“ გამოცვლის შესახებ „მოლიაძე“-ზე.

დაკარგა უვადო პასპორტი № 11 და მოწმობა, გაცემული ყარაიაზის აღმასკომისაგან № 211. მელქისედეკ ალმასხანის ძე სიხარულიძის სახელზე, ჩ. გ, უ.

დაკარგა კავშირის წიგნაკი № 2497 დარია ივანეს ასული ხერხეულიძეს სახელზე, ჩ. გ. ქვ. 2806

დაკარგა პირადობის მოწმობა № 808, გაცემული სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკურ ფაკულტეტის მიერ სტუდენტ მიხეილ კალისტესძე შავიშვილის სახელზე, ჩ. გ. 2807

დაკარგა სამთა-მადნო კავშირის წიგნაკი № 2797 ნიკოლოზ ლაბაძის სახელზე, ჩ. გ. ნ. 1425

დაკარგა სამთა-მადნო კავშირის წიგნაკი № 5824, ალექსანდრე ნიკოლოზისძე ჩინჩალაძის სახელზე, ჩ. გ. ნ. 1425

დაკარგა სამთა-მადნო კავშირის წიგნაკი № 3104 და სახელმწიფო დაზღვევის საბუთები, ლევან შატირის სახელზე, ჩ. გ. ნ. 1425

დაკარგა სამთა-მადნო კავშირის წიგნაკი № 8456, პეტრე ავეტისოვის სახელზე, ჩ. გ. ნ. 1425

დაკარგა ატესტატი, მიღებული ხიდისთავის შვიდწლედში № 236 და მეტრიკული ამონაწერი № 792, ლიუბა ვარდენის ასული დუმბაძის სახელზე, ჩ. გ. ნ. 1425

დაკარგა კომპარტიის საწევრო წიგნაკი № 460481, კავშირის წიგნაკი № 67, ივანე ბურდულის სახელზე, ჩ. გ. 2803

დაკარგა პირადობის მოწმობა № 1889, ბაღის პატენტი და სხვა საბუთები ვლადიმერ იორდანისძე მელქაძეს სახელზე, ჩ. გ. 2804

დაკარგა დროებითი ქვითარი № 11 მოცემული თბილისის კომუნალური ბანკის მიერ, ადამ შახბარონოვის სახელზე, ჩ. გ. 2802

დაკარგა კავშირის საწევრო წიგნაკი № 6081 და პირადობის მოწმობა № 85 | 441 მიხეილ გიორგისძე კაკაბაძეს სახელზე, ჩ. გ. 2813

დაკარგა მეტრიკული ამონაწერი და პირადობის მოწმობა სურვილოს სახელზე, ჩ. გ. 2812

დაკარგა საბჭოთა დაწეს. მოსამსახურეთა პროფკავშირის წიგნაკი № 4365, პირადობის მოწმობა № 19337 და თბ. სახელმწ. უნივერსიტეტის სოც.-ეკონ. ფაკულტეტის მატრიკული № 755, მიხეილ ოქროპირისძე კვატაშიძის სახელზე, ჩ. გ. 2815

თბილისის კომუნალური ბანკის

ბალანსი

1926 წლ. ივნისის 1-სათვის

კასსა და სახელდახელო ანგ.	792.978—56	თანხები ა) ძირითადი	2.000.000—00
საფასენი	127.565—17	„ ბ) სათადარიგო	126.783—19
თამას. განაღდება და სპ. სახ. ანგ. თამასუქ.	2.419.838—92	მთავრობის სპ. თანხა განსაკ. დანიშ.	835.240—00
საქონლის სესხთა ოპერაცია	1.022.665—74	„ „ „ საალმშენებლო	320.590—62
მიზნობრივი სესხი ა) მოკლე ვადიანი.	1.366.099—37	სპ. სახელ. ანგ. უზრ. თამასუქ.	924.316—95
„ „ ბ) გრძელვადიანი	2.177.140—16	ანაბარი და სახელდახ. ანგ.	2.915.415—68
კორესპონდენტები	222.178—86	საფულბარათო ოპერაციები	10.393—10
შემასწორებელი ანგარიშები	36.859—22	კორესპონდენტები	1.519.199—77
ანგარიშები სავაჭ. განყოფილებასთან	1.098.359—85	შემასწორებელი ანგარიშები	725.470—76
სხვადასხვ. დებიტორები	9.804—23	სხვადასხვ. კრედიტორები	29.195—00
ქონება და მონაწილ. წამოწყებებ.	359.285—58	საურთიერთო ანგარიშები	1.280.353—47
საურთიერთო ანგარიშები	1.271.454—65	მომავალი წლის შემოსავალი	61.537—97
პროტესტქნილი თამასუქ. და საეჭვო ვალები	99.239—71	%, კომისია მიღებ. და სხ. შემოს.	650.048—54
გაცემული %%	144.465—11	გაუნაწილებელი მოგება.	7.361—41
მიმდინარე და სხვ. ხარჯები	257-971—33		
ბალანსი	11.405.906—46	ბალანსი	11.405.906—46

ნ. 1429

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სტამბა, კამოს ქუჩა, 68